ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი
QETEWAN MTSCHEDLISCHWILI-HÄDRICH

კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში

METHODIK DER STRAFRECHTLICHEN FALLBEARBEITUNG

Verlag «Meridiani»

QETEWAN MTSCHEDLISCHWILI-HÄDRICH

METHODIK DER STRAFRECHTLICHEN FALLBEARBEITUNG

2. neu überarbeitete Auflage

Tbilisi - 2010

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲰᲔᲓᲠᲘᲮᲘ

ᲙᲐᲖᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ

მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა

თბილისი 2010

UDC (უაკ) 343.217
ბ – 983

წიგნი გამოცემულია ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში

Dieses Buch entstand im Rahmen eines von der Volkswagen-Stiftung geförderten Projektes zur Weiterentwicklung der georgischen Strafrechtslehre

რეცენზენტები: *ნონა თოდუა*
გოჩა მამულაშვილი

Rezensenten: **Nona Todua**
Gotscha Mamulaschwili

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010
© ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი

ISBN 978-9941-10-205-9

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნის პირველი გამოცემა სისხლის სამართლით დაინტერესებულმა მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო. წიგნის მეორე გამოცემაში გავითვალისწინე რეცენზენტების, პროფესორ ნონა თოდუას და პროფესორ გოჩა მამულაშვილის წინადადება და წიგნი კაზუსებით და მოკლე დოგმატიკური ნაწილით გავამდიდრე. ამჯერად თქვენს წინაშეა არა მხოლოდ კაზუსების ამოხსნის მეთოდიკის თეორია, არამედ **სისხლის სამართლის კაზუსების პირველი წიგნი ქართულ ენაზე**, რომელიც, რა თქმა უნდა, ხარვეზებისაგან თავისუფალი არ იქნება. იმედია, მკითხველი არ დაიზარებს და კრიტიკულ შენიშვნებს მომაწვდის, რომლისათვისაც წინასწარ მადლობას ვიხდი.

უღრმეს მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს, **პროფესორ ნონა თოდუას** და **პროფესორ გოჩა მამულაშვილს**, რომელთა ინიციატივითაც შეიქმნა ამ წიგნის პირველი გამოცემა. მათი მეგობრული თანადგომის და მათთან მეცნიერული დისკუსიის გარეშე ვერც ამ წიგნის მეორე გამოცემა იხილავდა დღის სინათლეს. ასევე დიდ მადლობას მოვახსნებ ფსიქოლოგს **პროფესორ გიორგი მჭედლიშვილს** პირველი გამოცემის მიმართ გამოთქმული კონსტრუქციული ხასიათის შენიშვნებისათვის.

თბილისი, 2009 წელი

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

2007 წლის გაზაფხულზე ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვატარებდი ბლოკ-მეცადინეობას სისხლის სამართლის კაზუსების ამოხსნის მეთოდიკაში. სტუდენტებს მაშინ ამ საგანში არავითარი ლიტერატურა არ ჰქონდათ. არც დანაშაულის გამოვლენის სხვადასხვა ფორმის სქემები არსებობდა. ჩემს მიერ გერმანული მეთოდიკის და ქართული დოგმატიკის საფუძველზე შემუშავებული კაზუსების ამოხსნის მეთოდიკის სალექციო კურსი და დანაშაულის გამოვლენის სქემები სტუდენტებმა დიდი ინტერესით შეისწავლეს და ამ მეთოდის გამოყენებით საკონტროლო სამუშაოები და საშინაო დავალებები შეასრულეს.

ამ ბროშურაში ქართულ ენაზე სისხლის სამართალში კაზუსების ამოხსნის მეთოდიკის შემუშავების პირველ ცდას გთავაზობთ. გერმანული უნივერსიტეტების პრაქტიკის მიხედვით, ჩემს მიერ შემუშავებულ მასალას და კაზუსების ამოხსნას თან ვურთავ ჩემი ერთ-ერთი პირველი სტუდენტის, ***ჯაბა უსენაშვილის*** მიერ დაწერილ საშინაო დავალებას, რომელმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ნაშრომის მიზანია, დაეხმაროს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს წერის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კაზუსის ამოხსნისას შესწავლილი თეორიული მასალის გამოყენებაში.

თბილისი, 2008 წელი

შინაარსი

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა 5
პირველი გამოცემის წინასიტყვაობა 6

პირველი ნაწილი

კაზუსის ამოხსნის ტექნიკა 11
კაზუსის ამოხსნის ძირითადი სტადიები: 11
ამოცანის კითხვის დაზუსტება 13
შესაბამისი ნორმების გამოძებნა 14
დასკვნის ტექსტის დაყოფა შემთხვევის აქტების მიხედვით 18
დასკვნის ტექსტის დაყოფა მოქმედ პირთა მიხედვით 19
დელიქტების განხილვის თანმიმდევრობა, თუ ერთმა პირმა სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული რამდენიმე ქმედება განახორციელა 21
ანალიზის თანმიმდევრობა განხილულ დელიქტში 23
დანაშაულის ამომწურავი კვალიფიკაცია 26
დასკვნის სქემა-მონახაზი 29
დასკვნის ენობრივი სტილი 30
კაზუსი საშინაო დავალებად და საკონტროლო წერისათვის 32
საშინაო დავალების ფორმალური მხარე 32
სარჩევი 33
გამოყენებული ლიტერატურის სია 33
ციტირება და სქოლიო 35
შემოკლებების ჩამონათვალი (აბრევიატურა) 36
ნაშრომის ორიგინალობის დადასტურება 36
მეცნიერული კამათის გადმოცემის ტექნიკა 37
საკანონმდებლო წყაროები 37
საკონტროლო სამუშაო 37
დანაშაულის სუბსუმცია ქმედების კვალიფიკაციის ლოგიკური საფეხურები 38

სუბსუმციის ცნება და მისი სტრუქტურა 42
დასკვნის სტილი 46
სისხლის სამართლის დოგმატიკა და ლოგიკური არგუმენტაციის ფორმები 57

ნაწილი მეორე

მატერიალური სამართლის ცალკეული თემები კაზუსების ამოხსნის ნიმუშებით 61

სისხლის სამართლის პასუხისმებლობის საფუძველი 61
დანაშაულის სისტემის ძირითადი ელემენტები 61

ქმედების შეუძლებლობისადმი შემსაბამისობა 62

ქმედების ობიექტური მხარის ნიშნები 62
სასურველი შედეგი, რომელიც შემთხვევითობის გამო დგება . 69
დასაშვები რისკი (სოციალურად ადექვატური ქმედება) 70
რისკის შემცირება 70
ატიპიური მიზეზობრიობა 71
შეგნებული თვითდაზიანება მსხვერპლის მიერ 72
მესამე პირის ჩარევა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში . 73
კაზუსები ბრალის გამომრიცხველ გარემოებებზე 142
კაზუსები შერეული უმოქმედობით ჩადენილი განზრახ დამთავრებულ დანაშაულზე (სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი) 157
კაზუსები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე 163
ზიზის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა 168

შუალობითი ამსრულებლობა 179

კაზუსი შუალობით ამსრულებლობაზე 179
თანამონაწილეობის ეპიზოდი 183

დანაშაულის გამოვლენის სხვადასხვა სახის სქემები 187

განზრახი დამთავრებული დანაშაული 187

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სქემები 192

ორგანიზატორი 192
დამხმარე 193
წამქეზებელი 193
მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების სქემები 194
ტრაგიკული კოლიზია 196
ბრძანებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობა 197
გამოყენებული ლიტერატურა: 198
გერმანული ლიტერატურა 199

პირველი ნაწილი

კაზუსის ამოხსნის ტექნიკა

კაზუსის ამოხსნის ძირითადი სტადიები

სისხლის სამართლის ლექციების ძირითადი აქცენტი სისტემურად დალაგებული, აბსტრაქტული დოგმატიკური მასალის გადაცემაზეა გადატანილი. დოგმატური მასალის კონკრეტიზაცია ლექციაზე კაზუსების მოშველიებით ხდება. სტუდენტის მიერ კაზუსების წერილობითი ანალიზს კაზუსების ამოხსნის მეთოდიკის გამოყენებით მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესწავლილი მასალის უკეთესად დაუფლებისა და ამგვარად მისი პრაქტიკაში სამუშაოდ მომზადებისათვის. სტუდენტმა უნდა დაწეროს დასკვნა კონკრეტული კაზუსის სამართლებრივი გადაწყვეტის შესახებ. განსაზღვრული სისტემის მიხედვით დალაგებული ცოდნა მან უნდა გამოიყენოს, გაფილტროს და მხოლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები დაასახელოს და ჩაალრმავოს. პასუხი მხოლოდ დასმული შეკითხვას უნდა გაეცეს და ეს პასუხი სრული, ამომწურავი და ამასთან მოკლე უნდა იყოს. სწორი, მაგრამ კაზუსისათვის უმნიშვნელო ან ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხების ჩაღრმავება სტუდენტს შეცდომაში ჩაეთვლება.

კაზუსის ამოხსნის ძირითადი სტადიები:

1. კაზუსის ბოლოს ხშირად შეკითხვა დაკონკრეტებულია. ამოხსნა გაცილებით ძნელია მაშინ, თუ შემთხვევის შეკითხვა ზოგადია, (მაგ. „შეაფასეთ მოცემული შემთხვევა სამართლებრივად“)· და იგი სტუდენტის მიერ უნდა დაზუსტდეს.

2. კაზუსის ტექსტის ძირფესვიანად დამუშავებისათვის

სენიებული პირი და კონკრეტულად რომელი მუხლით. სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრა კი შემთხვევის გადაწყვეტისას არაა საჭირო. სტუდენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს თავად შეკითხვის შინაარსს. შესაძლებელია, რომ შემთხვევის შემდგენელი კაზუსში მოხსენიებულ პირთაგან ყველას დასჯადობის ანალიზს არ მოითხოვდეს. თუ სტუდენტი ფაბულის ყველა გმირის ქმედებას გააანალიზებს, იგი დაუსმელ შეკითხვაზე გასცემს პასუხს და გამსწორებელზე მეტად ცუდ შთაბეჭდილებას დატოვებს.

შესაბამისი ნორმების გამოძებნა

ვარიანტი 1

პეტრემ იცის, რომ მისი მეზობელი პავლე ხანგრძლივ მივლინებაშია. იგი ჩუმად შეიპარება პავლეს ბინაში და სეიფს გახსნის. ფულისა და ძვირფასეულობის სპორტული ჩანთაში ჩალაგებამდე პეტრე სახლში დაბრუნებულ პავლეს დაინახავს და გაიქცევა, ძვირფასეულობას კი გახსნილ სეიფში დატოვებს.

ვარიანტი 2

პეტრემ იცის, რომ მისი მეზობელი პავლე ხანგრძლივ მივლინებაშია. იგი ჩუმად შეიპარება პავლეს ბინაში, გახსნის სეიფს და ფულსა და ძვირფასეულობას სპორტული ჩანთით პავლეს სახლის აივანზე გადაიტანს. ძვირფასეულობის მანქანაში ჩატვირთვამდე პეტრე სახლში დაბრუნებულ პავლეს დაინახავს და გაიქცევა, ძვირფასეულობით გატენილ ჩანთას კი პავლეს აივანზე დატოვებს.

ვარიანტი 3

პეტრემ იცის, რომ მისი მეზობელი პავლე ხანგრძლივ მივლინებაშია. იგი ჩუმად შეიპარება პავლეს ბინაში, გახსნის სეიფს და ფულსა და ძვირფასეულობას პავლეს სახლის აივანზე გადაიტანს. ძვირფასეულობის მანქანაში ჩატვირთვამდე იგი სახლში დაბრუნებულ პავლეს დაინახავს და ჩუმად გაიპარება, ძვირფასეულობას კი სასწრაფოდ პავლეს ეზოში მდგარ ბუჩქებში დამალავს.

ვარიანტი 4

პეტრემ იცის, რომ მისი მეზობელი პავლე ხანგრძლივ მივლინებაშია. იგი ჩუმად შეიპარება პავლეს ბინაში, გახსნის სეიფს და ფულსა და ძვირფასეულობას პავლეს სახლის აივანზე გადაიტანს, მანქანაში ჩატვირთავს და სახლში წაიღებს.

კაზუსის ამოსახსნელად საჭიროა ჯერ შესაბამისი ნორმა გამოვძებნოთ. სავარაუდოა, რომ პირმა სსკ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა განახორციელა. ამ ნორმის დისპოზიციაში მოცემული ნიშანი: „სხვისი ნივთის დაუფლება“, მე-4 ვარიანტში არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს და კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტება საკმარისია.

პირველ ვარიანტშიც სსკ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით უნდა განვიხილოთ. ამჯერადაც საკმარისია სიტყვასიტყვითი განმარტება. ნადავლს პეტრე გახსნილ სეიფში ტოვებს, ამიტომაც იგი მას ვერ დაეუფლება.

მეორე ვარიანტში საკითხავია, ჩაითვლება თუ არა დაუფლებად ძვირფასეულობის ჩანთაში ჩალაგება და მისი აივანზე გადა-

ტანა? იმის მიხედვით, თუ როგორ განვმარტავთ „დაუფლებას“, გადაწყდება საკითხი ქმედების დამთავრებულ დანაშაულად ან მცდელობად კვალიფიკაციის შესახებ.

უფრო პრობლემატურია მე-3 ვარიანტი, რადგან პეტრე ძვირფასეულობას, კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების მიხედვით, არ ფლობს. არის თუ არა „დაუფლება“ მაშინაც, როდესაც ნივთი, მართალია, პატრონის „პატრონობის“ სფეროში (აქ: შემორაგულ ეზოში) იმყოფება, მაგრამ მან არ იცის ამის შესახებ? „ეუფლება“ თუ არა ნივთს პირი, როდესაც, პატრონს არ შეუძლია განახორციელოს ნივთზე საკუთარი უფლებები? აქ აუცილებელი ხდება ნორმის ტელეოლოგიური განმარტების მოშველიება.

შემთხვევის რამდენჯერმე საფუძვლიანად წაკითხვის შემდეგ დასკვნის დაწერამდე სტუდენტმა უნდა ჩამოწეროს კაზუსის თეორიული სადისკუსიო პრობლემები და ყველა ის ნორმა, რომელიც, მისი აზრით, განახორციელეს მოქმედმა პირებმა.[1]

სამართლის ნორმების მოძებნისას უნდა ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვას:

1. რომელი სამართლებრივი სიკეთეა დაზიანებული პირის ქმედებით
2. რომელი სისხლის სამართლის ნორმა იცავს ამ სიკეთეს?

ნორმების მოძებნისას ყურადღება უნდა მიექცეს მათ (ნორმების) ურთიერთდამოკიდებულებას: სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ზოგიერთი მუხლები ერთმანეთს გამორიცხავს. ერთი და იგივე ნივთი არ შეიძლება პირმა მოიპაროს ან მას ამავე დროს ძარცვის ან ყაჩაღობის საშუალებით დაეუფლოს. რასაკვირველია, ორი ერთმანეთის გამომრიცხველი ნორმის განხილვა და დასჯადობის მტკიცება ორივეს მიხედვით ლოგიკური შეცდომა იქნება.

[1] შემთხვევის დაშუშავების მეთოდიკაზე იხ. გვენეტაძე/ტურავა, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, გვ. 108.

იმ მუხლების პოვნა, რომელთა განხილვა დასკვნაში აუცილებელია, ადვილი არაა. აქ შემდეგი წესით უნდა ვისარგებლოთ: იმ ნორმების განხილვა, რომელთა კვალიფიკაციასაც მხოლოდ ერთი-ორი წინადადება სჭირდება არაა საჭირო. განსახილველი ნორმების გამოძებნისას საქმეს აადვილებს კოდექსის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი. ნორმათა გამოძებნის შემდეგ კი, დასკვნის ტექსტის დაწერამდე, სტუდენტმა **კვალიფიკაციის სქემა** უნდა დაწეროს. განსახილველ ნორმათა წრე სტუდენტმა შემდეგნაირად უნდა განსაზღვროს: ქმედების შემადგენლობის მოძებნისას მან უპირველესად დაზიანებული სამართლებრივი სიკეთე (ე.ი. სისხლის სამართლის დაცვის ობიექტი) უნდა იპოვოს. რადგან სისხლის სამართლის კერძო ნაწილის აგებულება სამართლებრივი სიკეთის იერარქიის მიხედვით განისაზღვრება, სისხლის სამართლის კოდექსის სარჩევის და ანბანურ-საგნობრივი საძიებლის გამოყენებით იგი იპოვის იმ კარს, რომელშიც შესაბამისი მუხლია მოთავსებული. ამ მუხლთა პირველი გადაკითხვისას კი შესაძლებელი გახდება განსახილველ ნორმათა დაკონკრეტება. ცალკეული ნორმის მიხედვით ჩამოყალიბებული კვალიფიკაციის სქემის შედგენისა და განსახილველი ნორმების თანმიმდევრობის დადგენის შემდეგ უკვე ადვილად იწერება **დასკვნის სარჩევის** პირველი მონახაზი.

ამოსახსნელი კაზუსი ყოველთვის **ერთ ან რამდენიმე სამართლებრივ პრობლემას** მოიცავს. დასკვნის საბოლოო ტექსტის დაწერამდე აუცილებელია ამ პრობლემების ჩაღრმავება სამართლის ლიტერატურის და პრაქტიკის (შესაძლებლობის ფარგლებში) მოშველიებით.

დასკვნის ტექსტის დაყოფა შემთხვევის epizodebis მიხედვით

როდესაც კაზუსი რამდენიმე epizodisagan შედგება, მიზანშეწონილია მისი ცალკეულ პატარა შემთხვევებად დაყოფა. ეს პატარა შემთხვევები კი ცალკეულ ქმედებებად (მოქმედებად ან უმოქმედობად). უმოქმედობის, როგორც დაუდგი ქმედების დანახვა ხშირად ძნელია.

პეტრემ მოკლა ეზოს ძაღლი, ნოკაუტში ჩააგდო ღამის დარაჯი და შეანგრია პავლეს სახლის კარი. სეიფის გახსნისას მან მეორე ოთახში მიეკლინებიდან ადრე დაბრუნებული, პისტოლეტით შეიარაღებული სახლის პატრონი დაინახა. მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტომამდე მან პავლეს მაგიდაზე მდგარი კონიაკის სავსე ბოთლი ჩაარტყა თავში. მსხვერპლი ადგილზევე გარდაიცვალა. პეტრემ ფანჯრიდან გადახტომისას ფეხი მოიტეხა, მაგრამ სეიფიდან გამოღებული განძეული მაინც არ დატოვა და პავლეს ავტომანქანით მიიმალა.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პეტრეს ქმედება?

ამ კაზუსში გვაქვს ორი აქტი: პეტრეს მოქმედება ეზოში და შემდეგ კი – სახლში. შესაძლებელია საქმის განხილვა **ქრონოლოგიურად**: მაშინ ჯერ ის შემადგენლობები განიხილება, რომლებიც ეზოში განხორციელებული მოქმედებით შესრულდა, შემდეგ სახლში განხორციელებული მოქმედებანი. მეთოდურად სწორია იმ აქტის პირველად განხილვა, რომელშიც ყველაზე **მნიშვნელოვანი სამართლებრივი** სიკეთე – ადამიანის სიცოცხლე დაზიანდა. შემდეგ განხილულ უნდა იქნას ნოკაუტში ჩაგდებული დარაჯის ჯანმრთელობის დაზიანება. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემადგენლობის განხილვის მერე ავტორი გადავა ადამიანის უფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განხილვაზე (ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა; კონკურენცია სსკ 160-ე მუხლი და 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი). მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაანალიზდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები: ძვირფასეულობის და ავტომანქანის გატაცება – ყაჩაღობა ბინაში შეღწევით და სულ ბოლოს კი ნივთის დაზიანება ან განადგურება (ძაღლის მოკვლა).

დასკვნის ტექსტის დაყოფა მოქმედ პირთა მიხედვით

თუ კაზუსში რამდენიმე პირის ქმედებაა დასაკვალიფიცირებელი, თვითეული ამ პირის ქმედება ცალ-ცალკე უნდა განიხილოთ. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც პირები **თანაამსრულებლები** არიან და მათ ამ მოცემულ შემთხვევაში სრულიად იდენტური ქმედება ჩაიდინეს, მაგ. ვინმეს თავს დაესხნენ და სცემეს, შესაძლებელია მათი ქმედების ერთად განხილვა.

საკითხავია, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს დანაშაულთა კვალიფიკაცია, როდესაც თანაამსრულებლობისას პირები იდენტურ ქმედებას არ ჩადიან და მხოლოდ მათი ერთად აღებული ქმედება იძლევა დანაშაულის შემადგენლობას? მაგ. ძარცვისას ერთი პირი ძალადობს, მეორე კი სხვის მოძრავ ნივთს ეუფლება (სსკ 178-ე მუხლი მე-2 ნაწილი). ამგვარ შემთხვევაში უკეთესია პირთა ქმედებების ცალ-ცალკე ანალიზი და ამ ცალკეულ ქმედებათა ობიექტური შერაცხვა ყველა თანაამსრულებლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილეობის დროს წამქეზებლის (და ხშირად დამხმარის) მოქმედება ამსრულებლის მოქმედებამდე ხორციელდება, თანამონაწილეობის აქცესორულობის პრინციპიდან გამომდინარე, ამსრულებლის მოქმედება თანამონაწილეთა (წამქეზებლის და დამხმარის) ქმედების განხილვამდე უნდა გაანალიზდეს. ამგვარად შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ თანამონაწილეობის და შუალობითი ამსრულებლობის დროს დანაშაულის კვალიფიკაციის შემდეგი ზოგადი წესი:

*თანამონაწილეობისა და შუალობითი ამსრულებლობის დროს დასკვნას ქმედების **უშუალო ამსრულებლით**, იმ პირით ვიწყებთ, რომელიც დანაშაულის შემადგენლობასთან ყველაზე ახლოსაა.*

დანაშაულის შემადგენლობის განხილვის დაწყება შუალობითი ამსრულებლითაცაა შესაძლებელი. ეს მაშინ, როდესაც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი შეურაცხადი ან ბრალის გარეშე მოქმედი პირია და შუალობითი ამსრულებლობა არაყოთარ პრობლემას არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში „ცოცხალ იარაღზე" დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის ანალიზისას ვსაუბრობთ და ხაზს შუალობითი ამსრულებლის „ქმედებაზე ბატონობას" ვუსვამთ.

თუ დანაშაულის სუბიექტები თანაამსრულებლები ან თანამონაწილეები არ არიან და არც შუალობითი ამსრულებლობის სამართლებრივი ინსტიტუტით უკავშირდებიან ერთმანეთს, საჭიროა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე **ლოგიკური კავშირი** განსახილველ ქმედებებს შორის. მაგ. სსკ 186-ე მუხლი (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება) სტუდენტმა იმ ნორმის შემდეგ უნდა განიხილოს, რომელიც ნივთის მოპოვების ამ დანაშაულებრივ გზას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დასკვნაში ქმედებათა განხილვის თანმიმდევრობის ზოგადი წესის თანახმად, ანალიზს იმ პირის ქმედებით ვიწყებთ, ვინც **ყველაზე მძიმე დანაშაული ჩაიდინა.**

დელიქტების განხილვის თანმიმდევრობა, თუ ერთმა პირმა სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული რამდენიმე ქმედება განახორციელა

თუ კაზუსში (ანდა კაზუსის ერთ აქტში) ერთმა პირმა რამდენიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორციელა, ამ ქმედებათა განხილვა შემდეგი ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა მოხდეს:

1. თუ ამ კანონთა შორის კონკურენციაა, ეს თავიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული. არაა საჭირო იმ მუხლის გაანალიზება, რომელიც სხვა მუხლის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს.

ე.ი. არაა საჭირო დაწვრილებითი განხილვა ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისა და სხვისი ნივთის დაზიანებისა (ბინის ძვირფასი კარის შენგრევით), როდესაც ვიხილავთ ქურდობას ბინაში შეღწევით (177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტი).

2. არაა საჭირო იმ მუხლის განხილვა, რომელიც ლოგიკურად გამოირიცხება

მაგ. ზედმეტია დაუხმარებლობის (სსკ 129-ე მუხლი) განხილვა, თუ პირმა მსხვერპლი მკვლელობის განზრახვით დაჭრა და დაჭრილს არ დაეხმარა. ალოგიკური და უაზრო იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ პირი, რომელიც მკვლელობის მიზნით დაჭრის მსხვერპლს, ვალდებულია, დაეხმაროს მას.

3. **ძირითადი შემადგენლობა კვალიფიკაციამდე** უნდა განვიხილოთ. დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის ნიშნები უფრო ზოგადადაა ფორმულირებული, ვიდრე კვალიფიციური შემადგენლობა. ამიტომაც, თუ დანაშაულის

ძირითადი შემადგენლობა არაა განხორციელებული, ზედმეტია დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის განხილვა.

4. თუ თავიდანვე ცხადია, რომ დანაშაულის ორივე შემადგენლობაა განხორციელებული, როგორც ძირითადი, ასევე კვალიფიციური, წერის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, დასმულ კითხვაში (ჰიპოთეზაში) უნდა მოვიხსენიოთ ორივე შემადგენლობა. ანალიზისას ჯერ შესაძლებელია განვიხილოთ ძირითადი შემადგენლობა (ძირითადი შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური მხარე) და შემდეგ კვალიფიციური შემადგენლობა (მისი ობიექტური და სუბიექტური მხარე), ანდა ძირითადი შემადგენლობის ობიექტური მხარის განხილვის შემდეგ განვიხილოთ კვალიფიკაციის ობიექტური შემადგენლობა და ძირითადი შემადგენლობის სუბიექტური მხარის განხილვის შემდეგ კი კვალიფიკაციის სუბიექტური მხარის შემადგენლობა. მართლწინააღმდეგობა და ბრალი როგორც ძირითადი, ასევე კვალიფიციური შემადგენლობისათვის ერთად განიხილება და წერის დრო ამგვარად დაიზოგება.

5. ზოგჯერ დანაშაულის შემადგენლობები ერთმანეთს გამორიცხავენ. ამგვარ შემთხვევებში განხილვა იმ მუხლით უნდა დავიწყოთ, რომლის შესრულება უფრო სავარაუდოა. თუ ერთი შემადგენლობის არსებობა დავასაბუთეთ, მეორის განხილვა აღარაა საჭირო.

მაგ. ქურდობა (177-ე მუხლი) და ძარცვა (178-ე მუხლი).

6. თუ ზემოხსენებული წინაპირობანი არა გვაქვს, განხილვას ვიწყებთ კაზუსში მოცემული **ყველაზე მძიმე დანაშაულით.**

ანალიზის თანმიმდევრობა განხილულ დელიქტში

უმოქმედობის, მომზადების, მცდელობის და გაუფრთხილებლობის დასჯადობა მეორადი ხასიათისაა. თუ, მაგალითად, დავასაბუთეთ, რომ განხორციელებულია ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც დამთავრებული დანაშაული, არაა საჭირო ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობის განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი დამთავრებული დანაშაული როგორც მომზადების, ასევე მცდელობის შემადგენლობასაც მოიცავს. განზრახვის დადასტურების შემდეგ სრულიად ზედმეტია გაუფრთხილებლობის განხილვა, რადგან განზრახვა და გაუფრთხილებლობა ერთმანეთს ლოგიკურად გამორიცხავს. ასევე ლოგიკურად ერთმანეთს გამორიცხავს მოქმედება და უმოქმედობა.

დანაშაულის ჩადენის ყველა ეს ფორმა უნდა გაანალიზდეს დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულების მიხედვით:

I. ქმედების შემადგენლობა
II. მართლწინააღმდეგობა
III. ბრალი
IV. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებანი

ეს სქემა დანაშაულის ყველა ფორმის ანალიზს ედება საფუძვლად. დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა ფორმების სქემებიც ამ ძირითად სქემაზე აიგება.

დანაშაულის შემადგენლობის ანალიზი დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნების დადგენით იწყება. შედეგიან დანაშაულებში აუცილებელია ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

ელექტრომაღაზიაში შესული ბიჭები პეტრეს ხუმრობით ჰკრავენ ხელს და წააქცევენ მას. იგი დაეჯახება და გატეხავს პლაზმურ ტელევიზორს. გასარკვევია პეტრეს ქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა. პეტრე პლაზმურ ტელევიზორს რომ არ დასცემოდა, ტელევიზორი არ გატყდებოდა. მიზეზობრივი კავშირის დადგენა და მერე ობიექტური შერაცხვის უარყოფა იმ საფუძვლით, რომ შედეგი მიზეზობრიობაში მესამე პირების ჩართვამ გამოიწვია და პეტრეს ეს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება, საქმის გადაწყვეტის მეტად გრძელი გზაა. პეტრეს პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს ქმედების ობიექტური მხარის განხილვის დასაწყისშივე. vis absoluta გამორიცხავს პირის ნებელობით ქმედებას და შესაბამისად, ქმედების ობიექტურ მხარეს. ამგვარ შემთხვევაში ობიექტურ შერაცხვაზე საუბარი მხოლოდ იმის გამო, რომ ვაჩვენოთ სამართლის ამ ინსტიტუტზე ჩვენი ცოდნის დონე, შეცდომად ჩაითვლება.

დანაშაულის სუბიექტური მხარის განხილვისას ყურადღება ექცევა იმას, მოიცავს თუ არა განზრახვა დანაშაულის ობიექტური მხარის ყველა ნიშანს, მათ შორის, მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. თუ განზრახვა არაა პრობლემატური, საკმარისია მისი დადასტურება მხოლოდ ერთი წინადადებით.

პირი მოქმედებდა განზრახ, რადგან მან იცოდა, რას აკეთებდა და სურდა აღნიშნული ქმედების შესრულება (და მისი შედეგი შედეგიან დანაშაულებში).

დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარის დადგენის შემდეგ ქმედების მართლწინააღმდეგობა განიხილება. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უნდა გაანალიზდეს. თუ აშკარაა, რომ ეს გარემოებები არა გვაქვს, ვადგენთ ლაკონურად:

პირის მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა, რადგან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არ გვაქვს.

თუ განზრახვა დანაშაულის სუბიექტურ მხარეში დადასტურდა, ბრალის ეტაპზე ლაკონურად დადგინდება განზრახვის არსებობაც და ბრალიც. ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ანალიზი, მათი დადასტურება ან უარყოფა მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, როდესაც საამისო მიზეზი გვაქვს. თუ ბრალის გამომრიცხველი გარემოებები არაა სახეზე, უნდა დავადგინოთ:

ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არ გვაქვს. პირი მოქმედებდა ბრალეულად.

თუ დანაშაულებრივი შედეგი, მართალია, დადგა, მაგრამ პირს განზრახული და დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება, საჭიროა ჯერ დამთავრებული დანაშაულის განხილვა. დანაშაულის ობიექტური მხარის ანალიზისა და ობიექტური შერაცხვის უარყოფის შემდეგ კი ავტორი დანაშაულის მცდელობის განხილვაზე უნდა გადავიდეს. თუ დანაშაულებრივი შედეგი არ დამდგარა, საჭიროა პირდაპირ დანაშაულის მცდელობის განხილვა.

დანაშაულის შემადგენლობის ანალიზი დაუმთავრებელი დანაშაულის დროს დანაშაულის სუბიექტური მხარით უნდა დავიწყოთ. ჯერ უნდა დადგიდეს პირის **განზრახვის შინაარსი**, ე.ი. ის, თუ რისი მიღწევა სურდა პირს და მხოლოდ ამის შემდგომ — დადგა თუ არა ეს განზრახული შედეგი. **გაუფრთხილებელი დანაშაული** მხოლოდ მაშინაა დასჯადი, თუ ამის შესახებ კოდექსის შესაბამის მუხლშია მითითებული (სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი).

დანაშაულის ამომწურავი კვალიფიკაცია

დანაშაულის კვალიფიკაცია არის ნორმის აბსტრაქტული წინაპირობების (დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების, დისპოზიციის) დადგენა საქმის გარემოებაში. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ჯერ ნორმის დისპოზიცია და დანაშაულის შემადგენლობა დადგინდეს. დანაშაულის შემადგენლობა მთლიანად არ ემთხვევა კერძო ნაწილში გათვალისწინებულ დისპოზიციას, რადგან დანაშაულის შემადგენლობის ის ნიშნები, რომლებიც საერთოა ყველა ქმედებისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშია გათვალისწინებული (მაგალითად, განზრახვა, გაუფრთხილებლობა).[1]

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები ზოგჯერ ალტერნატიულად ან კუმულატიურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები ერთმანეთს კუმულატიურად უკავშირდება, პირის ქმედების დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად აღიარებისათვის ყველა ამ ნიშნის არსებობაა საჭირო. დანაშაულის შემადგენლობის ალტერნატიული ნიშნებიდან კი პირის ქმედებაში მხოლოდ ერთი ნიშნის არსებობაა საკმარისი მისი დანაშაულის შემადგენლობისადმი შესაბამისად აღიარებისათვის.

დანაშაულის შემადგენლობის ალტერნატიულ ნიშნებს მოიცავს სსკ 187-ე მუხლი ნივთის განადგურება ან დაზიანება. პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის საკმარისია დასახელებული ორი ნიშნიდან ერთის არსებობა.

როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ალტერნატიული და კუმულატიური ნიშნები? თუ ძნელია დადგენა იმისა, ნორმაში მოცემული ნიშნები ალტერნატიულია თუ კუმულატიური, შემდეგ

[1] სწორია ტურავას აზრი რომ, დანაშაულის კვალიფიკაცია შედეგია, სუბსუმცია კი პროცესი (პირადი საუბრიდან).

ხერხს უნდა მივმართოთ: ამ ნიშანთა შორის აზრობრივად უნდა ვიგულისხმოთ კავშირი „და“ ანდა კავშირი „ან“. იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირი „ან“ აზრობრივად ჩაჯდება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შორის, დანაშაულის შემადგენლობის ალტერნატიული ნიშნები გვექნება. მაშინ კი, როდესაც ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შორის კავშირი „და“ იგულისხმება, ეს ნიშნები კუმულატიურია. სისხლის სამართალში განსაკუთრებით ხშირია დისპოზიციები ალტერნატიული ნიშნებით.

მაგ., სსკ 143[1] ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მოიცავს შემადგენლობის მრავალ ალტერნატიულ ნიშანს. ამ ნიშანთა ალტერნატიულობაზე მიგვანიშნებს კანონმდებლის მიერ შიგადაშიგ ნახმარი კავშირი „ან“ და „ანდა“. ეს მუხლი შემდეგნაირად უნდა წავიკითხოთ: ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, (ან) ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, (ან) მოტაცებით, (ან) შანტაჟით, (ან) თაღლითობით, (ან) მოტყუებით (ან) უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, (ან) საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება (ან) გადაყვანა (ან) გადამალვა (ან) დაქირავება (ან) ტრანსპორტირება, (ან) გადაცემა, (ან) შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

ეს საკითხი შეიძლება მეტად სადავო გახდეს სსკ 272-ე მუხლის განმარტებისას, სადაც ადამიანით ვაჭრობის მუხლისაგან განსხვავებით, მოქმედების ამ ალტერნატივათა შორის კავშირი „ან“ ერთხელაც არაა ნახსენები. ეს მუხლი დასჯადად აცხადებს „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპიული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიებას“. ამ აკრძალულ ნივთიერებათა ჩამოთვლისას მათ შორის „ან“ კავშირი მართალია, არაა ნახმარი, მაგრამ იგი მოიაზრება.

გაუპატიურებისათვის (სსკ 137-ე მუხლი) აუცილებელია რამდენიმე კუმულაციური ნიშნის არსებობა (ალტერნატიულ ნიშნებთან ერთად). კერძოდ, არა მარტო ძალადობა, ან მუქარა, ან უმწეობის გამოყენება, არამედ სქესობრივი კავშირიც. მხოლოდ სქესობრივი კავშირი, ამ ხერხების გარეშე არაა გაუპატიურება. ასევე მხოლოდ ძალადობა ან მუქარა სქესობრივი კავშირის გარეშე წარმოადგენს გაუპატიურების მცდელობას, მაგრამ არა დამთავრებულ დანაშაულს. იგივეა სსკ 138-ე მუხლშიც.

ასევე გამოძალვისათვის (სსკ 181-ე მუხლი) საჭიროა რამდენიმე კუმულაციური ნიშანი (ალტერნატიულთან ერთად). კერძოდ, არა მარტო მოთხოვნა სხვისი ნივთისა (ან ქონებრივი უფლების, ან ქონებრივი სარგებლობისა), არამედ ამ მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს ძალადობის მუქარა (ან ნივთის განადგურების ან დაზიანების მუქარა, ან სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა და ა.შ.).[1]

სუბსუმციის დროს აუცილებელია დადგენა იმისა, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ნორმაში გათვალისწინებული ნიშნები და კონკრეტული შემთხვევის გარემოებანი. თუ სუბსუმციის დროს დადგინდება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შემადგენლობის ერთი რომელიმე ნიშანი არაა განხორციელებული, სუბსუმცია უნდა დასრულდეს და გაკეთდეს დასკვნა ამ დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის შესახებ. თუ დადგინდება, რომ ნორმის შემადგენლობა შესრულებულია, არ შეიძლება მხოლოდ ამ ერთ ნორმას დავჯერდეთ. უნდა გაგრძელდეს სხვა საპასუხო ნორმების გამოძებნა და მათი სუბსუმცია იქამდე, სანამ ყველა შესაბამისი ნორმა გამოიძებნება და საკითხი **ამომწურავად** გაშუქდება.

[1] კუმულაციურ ნიშნებზე მოყვანილი მაგალითები ეკუთვნის ნონა თოდუას.

დასკვნის სქემა-მონახაზი

კაზუსის ამოხსნის საბოლოო ტექსტის დაწერამდე აუცილებელია ნაპოვნ ნორმათა წინასწარი მოკლე (სქემატური) ანალიზი. ავტორი უამისოდ ვერ გაარჩევს მთავარს უმნიშვნელოსაგან. ქმედების შემადგენლობის წინასწარი განხილვისას სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის შესაბამისი პრობლემატიკაც ამოტივტივდება. შემთხვევის ამოხსნისას დასაკვალიფიცირებელ **ნორმათა ჩამონათვალი** უკვე დასკვნის სარჩევის წინასწარი **გეგმაა.** ამ გეგმის დამუშავება კი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ **დასკვნის მონახაზი** კაზუსში არსებული ძირითადი **პრობლემატური საკითხების** ჩამოთვლის საფუძველზე.

ქმედების შემადგენლობის პრობლემატური ნიშნების განხილვისას დასკვნის მონახაზში შემადგენლობის ყველა ნიშანი დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში თავისი იერარქიული ადგილის მიხედვით უნდა ჩამოიწეროს; ამას თან უნდა დაერთოს ამ ნიშანთა განმარტება, საქმის გარემოების შესაბამისი მონაკვეთი, კანონის ახსნა-განმარტება და საკუთარი მოკლე არგუმენტაცია. თუ ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშანი არაა პრობლემატური, საკმარისია სქემაში მათი მხოლოდ მოხსენიება და იმის მიხედვით, არის თუ არა ეს ნიშანი შესრულებული, მისი აღნიშვნა პლიუსით (+) ან მინუსით (-). რაც უფრო ადვილია საკვალიფიკაციო ნორმა, მით უფრო ნაკლები იწერება მასზე დასკვნის პირველ მონახაზში. თუ შესაბამისი ნორმა საერთოდ არაა პრობლემატური, საჭირო არაა ქმედების შემადგენლობის ცალკეული ნიშნების იერარქიული ჩამოთვლა. სქემისათვის საკმარისია ამ მუხლის მხოლოდ მოხსენიება და მისი აღნიშვნა პლიუსით ან მინუსით.

პეტრემ პავლეს თვალებში შეხედა და მისი საფულე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჯიბეში ჩაიდო.

1. სსკ 177-ე მუხლი ქურდობა (-)
2. სსკ 178-ე მუხლი ძარცვა (+)

ამომწურავი სქემის შედგენის შემდეგ, სანამ ავტორი დასკვნის საბოლოო ვარიანტს დაწერდეს, მან ეს სქემა საქმის გარემოების კიდევ ერთხელ დაწვრილებითი წაკითხვისა და მისი გაანალიზების საფუძველზე უნდა გადაამოწმოს. სქემა მან უნდა სრულყოს, თუ იგი კაზუსის ტექსტში რაიმე ისეთ გარემოებას იპოვის, რომელიც მას სამართლებრივად არ შეუფასებია. კაზუსის ამოსახსნელად ჩამოყალიბებული სქემა დროს ზოგავს და დასკვნის საბოლოო ვარიანტის დაწერას აადვილებს. ასეთი სქემის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ დასკვნის ავტორს პრობლემატური საკითხები მხედველობიდან არ გაეპარება. ამგვარად დაწერილი დასკვნა, მართალია ლოგიკურად და მეთოდურად სწორი იქნება, მაგრამ არასგზით – საქმის გადაწყვეტის ერთადერთი შესაძლო ვარიანტი. როგორც წესი, ლექტორი კაზუსში რამდენიმე პრობლემატურ საკითხს დებს, რომლთა შესახებაც სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში **აზრთა სხვადასხვაობაა** შესაძლებელი.

სქემის საბოლოო გადამოწმება აუცილებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი – **„მართალი სამართლის“** და არაპროფესიონალის ზოგადი სამართლებრივი შეხედულების – კუთხითაც. შესაძლებელია ავტორმა სქემაში შეცდომაც კი იპოვოს, თუ იგი დარწმუნდება, რომ არაპროფესიონალი საქმეს ამგვარად არ გადაწყვეტდა.

დასკვნის ენობრივი სტილი

სტუდენტის მიერ დაწერილი დასკვნა გასაგები, ცოცხალი, ბარბარიზმებისაგან და "კალკებისაგან" თავისუფალი ენით უნდა იყოს დაწერილი.

მოკლე სტილისტური მითითებანი:

1. სტუდენტმა მარტივი და მოკლე წინადადებები უნდა იხმაროს და ჩახლართული ფორმულირებანი აუცილებლად თავიდან უნდა აიცილოს.

2. ხელოვნურად ჟღერადი პასივის მაგიერ აქტივი უნდა გამოიყენოს:

მაგ. „ა მოკლულ იქნა ბ-ს მიერ“ ხელოვნურად ჟღერს. უკეთესია შემდეგი ფორმულირება „ბ-მ მოკლა ა“.

3. სასურველია, რომ დასკვნის ტექსტში ქმედება ზმნებით გამოხატოს და არა გაარსებითებული ზმნებით.

მაგ.: სისხლის სამართალი ემპირიულად მტკიცებად რეალობას უნდა ასახავდეს.

და არა

სამართალი უნდა იყოს ემპირიულად მტკიცებადი რეალობის ასახვა.

4. უცხო ტერმინის გამოყენებას მარტო მაშინ აქვს აზრი, თუ არ არსებობს შესაბამისი ქართული სიტყვა.

5. ავტორმა შემდეგი გამოთქმანი: „ეჭვგარეშე“, „აშკარა“, „რა თქმა უნდა“, „რასაკვირველია“ და ა.შ. არ უნდა იხმაროს. ამგვარ სიტყვებს და გამოთქმებს ადამიანები მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც ისინი საკუთარი არგუმენტაციის სისწორეში დარწმუნებული არ არიან. იურიდიული დასკვნა კი დამაჯერებელი არგუმენტაციით უნდა გამოირჩეოდეს.

6. ავტორმა ასევე უნდა აიცილოს თავიდან გამოთქმა „ჩემი აზრით“, რადგან კაზუსის ამოხსნისას მას საკუთარი სუბიექტური აზრის გამოხატვას კი არ სთხოვენ, არამედ კანონის ინტერპრეტაციას.

კაზუსი საშინაო დავალებად და საკონტროლო წერისათვის

საშინაო დავალებად მიცემული კაზუსი საკონტროლოდ მიცემულისაგან მოცულობით და სიძნელით გამოირჩევა. საშინაო დავალება საშუალებას აძლევს სტუდენტს, დაამუშაოს საკვანძო საკითხებზე არსებული ლიტერატურა, სასამართლო პრაქტიკა და შეისწავლოს აკადემიური წერის ფორმალური მხარე.

საშინაო დავალების ფორმალური მხარე

საშინაო დავალება უკეთესია (შესაძლებლობის ფარგლებში) დაბეჭდილი და რაიმე ფორმით აკინძული იყოს. თუ ნაშრომი ხელითაა დაწერილი, ხელნაწერი ძნელი წასაკითხი არ უნდა იყოს. გვერდები დანომრილი უნდა იყოს. გამსწორებლის შენიშვნებისათვის როგორც ნაბეჭდ, ასევე ხელნაწერ ტექსტში გვერდის მარცხენა 1/3 მინდორი უნდა იყოს დატოვებული.

ნაბეჭდი ტექსტი „აკად. ნუსხურით“ უნდა შესრულდეს. შრიფტის ზომა ტექსტში 12, სტრიქონებს შორის მანძილი კი 1 1/2 უნდა იყოს. სქოლიოში შრიფტის ზომა 10, წინადადებათა შორის მანძილი კი 1 უნდა იყოს და ამგვარად, დასკვნის ტექსტისაგან გამოირჩეოდეს.

საშინაო დავალება შედგება:

1. თავფურცლის (მოიცავს სტუდენტის გვარსა და სახელს, საგნის დასახელებას, პროფესორის გვარსა და სახელს, ვისთანაც საშინაო დავალება დაიწერა)
2. კაზუსის ტექსტის
3. სარჩევის
4. გამოყენებული ლიტერატურის სიის
5. შემოკლებების ჩამონათვალის (აბრევიატურის) და
6. დასკვნის ტექსტისაგან

სარჩევი

სარჩევი მოკლე და კონკრეტული უნდა იყოს. სარჩევში არ შეიძლება დაიწეროს სრული (არც თხრობითი და არც კითხვითი) წინადადება. მასში ტექსტში გაანალიზებული დანაშაულის ყველა შემადგენლობა უნდა აისახოს.

თუ საკითხი სულ მცირე ორ ქვესაკითხად არ იყოფა, **არ შეიძლება მისი დაყოფა**, რადგან აუცილებლად „ანის მთქმელმა ბანიც უნდა თქვას“. ისევე როგორც წიგნში, სარჩევში შესაბამისი გვერდზე უნდა მიეთითოს.

გამოყენებული ლიტერატურის სია

გამოყენებული ლიტერატურის სიაში (ბიბლიოგრაფიაში) უნდა ჩამოიწეროს მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელიც ავტორმა მართლა წაიკითხა და რომლებიც სქოლიოშია მოხსენებული. წიგნები ბიბლიოგრაფიაში ალფაბეტურად, ავტორთა გვარის მიხედვით უნდა დალაგდეს და არა წიგნის გამოყენების ინტენსივობის ან ავტორთა სახელის მიხედვით. თუ ერთი ავტორის რამდენიმე წიგნია გამოყენებული, ისინი სტუდენტმა გამოშვების წლის მიხედვით უნდა ჩამოწეროს. აუცილებელია მითითება ავ-

ტორის როგორც გვარზე, ასევე სახელზე. გამოყენებული **ნორმატიული მასალა** გამოყენებული ლიტერატურის სიაში არ მოიხსენიება.

თუ დავალება კომპიუტერითაა დაწერილი, სასურველია წიგნის ავტორის გვარის და სახელის *კურსივით* დაწერა. ავტორის ან რედაქტორის **სამეცნიერო წოდებაზე** მითითება არც ბიბლიოგრაფიაში და არც სქოლიოში არაა საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურის სია შემდეგნაირად უნდა შევადგინოთ (შესაძლო ვარიანტები):

ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი სახელძღვანელო

სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი I, ავტორთა კოლექტივი, *ტყეშელიაძე გიორგი* (რედ.), თბილისი, 2005.

ერთი ავტორის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო და მონოგრაფია

წერეთელი თინათინ, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961

თუ მონოგრაფიას რამდენიმე ავტორი ჰყავს, ავტორთა გვარები ერთმანეთისაგან წილადის ნიშნით გამოიყოფა.

წერეთელი თინათინ/ტყეშელიაძე გიორგი, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969.

კომენტარები

სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2002.

სტატია

გამყრელიძე ოთარ, გერმანულ-რუსული ლექსიკონის გამოცემის გამო, „მაცნე", 1998, №1.

ციტირება და სქოლიო

თუ სხვა ავტორის აზრს ვიშველიებთ, სქოლიოში მისი ზუსტი მითითება აუცილებელია. სხვისი აზრის სიტყვა-სიტყვითი მოყვანა ამ აზრის ბრჭყალებში ჩასმით მხოლოდ მაშინაა საჭირო, როდესაც არგუმენტის ავტორისმიერი ფორმულირება მეტად დიდი მნიშვნელობისაა. სქოლიოში ციტირებული ნაშრომის ავტორის მხოლოდ გვარის მოხსენიებაა საჭირო, რადგან ავტორის სახელი ბიბლიოგრაფიაში უკვე მითითებულია. ავტორის სახელის პირველ ასოზე და წიგნის გამოცემის წელზე სქოლიოში ყურადღებას აღარ ვამახვილებთ, რადგან ამაზე მითითება ბიბლიოგრაფიაში უკვე არის. თუ ნაშრომი კომპიუტერითაა შესრულებული, ავტორის გვარი კურსივით უნდა დაიწეროს.

მონოგრაფია

მაგ. *ნაჭყებია*, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, გვ.

ჟურნალზე მითითებისას სქოლიოში გამოცემის წელსაც უთითებთ

გამყრელიძე, გერმანულ-რუსული ლექსიკონის გამოცემის გამო, „მაცნე", 1998, N 1, გვ.

სქოლიოში ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოზე მითითებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ ავტორზე, რომლის აზრის ციტირებაც ხდება

თოდუა, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გვ.

ეს ფორმალური ხასიათის მითითებანი მხოლოდ საორიენტაციო ხასიათისაა. საკითხის სხვა სახით გადაწყვეტა, თუ დაცულია სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული სხვა სტანდარტები, შეცდომად არ ჩაითვლება.

შემოკლებების ჩამონათვალი (აბრევიატურა)

შემოკლებების ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს დასკვნის ტექსტში გამოყენებულ ყველა შემოკლებას, ცნობილსა თუ შედარებით ნაკლებად ცნობილს.

სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
ა.შ.	ასე შემდეგ
გვ.	გვერდი
NJW	Neue Juristische Wochenschrift

ნაშრომის ორიგინალობის დადასტურება

ავტორმა საშინაო დავალების ტექსტს ბოლოში ხელი უნდა მოაწეროს და ამგვარად დაადასტუროს, რომ მან ეს ნაშრომი დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე დაწერა.

მეცნიერული კამათის გადმოცემის ტექნიკა

ავტორმა ჯერ უნდა საკითხი დასვას, მისი გადაწყვეტის რამდენიმე გზა აჩვენოს, თითოეული ამ შეხედულების არგუმენტები მოიყვანოს და გააკრიტიკოს ისინი. სულ ბოლოს ის შეხედულება უნდა დაასახელოს, რომელსაც თავად უჭერს მხარს და თავისი ეს შეხედულება არგუმენტებით გაამყაროს.[1]

ყოველგვარი არგუმენტის გარეშე მითითება იმაზე, რომ ამ შეხედულებას ესა თუ ის ცნობილი მკვლევარი უჭერს მხარს, არაა არავითარი არგუმენტი და მხოლოდდამხოლოდ ავტორის ავტორიტარულ აზროვნებას უსვამს ხაზს. აკადემიური ნაშრომი, რომელიც ამგვარ არგუმენტაციას ეყრდნობა, მეცნიერულობით ვერ დაიკვეხნის.

საკანონმდებლო წყაროები

გამოყენებული ნორმატიული მასალა ავტორმა არც სქოლიოში უნდა მიუთითოს და არც ბიბლიოგრაფიაში. ასევე არაა საჭირო კოდექსის შესაბამისი მუხლის სიტყვა-სიტყვითი ციტირება, რადგან დავალების გამსწორებელი კანონს თავადაც კარგად იცნობს.

საკონტროლო სამუშაო

საკონტროლო სამუშაო ხელით იწერება. იგი მხოლოდ თავფურცლისა და ტექსტისაგან შედგება. საჭირო არაა სარჩევი და აბრევიატურა. ტექსტი ცალ გვერდზე იწერება და ინომრება. გამსწორებლისათვის მარცხენა მხარეს მინდორი ფურცლის 1/3 უნდა დარჩეს. რადგან სტუდენტი საკონტროლოს ლიტერატურის

[1] ჰენშელი, იქვე, გვ. 42, 146.

დახმარების გარეშე, მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის მოშველიებით წერს, ციტირება და სქოლიო არაა საჭირო.

საკონტროლო სამუშაოს დაწერისას აუცილებელია საქმის გარემოების გულისხმიერი წაკითხვა და ამის შემდეგ ამოხსნის მონახაზის გაკეთება. მართალია, ამოხსნის მონახაზის გასაკეთებლად დრო იხარჯება, მაგრამ სამაგიეროდ, ეს თავიდან გვაცილებს იმ შეცდომებს, რომელთაც ამოხსნის ტექსტის პირდაპირ დაწერის დროს დავუშვებდით.

თუ სტუდენტი საკონტროლოს დაწერისას დროის უქონლობის გამო ტექსტის ერთი ნაწილის საბოლოო ფორმულირებას ვერ მოახერხებს, უკეთესია, თუ იგი განსახილველ საკითხებს დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულების სქემის მიხედვით მოკლედ მაინც ჩამოწერს და მათ პლიუსით ან მინუსით აღნიშნავს. გამსწორებელი ამგვარად მიხვდება, რომ ავტორმა პრობლემა და მისი გადაწყვეტა დაინახა.

დანაშაულის სუბსუმცია ქმედების კვალიფიკაციის ლოგიკური საფეხურები

ქმედების კვალიფიკაციისათვის საჭიროა შემდეგი ლოგიკური საფეხურები:

1. ჰიპოთეზა და შესაბამისი გამოსაყენებელი ნორმის მოძებნა
2. სუბსუმცია

კაზუსის ამოხსნისას ავტორმა უპირველესად შეკითხვა უნდა დასვას **ჰიპოთეტურ ფორმაში** და იმ **მუხლზე** მიუთითოს, რომლის ანალიზიც მას აქვს განზრახული.

შესაძლებელია, საკითხავია, დასადგენია ჩაიდინა თუ არა ა-მ სსკ 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება (ქურდობა). კაზუსის ამოსახსნელად ნორმის პოვნის შემდეგ უნდა გაანალიზდეს დანაშაულის შემადგენლობის თითოეული ნიშანი. თუ კაზუსში არაა ნათქვამი, რომ ერთ-ერთი მოქმედი პირი მცირეწლოვანია, ამოხსნის დროს სუბიექტის ასაკზე ანდა შერაცხადობაზე ყურადღების გამახვილება არაა საჭირო და შეცდომად ჩაითვლება, თუ სტუდენტი დასკვნის ტექსტში ამ საკითხს მაინც ჩაალრმავებს.

ჰიპოთეზა ქმედების შემადგენლობის ცალკეული ნიშნის გასაანალიზებლადაც უნდა ჩამოყალიბდეს. მისი არსებობა შესაბამისი ლოგიკური ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს. თუ ქმედების შემადგენლობის ნიშანი მარტივია და ადვილი დასადგენი, ლოგიკური საფეხურების მიხედვით მისი გაანალიზება არაა საჭირო.

მაგ. არაა საჭირო ლოგიკური ანალიზის საშუალებით დადგენა იმისა, რომ ხელჩანთა ანდა ოქროს ბეჭედი მოძრავი ნივთია (სსკ 177-ე მუხლი) ანდა თირკმელი ადამიანის ორგანოა (სსკ 135-ე მუხლი).

ქმედების შემადგენლობის ნიშანი ამ დროს ავტორმა არ უნდა გამოტოვოს, მან იგი აუცილებლად უნდა დაასახელოს და მისი არსებობა მხოლოდ ორიოდე სიტყვით დაადასტუროს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია დასკვნა აბსოლუტურად სწორი იყოს, მაგრამ მან კარგი შეფასება მაინც ვერ დაიმსახუროს, რომელიმე ნიშნის გამოტოვების ანდა ზედმეტი ჩაღრმავების გამო. ასევე არაა სწორი რომელიმე თავისთავად მეტად საინტერესო და კარგი დასამუშავებელი პრობლემის (მაგ. მიზეზობრივი კავშირის, ობიექტური შერაცხვის) ამომწურავი განხილვა, თუ შემთხვევა ამ საკითხის ჩაღრმავების საფუძველს არ იძლევა. ზოგადი წესი იმის დასადგენად, თუ რომელი ნიშანია მნიშვნელოვანი და რომელი ზედმეტი, არ არსებობს. ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ კონკრეტული კაზუსის საფუძველზეა შესაძლებელი.

თუ ქმედების რომელიმე ნიშანი კაზუსში არაა განხორციელებული, ავტორი დანაშაულის შემადგენლობის არარსებობას დაადგენს და საჭიროების შემთხვევაში სხვა ქმედების კვალიფიკაციაზე გადავა.

პეტრე ჩუმად შევიდა პავლეს ბინაში და მისი საოჯახო ალბომი და მასში მოთავსებული სურათები დახია. მას ეგონა, რომ იგი ამ ქმედებით სსკ 187-ე მუხლს (ნივთის დაზიანება ან განადგურება) ახორციელებდა. ამ კაზუსის განხილვისას სტუდენტმა თავდაპირველად უნდა გააანალიზოს ქმედების შემადგენლობის ნიშნები „სხვისი ნივთი“ და „დაზიანება ან განადგურება“. პავლეს საოჯახო ალბომი პეტრეს არ ეკუთვნოდა და ე.ი. იგი სხვისი იყო, დახევა კი მის განადგურებას ნიშნავს, რადგან დახეულ სურათს მისი დანიშნულების შესრულება უკვე აღარ შეუძლია. ქმედების ეს ნიშნები აუცილებლად უნდა გაანალიზდეს და მისი არსებობა დადგინდეს. სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება კი მხოლოდ მაშინაა დასჯადი, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. რადგან ჩვეულებრივი საოჯახო ალბომის დახევა დიდ მატერიალურ ზიანს არ აყენებს ადამიანს, სტუდენტი დაასკვნის, რომ ქმედების შემადგენლობა არაა შესრულებული და პეტრე სსკ 187-ე მუხლით არ დაისჯება. სამაგიეროდ, პეტრემ პავლეს ბინაში ჩუმად შესვლით ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა დაარღვია (სსკ 160-ე მუხლი), რისი განხილვაც სტუდენტს არ უნდა გამორჩეს.

ანდა: პეტრემ ფული გადასცა სახელმწიფო მინისტრის ტექნიკურ მდივანს და სთხოვა მისი დანიშვნა ამ სამინისტროში პასუხსაგებ თანამდებობაზე. ვინაიდან ტექნიკური მდივანი არაა მოხელე და არც მასთან გათანაბრებული პირი, აქ ზედმეტია საუბარი მექრთამეობაზე.[1]

[1] თოდუას მაგალითი.

თუ კაზუსში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაა მოცემული, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხის განხილვის შემდეგ სტუდენტს ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების ანალიზი არ უნდა დაავიწყდეს.

პეტრემ პავლეს მოკვლის მიზნით ესროლა და მკლავში დაჭრა. შემდეგ იგი სინდისმა შეაწუხა და პავლე საავადმყოფოში წაიყვანა, სადაც იგი ორ-სამ დღეში გამოჯანმრთელეს. პეტრე მკვლელობის მცდელობისათვის (სსკ მე-19, 108-ე მუხლები) პასუხს არ აგებს, რადგან მან დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი (სსკ 21-ე მუხლი). იგი დაისჯება მხოლოდ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისათვის (სსკ 120-ე მუხლი). სტუდენტმა ეს მუხლი აუცილებლად უნდა განიხილოს. თუ მსხვერპლი საერთოდ არ დაზიანდა, მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის ამღები საერთოდ უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან (ამ საკითხზე დოქტრინაში არსებობს სხვა მოსაზრებაც).[1]

დასკვნის საბოლოო ტექსტში ქმედების ის შემადგენლობა, რომელიც არაა განხორციელებული, ავტორმა მხოლოდ მაშინ უნდა განიხილოს, როდესაც ამ შემადგენლობის ნიშნების არარსებობა კაზუსის პირველივე წაკითხვისთანავე არაა თვალში საცემი და მათი უარყოფისათვის იურიდიული არგუმენტაციაა საჭირო. შესაბამის მუხლთა ანალიზი უნდა გაგრძელდეს იქამდე, სანამ ამომწურავად არ გაშუქდება პირის ქმედება და შესაბამისად მის მიერ დანაშაულის ჩადენა ან უდანაშაულობა.

არსებობს პრობლემებიც, რომლებიც ავტორმა აუცილებლად უნდა იცოდეს, მაგრამ დასკვნის ტექსტში არ უნდა მოიხსენიოს. ამ საკითხებს მიეკუთვნება კაზუსის ამოსახსნელად გამოყენებული მეთოდი და დანაშაულის აგებულება.

[1] გამყრელიძე, განმარტება, გვ. 173.

სუბსუმციის ცნება და მისი სტრუქტურა

სუბსუმცია კონკრეტული შემთხვევის და აბსტრაქტულად ფორმულირებული სამართლის ნორმის ერთმანეთთან შედარებაა, რათა დადგინდეს, შესრულდა თუ არა განსახილველი ქმედების საშუალებით ალნიშნულ ნორმაში მოცემული დანაშაულის შემადგენლობა. სუბსუმციის დროს გამოიყენება **სილოგისტური დასკვნა**, რომელიც ფორმალური ლოგიკის აზროვნების მეთოდს წარმოადგენს. სილოგიზმი ორი წინაპირობისაგან და ერთი დასკვნისაგან შედგება. სილოგისტური დასკვნის პროცესში პირველ წინაპირობას (ლათ. propositio maior) უნდა შედარდეს მეორე წინაპირობა (ლათ. proposition minor). თუ ამ წინაპირობებს ერთი ცნება აერთიანებთ, გამოტანილ იქნება დასკვნა (ლათ. conclusio).

სილოგიზმის ტრადიციული მაგალითი:

ყველა ადამიანი მოკვდავია (propositio maior)
სოკრატე ადამიანია (propositio minor)
სოკრატე მოკვდავია (conclusio)

სილოგისტური დასკვნის მეთოდი იურისტის „სამუშაო იარაღს" წარმოადგენს. სამართლის ნორმის გამოყენება სილოგიზმის გარეშე შეუძლებელია. პირველი წინაპირობა, შემთხვევის ამოხსნისას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, დისპოზიცია უნდა იყოს, მეორე წინაპირობა კი — საქმის გარემოება. დასკვნა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ორგვარი შეიძლება იყოს: სამართლის ნორმა და საქმის გარემოება ან ემთხვევა და ან არ ემთხვევა ერთმანეთს. თუ სამართლის ნორმა და საქმის გარემოება ერთმანეთს ემთხვევა, პირს დანაშაული აქვს ჩადენილი და შეიძლება შესაბამისი ნორმის გამოყენება, თუ არადა, მისი გამოყენება დაუშვებელია.

მაგალითი №1

მკვლელობა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო მოსპობაა (propositio maior)

პეტრემ მოკლა პავლე (propositio minor)

პეტრე დაისჯება პავლეს მოკვლისათვის სსკ 108-ე მუხლი (conclusio)

მაგალითი №2

ქურდობა ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ".პუნქტი (propositio maior).

პეტრემ უკანონოდ შეაღწია პავლეს ბინაში და გაიტაცა განძეულობა. (propositio minor)

პეტრემ ჩაიდინა ქურდობა ბინაში შეღწევით სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტი (conclusio)

დანაშაულის სუბსუმცია ზემოთმოყვანილი მაგალითის მიხედვით მართალია, ლოგიკურად სწორია, მაგრამ ზედაპირული. ქმედების შემადგენლობა ერთადერთ ნიშანს კი არ მოიცავს, არამედ იგი ნიშანთა ერთობლიობაა. ამიტომაც სუბსუმცია ერთი აზრობრივი აქტი კი არაა, არამედ იგი არის კანონში გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის თვითოეული ნიშნის გაანალიზება და მისი ცალ-ცალკე შედარება ჩადენილი ქმედების ნიშნებთან. ასე რომ, ნორმაში მოცემული ქმედების შემადგენლობა მაშინაა შესრულებული, როდესაც პირის ქმედება კანონში გათვალისწინებულ ყველა ნიშანს შინაარსობრივად შეესაბამება.

ზოგიერთ ნიშნის სილოგისტური ანალიზი ავტორის მიერ ზეპირად, მხოლოდ გონებაში უნდა მოხდეს. ამგვარი ფაქტე-

ბის წერილობითი დედუქციური (სილოგისტური) მტკიცება არაა საჭირო. უხეში შეცდომა იქნებოდა, თუ სილოგიზმს შემდეგნაირად გამოვიყენებდით:

კაზუსი: პეტრემ პავლეს ოქროს ბეჭედი მოჰპარა.

ქურდობა სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებაა (სსკ 177-ე მუხლი). პეტრეს ქმედების ქურდობად დაკვალიფიცირებისათვის პავლეს ოქროს ბეჭედი მოძრავი ნივთი უნდა იყოს.

მოძრავია ნივთი, თუ მისი გადაადგილება შესაძლებელია (propositio maior).

ოქროს ბეჭდის გადაადგილება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს (propositio minor).

პავლეს ოქროს ბეჭედი მოძრავი ნივთია (conclusio).

ზემოთმოყვანილი მტკიცება, რა თქმა უნდა, ფორმალურად სწორია. მიუხედავად ამისა, ამგვარი და თავისთავად ცხადი ფაქტების სუბსუმცია ბანალურია და სრულიად ზედმეტი. მკვლელობის სუბსუმციისათვის სრულიად საკმარისია წერილობით მხოლოდ შემდეგი დასკვნის გაკეთება:

– მკვლელობის ქმედების შემადგენლობა = პირის მიერ სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (propositio maior).

– პეტრემ პავლეს სიცოცხლე ბოთლის თავში ჩარტყმით მოუსპო (propositio minor).

აქ სუბსუმცია იმდენად მარტივია, რომ მეორე წინაპირობა და დასკვნა ერთმანეთს შეერწყა.

პეტრემ პავლეს ეზოს ძაღლი მოკლა, ღამის დარაჯი ნოკაუტში ჩააგდო და პავლეს სახლის კარი შეანგრია. სეიფის გახსნისას მან მეორე ოთახში მივლინებიდან ადრე დაბრუნებული დანით შეიარაღებული სახლის პატრონი დაინახა. პეტრემ

იქვე მაგიდაზე მდგარ ბოთლს სტაცა ხელი და პავლეს თავში ჩაარტყა. სახლის პატრონი ადგილზევე გარდაიცვალა. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პეტრეს მოქმედება?

სახლში ძვირფასეულობის გატაცების მიზნით შესული პეტრეს მიერ სახლის პატრონის მკვლელობის ზემოთმოყვანილ მაგალითში პრობლემატურია არა ქმედების შემადგენლობის (პირველი საფეხური დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულებისას) და ბრალის (დანაშაულის მესამე საფეხური) ნიშნები, არამედ მართლწინააღმდეგობა. პავლეს, რომელსაც ხელში დანა ეჭირა, პეტრეს სულ მცირე, დაზიანება მაინც ჰქონდა გადაწყვეტილი. შესაძლებელია თუ არა მტკიცება იმისა, რომ პეტრე, რომელიც თავად დანაშაულს სჩადიოდა, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა? შეზღუდულია თუ არა მისი აუცილებელი მოგერიების უფლება და რის საფუძველზე? ის ავტორი, რომელიც ამ პრობლემას ვერ დაინახავს, უხეშ შეცდომას დაუშვებს.

ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისხლის სამართლებრივი კაზუსის ამოხსნისას პირველი წინაპირობა (propositio maior) აუცილებლად ქმედების შემადგენლობაა, რომელიც ნაწილობრივ დისპოზიციაშია მოცემული. სტუდენტს სისხლის სამართალში არ მოეთხოვება ამგვარი სილოგისტური დასკვნა:

– მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე (propositio maior)

– პეტრემ ჩაიდინა მკვლელობა (propositio maior)

– პეტრეს მიესჯება სასჯელი შვიდიდან თხუთმეტ წლამდე (propositio maior)

სილოგისტური დასკვნის მეორე საფეხური ყოველთვის კაზუსში მოცემული საქმის გარემოებაა, რომლის შეცვლის უფლება (ისევე, როგორც ნორმის შინაარსისა) კაზუსის ამომხსნელს

არა აქვს. მიცემული დავალების შინაარსის შეცვლა იმისათვის, რომ ავტორმა ნაცნობი და საინტერესო პრობლემები დაამუშაოს, უხეში შეცდომად ითვლება. ყურადღება ყოველთვის უნდა მიექცეს იმასაც, რომ სუბსუმცია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შედარებაა კაზუსში მოცემულ საქმის გარემოებასთან და კაზუსის შინაარსის უბრალო განმეორებით დანაშაულის კვალიფიკაცია შეუძლებელია.

დასკვნის სტილი

სამართლებრივი დასკვნა აზროვნების და წერის სპეციფიკურ სტილს უკავშირდება. ამ სტილისათვის დამახასიათებელია მოცემული წინაპირობების ანალიზის საფუძველზე დასკვნის გამოტანა. იგი შემდეგ ოთხ საფეხურს ითვალისწინებს:

1. განსახილველი პრობლემის განსაზღვრა
2. შესაბამისი სამართლებრივი ნორმის პოვნა
3. კაზუსში მოცემული წინაპირობების და სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის შედარება ანუ სუბსუმცია
4. შედეგი

ანალიზის ეს ოთხი საფეხური: კითხვის დასმა, ნორმის პოვნა, სუბსუმცია და შედეგის დადგენა იურიდიული დასკვნის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. რადგან დასკვნის დაწერის დროს შედეგი თავიდანვე თავისთავად ცხადი არაა, საჭიროა ყველა ცოტად თუ ბევრად ჭკვასთან ახლოს მდგარი შედეგი შესაძლოდ ჩავთვალოთ. აქედან გამომდინარე, იურიდიული დასკვნა, რომელიც სტუდენტმა უნდა დაწეროს, ენობრივად შესაძლებლობის ანუ კავშირებით კილოში უნდა გამოიხატოს. საქმის გადაწყვეტის შესაძლო გზის წერილობითი ჩამოყალიბება თხრობით კილოში არაა მიზანშეწონილი.

იურიდიული დასკვნისათვის კავშირებითი კილოს აუცილებლობა

პეტრემ სხვისი ეზოს ძაღლი მოკლა, ღამის დარაჯი ნოკაუტში ჩააგდო და პავლეს სახლის კარი შეანგრია. სეიფის გახსნისას მან მეორე ოთახში მივლინებიდან ადრე დაბრუნებული სახლის პატრონი დაინახა. პეტრემ პავლესათვის ბოთლის თავში ჩარტყმა სცადა, მაგრამ პავლემ მას დანა გაუყარა და მომხვდური ადგილზევე გარდაიცვალა. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პავლეს მოქმედება?

საწყისი წინადადება კავშირებით კილოში შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

შესაძლებელია, რომ პავლემ პეტრესათვის დანის გაყრით სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობა განახორციელა.

სიტყვა „შესაძლებელია“ მიუთითებს იმაზე, რომ საბოლოო დასკვნის გაკეთებამდე ჯერ ყველა მოცემული წინაპირობა უნდა იქნას განხილული. თუ დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულების მიხედვით ერთ-ერთი საფეხური (შემადგენლობისადმი შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა ან ბრალი) გამოირიცხება, ქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება.

თუ ავიღებდით თხრობით კილოს ფორმას:

პავლემ არ განახორციელა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რადგან მან პეტრე აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოკლა.

შედეგს დასკვნის პირველივე წინადადებაში დავაფიქსირებდით და შეუძლებელი გახდებოდა წარმოშობილი პრობლემის – აუცილებელი მოგერიების დროს თავდამსხმელის სიკვდილის

დასაშვებობის დაწვრილებითი ანალიზი. იურიდიული დასკვნის სტილი კავშირებითი კილოს ფორმით, როდესაც საბოლოო შედეგისაკენ მისასვლელი გზა სილოგიზმზე გადის, განსხვავდება განაჩენის სტილისაგან. განაჩენის სტილი მოსამართლის აზროვნებისა და წერის სტილია. მისთვის დამახასიათებელია ერთადერთი სწორი შედეგით საქმის განხილვის დაწყება. ენობრივად კი იგი თხრობით კილოშია გადმოცემული.

პავლეს არ განუხორციელებია სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რადგან მან პეტრე აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოკლა.

სუბსუმციის ცალკეული საფეხურები შემდეგი გამოთქმებით შეიძლება დავიწყოთ:

„გასარკვევია". . . „საკითხავია" . . . „გასაანალიზებელია". . .

კაზუსის ამოხსნისას აუცილებელია თავიდან იქნას აცილებული ენობრივი სტერეოტიპები, განმეორებები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის სტილის მკაცრი დაცვა მთელი კაზუსის ამოხსნის განმავლობაში არაა საჭირო. დასკვნის სტილი კავშირებითი კილოთი და სილოგიზმით მხოლოდ პრობლემატური საკითხების გასარკვევად უნდა გამოვიყენოთ. ქმედების შემადგენლობის ნიშნები და დანაშაულის საფეხურები (სამსაფეხურიანი აგებულების მიხედვით), რომლებიც აშკარადაა მოცემული, განაჩენის სტილში უნდა გადმოიცეს. ამგვარად, კარგად დაწერილ დასკვნაში გამოყენებულია როგორც დასკვნის, ასევე განაჩენის სტილი. თუ ქმედების შემადგენლობის განხილვისას ცხადია, რომ პირი განზრახ, მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად მოქმედებდა, ამ დასახელებულ პრობლემათა გაანალიზება კავშირებით კილოში, სილოგიზმის მოხმარებით, არაა საჭირო. აქ გამოვიყენებთ განაჩენის სტილს და თხრობით კილოს.

1. პირმა იცოდა, რას აკეთებდა და მას სურდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. იგი მოქმედებდა განზრახ.
2. ქმედების მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არა გვაქვს. პირი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმათა უმრავლესობაში და კერძო ნაწილის დისპოზიციებში სილოგიზმის პირველი საფეხურია მოცემული. სილოგიზმის მეორე წინაპირობა საქმის გარემოებაა. დანასკვი კი პასუხს იძლევა იმის შესახებ, არის თუ არა ჩადენილი დანაშაული.

კანონის განმარტება

კანონის განმარტების სახეები

სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები გრამატიკული (უკეთესია სემანტიკური[1]), სისტემური, ისტორიული (კანონმდებლის ნება კანონის გამოცემისას), ტელეოლოგიური (კანონის მიზანი თანამედროვე პოზიციიდან [2]) მეთოდების დახმარებით უნდა განიმარტოს.

სამართლის თეორიაში აღიარებულია, რომ კანონის განმარტების ხერხებს შორის არავითარი იერარქია არ არსებობს და სამართლის შეფარდება „მეთოდური პლურალიზმის" საფუძველზე ხორციელდება.[3] კანონის განმარტების ხერხთა შორის, ზემოთქმულის მიუხედავად, დღესდღეობით **ტელეოლოგიური** განმარტება ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, შემოქმედებით და შრომატევად ხერხადაა აღიარებული, რომელიც მხოლოდ **კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებში** გამოიყენება და არა მის საწინააღმდეგოდ.[4]

---

[1] Puppe, Kleine Schule des juristischen Denkens, S. 64.
[2] ზუბუა, იქვე, გვ. 156.
[3] ზუბუა, იქვე, გვ. 160.
[4] Puppe, Kleine Schule des juristischen denkens. S. 89.

აქედან გამომდინარე, ნორმის **გრამატიკული** (სიტყვა-სიტყვითი, სემანტიკური) განმარტება ადგენს კანონის განმარტების დანარჩენი საშუალებების საზღვარს. ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში სწორად მიუთითებენ იმაზე, რომ ნორმის სიტყვითი ჟღერადობა „არის ამოსავალი წერტილი ნორმის არსის სამოსამართლეო გამოკვლევისათვის და იმავდროულად განსაზღვრავს მისი ინტერპრეტაციის საზღვრებს"[1] და რომ „სისხლის სამართალში აკრძალულია ნორმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის იგნორირება."[2] თუ სემანტიკური (გრამატიკული) განმარტების შედეგად დადგინდა, რომ მოცემული შემთხვევა და ნორმის წინაპირობები ერთმანეთს არ ემთხვევა, ე.ი. შემთხვევა მოცემული ნორმის მიმართ სუბსუმირებადი არაა, რჩება ერთადერთი გზა — ამ ნორმის ანალოგიით გამოყენება. სისხლის სამართლის დოგმატიკაში ცალსახადაა აღიარებული, რომ როდესაც ანალოგია აკრძალულია, ტელეოლოგიური არგუმენტებით ფონს ვერ გავალთ და კანონს ვერ გამოვიყენებთ.[3] კანონის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოს მტკიცება (ანუ სისხლის სამართლის კანონის განმარტება contra legem) ნორმის ინტერპრეტაციის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული მეთოდების უგულებელყოფაა და კანონიერების და ხელისუფლების დანაწილების პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამასთანავე იგი კონსტიტუციასაც ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვითაც მოსამართლე კანონს უნდა ემორჩილებოდეს (საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).[4]

კანონის განმარტებისას უცილებელია აგრეთვე კონსტიტუციის ნორმებისა და იმ ზოგადი სამართლებრივი პრინციპების გამოყენება, რომლებიც განსამარტავ სამართლებრივ ნორმებს უდევს საფუძვლად.

[1] გვენეტაძე/ტურავა, იქვე, გვ. 30.
[2] გვენეტაძე/ტურავა, იქვე, გვ. 51.
[3] Baumann, Einführung in die Rechtswissenschaft, S. 106; Puppe, ebenda, S. 91.
[4] Baumann, ebenda, S. 114.

ანალოგია და ტელეოლოგიური რედუქცია (ანუ მიზნით შეზღუდვა, შესუსტება)

კანონში ხარვეზები გვაქვს მაშინ, როდესაც კანონმდებელი შემთხვევებს სპეციალურად არ მოაწესრიგებს (დაგეგმილი ხარვეზი), როდესაც მას გამორჩება რაიმე (არაგეგმური ხარვეზი), ანდა როდესაც ცხოვრება ახალ მოსაწესრიგებელ ურთიერთობებს წარმოშობს.[1] კანონში ხარვეზის შევსება სისხლის სამართალში სამართლის ანალოგიის და კანონის ანალოგიის საშუალებით მხოლოდ სუბიექტის სასარგებლოდაა დაშვებული.

მაგ., დამთავრებული მცდელობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის აუცილებელია, რომ პირმა თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილოს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგი. სასურველი იქნებოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, როდესაც იგი **სერიოზულად ცდილობდა** დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას, მაგრამ მას სხვებმა დაასწრეს და შედეგი თავიდან სხვებმა აიცილეს. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ამგვარ შემთხვევას სახელდებით ითვალისწინებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმაში და პირს, რომელიც სერიოზულად ცდილობდა შედეგის თავიდან აცილებას, არ სჯის (რა თქმა უნდა, შედეგი ამ დროს არ უნდა დადგეს). თუ სამოსამართლო სამართალი ამგვარ შემთხვევებს არ დასჯის, მაშინ სასამართლო სსკ 21-ე მუხლის მე-5 ნაწილს პირის სასარგებლოდ ანალოგიით გამოიყენებს.[2]

სისხლის სამართალში პირის საზიანოდ კანონის ანალოგიით

[1] ანალოგიის გამოყენების წინაპირობებზე იხ. ხუბუა, გვ. 170-172.
[2] ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 282. ამგვარ დასკვნამდე მივალთ, თუ კანონის განმარტების ახალ სახეს — სამართლის შედარებას (ჰებერლე) გამოვიყენებთ.

გამოყენების აკრძალვას ევროპის ქვეყნებში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაგ., ცნობილია ერთი შემთხვევა ინგლისის სასამართლო პრაქტიკიდან. ლონდონის ერთ-ერთ პარკში ვილაც კაცი შიშველი ბანაობდა. მას წაუყენეს ბრალდება ზნეობის კოდიფიცირებული ნორმის დარღვევის გამო, რომლის მიხედვითაც „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ადამიანის ჩაცმულობა მორალურ ნორმებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს". ბრალდებული სასამართლომ გაამართლა, რადგან იგი უზნეოდ კი არა, საერთოდ არ იყო ჩაცმული. შესაძლებელი ინტერპრეტაცია a majore ad minus, რომლის მიხედვითაც თუ შილიფად ჩაცმა ზნეობას ეწინააღმდეგება, მაშინ საერთოდ ჩაუცმელობა უფრო მეტად უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობას, (თუ აკრძალულია მცირე, უფრო მეტად აკრძალული უნდა იყოს დიდი), სასამართლომ არ გამოიყენა. სამართლიანადაცო, ამბობენ გერმანელი იურისტები, რადგან სისხლის სამართალში გადამწყვეტი კანონის აზრი და მიზანი კი არაა, არამედ, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, მისი სიტყვიერი მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც გონიერ მოქალაქეს თავისი ქცევის რეგულირება შეუძლიაო. ამ პირის დაუსჯელობას ჩაცმულობის შესახებ ზემოთმოყვანილი ნორმის შეცვლა მოჰყვა. კანონმდებელმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შიშველი გამოჩენა აკრძალა.[1]

XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის საიმპერიო სასამართლომ კანონიერების პრინციპზე (ანალოგიის აკრძალვის) დაყრდნობით გაამართლა პირები, რომლებიც ელექტროენერგიას იპარავდნენ, იმ არგუმენტით, რომ მოპარვა მხოლოდ ნივთისა შეიძლება და ელექტროენერგია ნივთი არაა. სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ გერმანიის კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსს §248 c დაამატა, რომელიც ელექტროენერგიის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას სჯის.

[1] Schwintowski, Juristische Methodenlehre, S. 112.

ანალოგია განსხვავდება განვრცობითი ახსნა-განმარტებისაგან. განვრცობითი ახსნა-განმარტების დროს კანონის განმმარტებელი კანონის შესაძლო სიტყვიერი მნიშვნელობის უკიდურეს ზღვრამდე მიდის, ამ დროს ნორმა ფაქტობრივი ურთიერთობის მაქსიმალურად ფართო წრეს მოიცავს.[1]

სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ დეფენზიურ (თავდაცვით) და აგრესიულ (თავდასხმით) უკიდურეს აუცილებლობას (სსკ 30-ე მუხლი). **დეფენზიური უკიდურესი აუცილებლობის** დროს პირი საფრთხის წყაროს აზიანებს, **აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის** დროს კი — მესამე პირის სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც საფრთხე არ შეუქმნია. ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, მოიცავს თუ არა სსკ 30-ე მუხლი უკიდურესი აუცილებლობის ორივე სახეს. *ფუტკარაძის* აზრით, უკიდურესი აუცილებლობის ეს მუხლი მხოლოდ აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობას მოიცავს, *ტურავა* კი კანონის ექსტენზიურ განმარტებას იშველიებს და სიტყვა „სხვაში" (რომელსაც პირი აზიანებს) გულისხმობს როგორც საფრთხის წყაროს, ასევე მესამე პირის.[2]

ტელეოლოგიური რედუქცია (მიზნით შეზღუდვა) ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გამოყენების სფეროს ზღუდავს და ამგვარად პირის მდგომარეობას ამსუბუქებს.[3] ტელეოლოგიური რედუქცია მაშინ გამოიყენება, როდესაც ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა იმ ურთიერთობებსაც მოიცავს, რომლიც მას (ნორმის მიზნიდან გამომდინარე) არ უნდა მოეცვა.[4] ტელეოლოგიური რედუქცია გამოიყენება მაშინ, როდესაც ნორმის ტექსტის გრამატიკული განმარტება კანონის მიზანს ეწინააღმდეგება.

[1] ზუბუა, იქვე, გვ. 154.
[2] ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 218.
[3] ჰენშელი, იქვე, გვ. 67.
[4] ზუბუა, იქვე, გვ. 158.

მაგ. 1. სსკ 108-ე მუხლი მკვლელობას ითვალისწინებს. კანონი არ განმარტავს, თუ რაა მკვლელობა — **თვითმკვლელობა** თუ მხოლოდ **სხვა ადამიანის** მკვლელობა. სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, თვითმკვლელობაც ადამიანის მკვლელობაა და კანონის განმარტების ეს სახე ხელმოცარული თვითმკვლელის საკუთარი თავის მკვლელობის მცდელობისათვის დასჯის შესაძლებლობას იძლევა. კანონის ამგვარი განმარტება მის მიზანს ეწინააღმდეგება, რადგან სისხლის სამართლის ამოცანაა დაიცვას ადამიანის ინტერესები სხვა პირთა მიერ მისი ინტერესების ხელყოფისაგან და არა საკუთარი თავისაგან. ტელეოლოგიური რედუქციის საშუალებით შესაძლებელი ხდება დანაშაულის სუბიექტთა წრის შეზღუდვა და სსკ 108-ე მუხლი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც ქმედების სუბიექტი და ის პირი, რომლის დაცვაც ამ ნორმის მიზანს წარმოადგენს, ერთმანეთს ემთხვევა.

მაგ. 2. კანონის ტელეოლოგიურ რედუქციას იყენებდა და იყენებს ქართული სისხლის სამართალი დანაშაულის მომზადების დასჯადობის განსაზღვრისათვის. სსკ მე-18 მუხლი დანაშაულის მომზადებად თვლის დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნას. სწორედ კანონის ტელეოლოგიური რედუქცია გვაძლევს საშუალებას, შორეული მოსამზადებელი ქმედებანი დანაშაულის დასჯად მომზადებად არ ჩავთვალოთ და მომზადება მხოლოდ მაშინ დავსაჯოთ, როდესაც იგი დანაშაულის მცდელობასთან ახლოს დგას.[1]

ტელეოლოგიურ რედუქციას განასხვავებენ **ანალოგიისაგან**. თუ ტელეოლოგიური რედუქცია იმ დროს გამოიყენება, როდესაც ნორმა ურთიერთობების მეტად ფართო წრეზე ვრცელდება, ანალოგია გამოიყენება მაშინ, როდესაც ნორმის ჩარჩოები უფრო ვიწროა, ვიდრე მოსაწესრიგებელ ურთიერთობათა წრე.

[1] გამყრელიძე, განმარტება, გვ. 159.

სამართლის თეორიაში მიუთითებენ, რომ **ტელეოლოგიური რედუქციის** და **კანონის შეზღუდვითი განმარტების** ერთმანეთისაგან გამიჯვნა მეტად ძნელია.[1] შეზღუდვითი განმარტება სისტემური განმარტების კერძო შემთხვევაა. შეზღუდვითი განმარტებისას სიტყვის მნიშვნელობას ფაქტობრივი ურთიერთობების ვიწრო წრეზე ავრცელებენ.[2] ამ დროს მოსამართლე კანონის სიტყვიერი მნიშვნელობის საზღვარს არ სცილდება. შეზღუდული განმარტების დროს კანონში ნახმარი სიტყვა ვიწროდ (და არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ) განიმარტება, ტელეოლოგიური რედუქციის დროს კი კანონი არ გამოიყენება, თუმცა მისი სიტყვასიტყვით მნიშვნელობის მიხედვით მოსამართლეს იგი უნდა გამოეყენებინა.

მაგ., დანაშაულის მომზადებად ითვლება პირობების მომზადება მხოლოდ **კონკრეტული** და არა **რაიმე დანაშაულის** ჩასადენად. როცა ადამიანს ჯერ არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი დანაშაულის ჩასადენად იყიდა მან იარაღი, ამ ქმედებას დანაშაულის მომზადებას ვერ ვუწოდებთ სწორედ კანონის ტელეოლოგიური რედუქციის მოშველიებით.

როგორც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, მოიცავს თუ არა სსკ 30-ე მუხლი უკიდურესი აუცილებლობის ორივე სახეს — დეფენზიურ და აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობად. *ფუტკარაძის* აზრით, უკიდურესი აუცილებლობის ეს მუხლი მხოლოდ აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობას მოიცავს. იგი სიტყვა „სხვას“ შეზღუდულად განმარტავს. *ტურავა* კი კანონის ექსტენზიურ განმარტებას იშველიებს და სიტყვა „სხვაში“ (რომელსაც პირი აზიანებს) გულისხმობს როგორც საფრთხის წყაროს, ასევე მესამე პირის.[3]

[1] Schwacke, Juristische Methodik, S. 89.

[2] ხუბუა, იქვე, გვ. 154.

[3] ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 218.

ტელეოლოგიური განვრცობა პირის საზიანოდ სისხლის სამართალში კანონიერების პრინციპს ეწინააღმდეგება (nullum crimen sine lege). ტელეოლოგიურ განვრცობას (ექსტენზიას) მაშინ მივმართავენ, როდესაც კანონის აზრის მიხედვით, ნორმამ სამართლებრივ ურთიერთობათა იმაზე ფართო წრე უნდა მოაწესრიგოს, ვიდრე ეს ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებითაა შესაძლებელი. ტელეოლოგიური განვრცობის კლასიკური ნიმუშია პუნიკური ომების შემდეგ იტალიაში გავრცელებული („ორფეზა") სირაქლემების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის თორმეტი ტაბულის კანონის გამოყენება, რომელიც „ოთხფეხას" მიერ მიყენებული ზარალისათვის მესაკუთრის პასუხისმგებლობას აწესებდა.[1]

ტელეოლოგიურ ექსტენზიას და **კანონის ანალოგიით გამოყენებას** ერთმანეთისაგან შემდეგნაირად განასხვავებენ: თუ ანალოგიის გამოყენებისას კანონით მოწესრიგებული და კონკრეტული მოსაწესრიგებელი შემთხვევა ერთმანეთის **მსგავსია**, ნორმის ტელეოლოგიური განვრცობის დროს კანონით მოწესრიგებული და კონკრეტული მოსაწესრიგებელი შემთხვევა ერთმანეთს **არ ჰგავს**, მაგრამ კანონმდებელს ნორმის მიზანი იმდენად ნათლად აქვს ჩამოყალიბებული, რომ სამართლიანი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლომ ნორმა ამ შემთხვევებზეც უნდა გამოიყენოს.[2] ზემოთმოყვანილ „სირაქლემების შემთხვევაში" თორმეტი ტაბულის კანონის გამოყენება „ორფეხების" მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის სწორედ კანონის მიზნის მოშველიებით გახდა შესაძლებელი. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ კანონის მიზანი ყველა შინაური ცხოველის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება იყო და იმ პირებისათვის ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმა, რომლებიც „ორფეხებმა" დააზარალეს, უსამართლობა იქნებოდა.

[1] ხუბუა, იქვე, გვ. 158.

[2] Schwacke, Juristische Methodik, S. 87. თუმცა ვიკიპედიას მიხედვით კანონის ექსტენზიური განმარტება კანონის ანალოგიით გამოყენების ერთ-ერთი სახეა.

სისხლის სამართლის დოგმატიკა და ლოგიკური არგუმენტაციის ფორმები

ტერმინს „დოგმატიკა" ფილოსოფიაში იმ ძირითადი დებულების აღსანიშნავად ხმარობენ, რომელსაც უკრიტიკოდ იღებენ. დოგმატიზმი არაკრიტიკულ აზროვნებას ნიშნავს, დოგმატიკოსი კი — დოგმებით მოაზროვნეს. სისხლის სამართალში ამ ცნებას სხვა დატვირთვა ეძლევა. სისხლის სამართლის დოგმატიკა ის დისციპლინაა, რომელსაც სისტემაში მოჰყავს საკანონმდებლო ნორმები და ავითარებს მათ. სისხლის სამართლის დოგმატიკა კანონის განმარტებას ემსახურება, ე.ი. იგი სილოგიზმის პირველ წინაპირობას აანალიზებს. სისხლის სამართლის დოგმატიკის საფუძველი და მისი საზღვარი სისხლის სამართლის კოდექსია, მისი ცენტრალური ინსტიტუტი კი — მოძღვრება დანაშაულზე. სამართლის დოგმატიკა სუბსუმციის დროს ლოგიკური არგუმენტაციის შემდეგ სახეებს იყენებს:[1]

1. argumentum a fortiori „მით უფრო" დასკვნის სახელითაა ცნობილი. ამ დასკვნის საფუძველზე დგინდება, რომ ამა თუ იმ გარემოების არსებობის გამო უნდა არსებობდეს სხვა გარემოებაც ანდა ამა თუ იმ გარემოების არარსებობის გამო სხვა გარემოებაც არ უნდა არსებობდეს. ეს დასკვნა თავის მხრივ იყოფა:

(1) **argumentum a maiore ad minus** დასკვნა „მეტიდან" „მცირესაკენ" ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ თუ ნორმა მოიცავს მეტს, იგი მცირესაც უნდა მოიცავდეს, ანუ თუ დასაშვებია დიდი, მით უფრო დასაშვები უნდა იყოს მცირე. მაგ. თუ ბრალის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობად სსკ 38-ე მუხლის მიხედვით ჩავთვლით საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას იმ პირის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე არ ემუქრებოდა, მაშინ მით უფრო ბრალის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობად უნდა ჩაითვალოს საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა იმ პირის

[1] სამართალში არგუმენტირების მეთოდებზე იხ. ხუბუა, იქვე, გვ. 172-174; ასევე არგუმენტაცია სამოქალაქო სამართალში იხ. ჰენშელი, იქვე, გვ. 70-71.

სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა.

ანდა – აქტიური დახმარება თვითმკვლელობაში (თავის მოსაკლავად იარაღის მიცემა) თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, არაა დასჯადი.[1] დასკვნა მეტიდან მცირესაკენ უნდა გამოვიყენოთ იმ პირის დაუსჯელობის მტკიცებისათვის, ვინც ხელმოცარულ თვითმკვლელს არ დაეხმარება. ე.ი. თუ არაა დასჯადი პირის მიერ თვითმკვლელობაში აქტიურად ხელის შეწყობა, არც დაუხმარებლობით სხვა პირის სიკვდილის პასიური „გამოწვევა" უნდა იყოს დასჯადი. ასევე – თუ არაა დასჯადი დახმარება თვითმკვლელობაში, ამავე არგუმენტით არც თვითდაზიანებაში დახმარება უნდა იყოს დასჯადი. კიდევ ერთი მაგალითი: თუ თვითმკვლელობაში განზრახ აქტიური დახმარება არაა დასჯადი, დასჯადი არ უნდა იყოს თვითმკვლელობის გაუფრთხილებელი ხელის შეწყობაც.

(2) **argumentum a minore ad maius** დასკვნა „მცირედან" „მეტისაკენ" უმრავლეს შემთხვევაში აკრძალვებს მოიცავს. თუ აკრალულია მცირე, მით უფრო აკრძალული უნდა იყოს მეტი. თუ სსკ 38-ე მუხლის თანახმად ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობად არ ჩავთვლით საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას იმ პირის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა, ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა არ იქნება საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა იმ პირის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე არ ემუქრებოდა.

ანდა კიდევ: სსკ 131-ე მუხლის მე-2 ნაწილი სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრას რომ არ ითვალისწინებდეს, სსკ 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა) „მით უფრო" დასკვნის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრა, რადგან თუ აკრძალულია სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა, მით უფრო აკრძალული უნდა იყოს სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრა.

[1] აქცესორობა ნიშნავს თანამონაწილის დასჯადობის დამოკიდებულებას ამსრულებლის დასჯადობაზე. სსკ 23-ე მუხლი აქცესორობის თეორიას იზიარებს. იმისათვის, რომ გვქონდეს თანამონაწილეობა, სსკ 23-ე მუხლის თანახმად საჭიროა ამსრულებელი განზრახ დანაშაულს სჩადიოდეს. რადგან თვითმკვლელობა არაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, დახმარება თვითმკვლელობაში და თვითმკვლელობის წაქეზება დასჯადი არაა.

2. argumentum e contrario ანუ დასკვნა საწინააღმდეგოს საფუძველზე ანალოგიის საპირისპირო ცნებაა. მას სამართლის თეორიაში არგუმენტაციის დამოუკიდებელ ფორმად კი არა, ანალოგიის უარყოფად მიიჩნევენ.[1] თუ კანონმდებელმა რაიმე ურთიერთობა არ მოაწესრიგა, ანდა თუ მან ნორმაში პრობლემის მხოლოდ ნაწილი გაითვალისწინა, ეს ნიშნავს, რომ ამ საკითხის დანარჩენი ნაწილი მან შეგნებულად გამოტოვა, ე.ი. ადგილი აქვს კანონმდებლის „კვალიფიციურ" დუმილს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დამნაშავის სასარგებლოდ ანალოგიის გამოყენება ამგვარ შემთხვევაში დაუშვებელია. მაგ., სსკ 20-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, თუ პირის უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლება მიღწეულიყო მართლსაწინააღმდეგო შედეგი. argumentum e contrario-ს გამოყენებით ვაკეთებთ დასკვნას, რომ თუ პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისათვის გათავისუფლება, მაშინ, „ჩვეულებრივი" უვარგისი მცდელობა დასჯადია. სსკ 20-ე მუხლი დამნაშავის სასარგებლოდ ანალოგიით არ გამოიყენება და რელატიურად უვარგისი მცდელობისათვის პირი პასუხისგებაში მიეცემა.

3. argumentum a simili ანდა **argumentum a pari** გამოიყენება ანალოგიის არგუმენტაციისას, როდესაც კონკრეტული

[1] Puppe, Kleine Schule des juristischen Denkens, S. 99.

შემთხვევა კანონით არაა მოწესრიგებული, მაგრამ კანონის ნორმით დარეგულირებული შემთხვევის მსგავსია და სამართლიანობის პრინციპი კანონის ამ კონკრეტულ შემთხვევაზე გავრცელებას მოითხოვს. ამ არგუმენტაციის კარგი მაგალითი მოჰყავთ *გვენეტაძე/ტურავას:*

ზოგიერთ ქვეყანაში დაზარალებულის თანხმობა, როგორც ნებადართული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირაა გათვალისწინებული მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებში (სხვადასხვა სამედიცინო ოპერაციები). ამ ნორმას ანალოგიით ავრცელებენ სამართლებრივი სიკეთის მატარებლის მიერ სხვა ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვაზე უარის თქმის შემთხვევებზეც. თუ ნივთის პატრონი თანახმაა, რომ სხვა პირმა მისი ნივთი გაანადგუროს ან დააზიანოს, დამზიანებელი პასუხს არ აგებს.[1]

მოცემულ მაგალითში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად არგუმენტაციის სხვა სახეც შეიძლება გამოვიყენოთ. „მით უფრო" დასკვნის მიხედვით (დიდიდან მცირესაკენ **argumentum a maiore ad minus**), თუ დასაშვებია დიდი – სხეულის დაზიანება – მით უფრო დასაშვები უნდა იყოს სხვა, იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი სიკეთის დაზიანება.

4. argumentum ad absurdum თუ მტკიცებას აბსურდულ შედეგამდე მივყავართ, მაშინ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არასწორია.

1 გვენეტაძე/ტურავა, სისხლის სამართლის საშეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, გვ. 52.

ნაწილი მეორე

მატერიალური სამართლის ცალკეული თემები კაზუსების ამოხსნის ნიმუშებით

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი

სსკ მე-7 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დანაშაულის ამ განმარტებით ქართველმა კანონმდებელმა გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულება შემოიტანა. წინამდებარე წიგნიც დანაშაულის სამსაფეხურიან აგებულებას ეყრდნობა.

დანაშაულის სისტემის ძირითადი ელემენტები

დანაშაულის სისტემა შედგება შემდეგ ელემენტებს მოიცავს: ქმედების შემადგენლობა, რომელიც ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარისაგან შედგება; მართლწინააღმდეგობა, რომელიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობაზე მიუთითებს და ბრალი, რომელიც შერაცხადობას (ბრალუნარიანობას), მართლწინააღმდეგობის შეგნებას, გაუფრთხილებლობას, ბრალის პერსონალურ ნიშნებს და ბრალის გამომრიცხველ (ზეკანონურ და კანონისმიერ) გარემოებებს აერთიანებს. ბრალის პერსონალურ ნიშნებს მიეკუთვნება მაგ. ანგარების მოტივი (სსკ 109-ე მუხლის „ი" პუნქტი).[1]

1 ქურდობის უმართლობის დამფუძნებელი ნიშანია სხვისი მოძრავი ნივთის მითვისების მიზანი. ეს ნიშანი ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარეში შედის. შესაძლებელია პირს ნივთის მითვისება სხვისი დახმარების მიზნით სურდეს. თუ იგი ანგარების მიზნით არ მოქმედებს, მას ბრალი და შესაბამისად სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეს. პერსონალური ნიშნები თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე არ მოქმედებს. გამყრელიძე, განმარტება, გვ. 204.

ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

ქმედების ობიექტური მხარის ნიშნები

ქმედების ობიექტური მხარე მოიცავს ნებელობით ან შესაძლო ნებელობით ქმედებას, რომელიც მოქმედებაში ან უმოქმედობაშია გამოხატული, შედეგს, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირს, დანაშაულის ჩადენის დროს, ადგილსა და საშუალებას.

დანაშაულის ჩადენის დრო ზოგიერთი შემადგენლობის დამფუძნებელი ელემენტია. (ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება, სსკ 359-ე მუხლი). **დანაშაულის ჩადენის ადგილი** ზოგჯერ ქმედების შემადგენლობის დამფუძნებელი ელემენტია (სსკ 160-ე მუხლი, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა), ზოგ შემთხვევაში კი – მაკვალიფიცირებელი ელემენტი (სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი, ქურდობა, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი, ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით). უკანონო ნადირობის ქმედების შემადგენლობის დამფუძნებელ ნიშნებს სხვა ნიშნებთან ერთად წარმოადგენენ როგორც დანაშაულის ჩადენის დრო, ასევე დანაშაულის ჩადენის საშუალება ან იარაღი (სსკ 301-ე მუხლი).

სისხლისსამართლებრივად არარელევანტური და რელევანტური ქმედების ერთმანეთისაგან გამიჯვნა

ადამიანის ყოველგვარი ქცევა არაა სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე. მოძღვრებანი ქმედების შესახებ (კაუზალური, ფინალური, სამართლებრივ-სოციალური) სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი და სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის არმქონე მოქმედებათა ერთმანეთისაგან გამიჯვნაში ერთმანეთს

ეთანხმებიან. სისხლისსამართლებრივ მოქმედებას ისინი შემდეგ მოთხოვნებს უყენებენ:

სისხლისსამართლებრივად რელევანტურია მხოლოდ ადამიანის ქცევა. ცხოველის ქცევა და ბუნებრივი მოვლენა არაა სისხლის სამართლებრივად მნიშვნელოვანი; ბუნებრივ მოვლენებს და ცხოველთა მიერ გამოწვეული საზიანო შედეგს მხოლოდ მაშინ ენიჭება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, როდესაც მას ადამიანის **ნებელობითი** (ანდა შესაძლო ნებელობითი) **ქცევა** უდევს საფუძვლად. თუ ინჟინერი ცუდად დააპროექტებს სარწყავ არხს და წვიმიან ამინდში არხი გზებს დატბორავს და დაანგრევს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. თუ პირი ძაღლს მიუსევს მსხვერპლს და მას დააკბენინებს, იგი ცხოველს გამოიყენებს დანაშაულის ჩადენის იარაღად. ამ შემთხვევაში პირის ქცევა სისხლისამართლებრივად მნიშვნელოვანია.

სისხლისსამართლებრივად რელევანტური არაა **სურვილები, ბოროტი განზრახვა და წყევლა.** „ხატზე გადაცემა“, ჯადოს გაკეთება და მსგავსი ქმედებანი, როგორც აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა არ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სსკ მე-20 მუხლის მიხედვით.[1]

ნებელობითი ანდა შესაძლო ნებელობითი მოქმედება

მოქმედებად არ ჩაითვლება:

(1) მუხლის და სხვა რეფლექსი
(2) კრუნჩხვები
(3) მოძრაობა ძილში
(4) მოძრაობა უგონობის მდგომარეობაში
(5) მოძრაობა ჰიპნოზის დროს

1 გამყრელიძე, განმარტება, გვ. 204.

(6) vis absoluta ანუ დაუძლეველი ძალის გავლენით გამოწვეული მოძრაობა.[1]

სადავოა, არის თუ არა სისხლისსამართლებრივად რელევანტური შეშით გამოწვეული სპონტანური რეაქცია, მაგ. მწერის მოგერიება ავტომანქანის სწრაფი მანევრირებისას.

მძღოლს მანქანის მართვისას თვალში კრაზანა შეუფრინდება. იგი ხელს გაუშვებს საჭეს და თვალის სრესას მოჰყვება. ამასობაში მანქანა ხეს შეეჯახება და მანქანაში მჯდომი მგზავრი სასიკვდილოდ დაშავდება. მძღოლის ადვოკატის აზრით, შეშით გამოწვეული სპონტანური რეაქცია არაა ნებელობითი ქცევა და მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არაა გამართლებული. სასამართლო ყურადღებას არ მიაქცევს მძღოლის ადვოკატის არგუმენტაციას, რადგან მიჩნეულია, რომ ავტომატიზირებული ქცევა და სპონტანური რეაქცია სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედებებია.

ქმედების სოციალური მნიშვნელობა

ამ ნიშნის საშუალებით ადამიანის ქმედებებიდან გამოირიცხება ისეთი ქმედებანი, რომელთაც სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვთ.

პეტრეს სურს პავლეს მოკვლა და იგი ამისათვის სატანისტურ სანთლებს ანთებს. პავლეს მანქანა დაეჯახება და ადგილზევე მოკლავს. პეტრეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

[1] vis absoluta უნდა განვასხვაოთ vis compulsiva-საგან, რომელიც ფსიქიკურ ძალადობას გულისხმობს. vis vompulsiva-ს ანუ ფსიქიკური ძალადობის დროს მაიძულებელი უშუალო ფიზიკურ ზემოქმედებას კი არ ახდენს სხვა პირზე, არამედ მას აიძულებს განახორციელოს რაიმე ქმედება. vis kompulsiva ქმედების სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას არ გაამორიცხავს. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ბრალის გამომრიცხველი ან ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება.

გამორიცხება ან ქმედების სოციალური მნიშვნელობის არარსებობის გამო, ანდა ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არასებობის გამო.

როგორც წესი, კაზუსის ამოხსნის დროს ქმედებათა ზემოთმოყვანილ თეორიებს არ ვაანალიზებთ. ქმედების ობიექტურ მხარეში, დანაშაულებრივი ქმედების განხილვისას მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა უნდა დადგინდეს. თუ ადამიანის ქცევა არაა ნებელობითი, უნდა გამორიცხოს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედების სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობის არარსებობის გამო. თუ აშკარაა, რომ პირის ქცევა ნებელობითი და სოციალურად მნიშვნელოვანია, დიდი შეცდომა იქნება კაზუსის ამოხსნის დროს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

თეორიები მიზეზობრივი კავშირის შესახებ და ობიექტური შერაცხვა

შედეგიან (მატერიალურ) დანაშაულებში აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დამდგარ შედეგად ითვლება როგორც სამართლებრივი სიკეთის განადგურება ან დაზიანება, ასევე მისი კონკრეტულ საფრთხეში ჩაყენება (კონკრეტული საფრთხის დელიქტები). სსკ მე-8 მუხლში გათვალისწინებული მიზეზობრივი კავშირი **აუცილებელი პირობის** თეორიას (conditio sine qua non ფორმულა) ეფუძნება. მიზეზობრიობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირის ქცევამ ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგი გამოიწვია. მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი აუცილებელი პირობის თეორიის მიხედვით მეტად გრძელია და იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის უსასრულოდ გაფართოებას გამოიწვევს, ამიტომაც პასუხისმგებლობის შეზღუდვისათვის ადექვატობის ან რელევანტობის თეორიებს ანდა ობიექტურ შერაცხვას მიმართავენ.

მაგიერ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების სამართლებრივ კატეგორიას იშველიებდა. აღსანიშნავია, რომ ქმედების ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების უკიდურეს საზღვრად იგი „მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობას თვლიდა.“[1] თუ გავაანალიზებთ თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულება ობიექტური შერაცხვის, როგორც ექვივალენტობის თეორიის უსაზღვრო მიზეზობრიობის დოგმატიკურ ზღვარზე, დავრწმუნდებით, რომ *თინათინ წერეთლის* მიერ ექვივალენტობის თეორიის შეზღუდვისათვის შემოტანილი ზოგადი დებულება „მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე ზემოქმედების მოხდენის“ შესახებ ობიექტური შერაცხვის კაზუისტური ჩამონათვალის ერთი ნაწილის განმაზოგადებელი ფორმულაა.

ობიექტური შერაცხვა სისხლის სამართლის თეორიის და სამოსამართლო სამართლის მიერ განვითარებული დოგმატიკური ინსტიტუტია.[2] იგი მის „სამშობლოში“ — გერმანულენოვან სისხლის სამართალშიც კი ჯერ კიდევ არაა ამომწურავად შესწავლილი. სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოყოფენ ობიექტური შერაცხვის გამორიცხვის ორ მთავარ ჯგუფს:

1. პირს თავისი ქმედებით სამართლებრივად რელევანტური საფრთხე არ შეუქმნია.

2. პირის მიერ შექმნილი საფრთხე, მართალია, სამართლებრივად რელევანტურია, მაგრამ არაა კავშირი სამართლებრივად რელევანტურ საფრთხესა და დამდგარ შედეგს შორის.

1. პირს თავისი ქმედებით სამართლებრივად რელევანტური საფრთხე არ შეუქმნია.

[1] წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, წიგნი I, გვ. 250.

[2] ობიექტური შერაცხვის შესახებ იხ. აგრეთვე ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 111-126.

სასურველი შედეგი, რომელიც შემთხვევითობის გამო დგება

პირს ობიექტურად არ შეერაცხება სასურველი, შემთხვევითობის გამო დამდგარი შედეგი, რადგან ქმედებაზე ფაქტიური ბატონობის შესაძლებლობა მას არა აქვს.

პეტრე პავლეს ავტომანქანას აჩუქებს იმ იმედით, რომ იგი ავარიაში დაიღუპება. მას ეს სურვილი რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც აუსრულდება. პეტრეს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს. მას პავლესთვის მანქანა რომ არ ეჩუქებინა, პავლე არც ავარიაში დაიღუპებოდა. პეტრეს ვერ დავსჯით განზრახი მკვლელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მას პავლეს სიკვდილი სურდა, რადგან მას არა აქვს ქმედებაზე ფაქტიური ბატონობის შესაძლებლობა და ამიტომაც მას დამდგარი სასურველი შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება. თუ არ გამოვიყენებდით ობიექტური შერაცხვის ინსტიტუტს, მიზეზობრიობის დასაბუთების შემდეგ გადავიდოდით ქმედების სუბიექტურ მხარეზე — განზრახვაზე. განზრახვა შედეგის დადგომის ცოდნას და სურვილს და ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას მოიცავს (სსკ მე-9 მუხლი). განზრახვა პავლეს ავარიაში დაღუპვის მხოლოდ სურვილი მის განზრახვას ვერ დააფუძნებს, რადგან მას ქმედებაზე ბატონობის არავითარი შესაძლებლობა არა აქვს. გამოირიცხება განზრახვა, აქედან გამომდინარე — ქმედების სუბიექტური მხარეც.

ამავე დასკვნამდე მიდიოდა *წერეთელი*, როდესაც იგი condtio — ფორმულით დადგენილ ფართო მიზეზობრიობას „მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე ზემოქმედების მოხდენის“ საშუალებით უარყოფდა.

დასაშვები რისკი (სოციალურად ადექვატური ქმედება)

შედეგი, რომელსაც სოციალურად დასაშვები ქმედება იწვევს, პირს ობიექტურად არ შეერაცხება.

პეტრეს და მართას შეეძინებათ ქალიშვილი, რომელიც თვრამეტი წლის ასაკში მშობიარობის პროცესში მოკლავს ახალშობილს. პეტრეს და მართას რომ შვილი არ შესძენოდათ, იგი მშობიარობის ასაკში ჩვილს არ მოკლავდა. ქალიშვილის შეძენა დაკავშირებულია ამ ქალიშვილის მიერ ჩვილის მკვლელობასთან, მაგრამ მშობლებს ეს შედეგი ობიექტურად მაინც არ შეერაცხებათ, რადგან ისინი შვილის გაჩენით სოციალურად დასაშვებ ქმედებას ახორციელებენ.

გრიპიანი პეტრე მიდის ჯანმრთელი სიდედრის სანახავად, იმ მიზნით, რომ მას გრიპი შეეყაროს და მოკვდეს. სიდედრს მართლაც გრიპი შეეყრება და გარდაიცვლება. პეტრეს სიდედრთან მისვლით დანაშაულებრივი ქმედება არ განუხორციელებია, რადგან სტუმრად წასვლა სოციალურად ადექვატური ქმედებაა. პეტრეს პასუხისმგებლობა გამოირიცხება აგრეთვე იმიტომაც, რომ მისთვის სასურველი შედეგი შემთხვევითობის გამო დადგა და მას ქმედებაზე ფაქტიური ბატონობის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამგვარი ქმედების დასჯადობით კანონმდებელი დასჯად ქმედებათა რიცხვს უსასრულოდ გააფართოებდა.

რისკის შემცირება

ობიექტურად არ შეერაცხება პირს ის შედეგი, რომელიც მან სამართლებრივი სიკეთისათვის უფრო დიდი ზიანის თავიდან აცილებისას გამოიწვია.

ყაჩაღი თავს დაეცა ოჯახს და პეტრეს წალდით მოკვლა სურდა. ცოლმა პეტრეს ხელი ჰკრა და კიბეზე დააგორა, რის შედეგადაც პეტრეს ფეხი მოსტყდა. ამ შემთხვევაში ცოლმა ქმარი სიკვდილს გადაარჩინა და მისი პასუხისგებაში მიცემა ჯანმრთელობის დაზიანებისათვის არ იქნებოდა სამართლიანი. აქ გამოირიცხება პასუხისმგებლობა არა მარტო განზრახი, არამედ გაუფრთხილებელი ქმედებისთვისაც.

ობიექტური შერაცხვის უარყოფა რისკის შემცირების საშუალებით სადავოა. შესაძლებელია პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხოს, მაგრამ მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხოს მართლწინააღმდეგობის განხილვის დროს, დაზარალებულის სავარაუდო თანხმობის საფუძველზე.

2. შექმნილ სამართლებრივად რელევანტურ საფრთხესა და დამდგარ შედეგს შორის კავშირი არ არსებობს

ატიპიური მიზეზობრიობა

პირს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება, თუ ქმედებასა და დამდგარ სედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი ატიპიურია. ატიპიურია ისეთი მიზეზობრივი კავშირი, როდესაც, ცხოვრებისეული გამოცდილების თანახმად, ამგვარ ქმედებას მსგავსი შედეგი არ მოსდევს.

ა) პეტრე და პავლე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საწამლავს ჩაუყრიან ჩაიში ივანეს, რომელიც ამ ჩაის დალევის შემდეგ გარდაიცვლება. ექსპერტიზის შედეგად დადგინდება, რომ შხამის ერთი ულუფა საკმარისი არ იქნებოდა შედეგის დასადგომად.

ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს კუმულაციური მიზეზობრივი კავშირი. მათ შედეგი ობიექტურად არ

შეერაცხება დამდგარი შედეგის ატიპიურობის გამო. ორი პირის ქმედება, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ამგვარად არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს. არც თანაამსრულებლობა იქნება, რადგან პირებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იმოქმედეს და ამიტომაც მათ ერთმანეთის ქმედება არ შეერაცხებათ. პეტრე და პავლე მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის დაისჯებიან.

ბ) პეტრე ქუჩაში სილას გააწნავს პავლეს. შეშინებული პავლე ქუჩაზე გადაირბენს, მანქანას ჩაუვარდება და მძიმედ დაშავდება.

პეტრეს პავლესათვის სილა რომ არ გაეწნა, ეს უკანასკნელი არ შეშინდებოდა, ქუჩაზე არ გადაირბენდა და მანქანას არ ჩაუვარდებოდა. მიზეზობრივი კავშირი გვაქვს. მიუხედავად ამისა, პეტრეს დამდგარი შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება და მას ვერ მივცემთ პასუხისგებაში გაუფრთხილებლობით პავლეს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გამო, რადგან ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქმედებასა და დამდგარი შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი ატიპიურია – ყველა სილის გაწვნა არ იწვევს მსხვერპლის ამგვარ რეაქციას და ყველა შეშინებული მსხვერპლი, ვისაც სილას გააწნავენ, არ უვარდება მანქანას.

შეგნებული თვითდაზიანება მსხვერპლის მიერ

შედეგი, რომელსაც მსხვერპლი თავად, საკუთარი ნებელობითი, შეგნებული ქმედების საშუალებით იწვევს, არ შეერაცხება იმ პირს, რომელიც თვითდაზიანებას შეუწყობს ხელს.

ნარკოტიკების გამყიდველი არ მიეცემა პასუხისგებაში მკვლელობისათვის, თუ პირს მისგან ნაყიდი ნარკოტიკის დოზა

მეტი მოუვა და მოკვდება მიუხედავად იმისა, რომ მის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს.

შენიშვნა: სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საქმე, როდესაც ნარკოტიკების გამყიდველმა იცის, რომ ნარკომანი ამ ავადმყოფობის გამო სრულიად მოკლებულია ნებელობითი ქცევის უნარს. პირის მიერ ნარკოტიკის გადაცემა ამგვარ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ნარკოტიკების გამყიდველს დამდგარი შედეგის მიმართ.

მესამე პირის ჩარევა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში

არ შეიძლება შედეგის ობიექტური შერაცხვა, თუ ქმედებამ სამართლებრივად რელევანტური საფრთხე კი შექმნა, მაგრამ შედეგი მესამე პირის შეგნებული ქმედების საშუალებით დადგა.

პეტრემ მკვლელობის მიზნით დაჭრა და ქუჩაში წაქცეული მიატოვა პავლე, რომელსაც შემდეგ მისმა მტერმა ივანემ ისე სცემა, რომ იგი ადგილზევე გარდაიცვალა. პეტრეს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია პავლეს სიკვდილთან, რადგან მას პავლე რომ არ დაეჭრა და იგი ქუჩაში რომ არ მიეტოვებინა, ივანე პავლეს სასიკვდილოდ ვერ სცემდა. პეტრეს პავლეს სიკვდილი ობიექტურად მაინც არ შეერაცხება, რადგან ივანემ თავისი ქმედებით ახალი საფრთხე დააფუძნა, რომლიც შემდეგ კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. რა თქმა უნდა, პეტრე მკვლელობის მცდელობისათვის დაისჯება.

კაზუსები ქმედების ობიექტურ მხარეზე

კაზუსი 1. ვის აბსოლუტა – vis absoluta

ზღვის ნაპირას მოსეირნე პეტრე თავის ამხანაგ პავლეს ხუმრობით ხელს ჰკრავს და წყალში ჩააგდებს. პავლე დაეცემა წყალში მოჭყუმპალავე ფეხმძიმე ქალს, რომელსაც მაშინვე საავადმყოფოში გააქანებენ. ქალს მუცელი მოეშლება. შეაფასეთ პავლეს ქმედება სისხლისსამართლებრივად.

კაზუსში ჩადებული პრობლემის საპოვნელად სტუდენტმა ამოხსნის შემდეგნაირი მოკლე სქემა უნდა შეადგინოს.

ამოხსნის მოკლე სქემა

პავლეს მიერ ფეხმძიმე ქალის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება სსკ 117-ე მუხლი

ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

ქმედების ობიექტური მხარე

მოქმედება (–)

კაზუსის ამოხსნა:

პავლეს დასჯადობა სსკ 117-ე მუხლის მიხედვით (ჯანმრთელობის დაზიანება)

1. ჰიპოთეზა: შესაძლებელია, რომ პავლემ მაშინ, როდესაც იგი ფეხმძიმე ქალს დაეცა, სსკ 117-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ჩაიდინა.

კითხვაში ყოველთვის უნდა მივუთითოთ იმაზე, თუ რომელი პირის მიერ ჩადენილი რა კონკრეტული ქმედება უნდა გაანალიზდეს. ამ კითხვის დასმის შემდეგ უნდა გავაანალიზოთ შემადგენლობის თვითეული ნიშანი ცალ-ცალკე.

საკითხავია, ჩაითვლება თუ არა პავლეს ქმედება სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან (რელევანტურ) ქმედებად.

2. კანონის ახსნა-განმარტება

I წინაპირობა – განმარტება ანუ propositio maior

სისხლისსამართლებრივად რელევანტურად ჩაითვლება ადამიანის სოციალურად მნიშვნელოვანი ნებელობითი ქცევა.

II წინაპირობა _ propositio minor: პავლე მოქმედებდა დაუძლეველი ძალის vis absoluta-ს გავლენის ქვეშ.

დასკვნა – conclusio: პავლეს ქმედება არ იყო ნებელობითი ქცევა. მისი ქმედება არაა სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი.[1]

პასუხი: პავლეს სსკ 117-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება არ ჩაუდენია.

კაზუსში არაა დასმული შეკითხვა პეტრეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ამიტომაც მისი ქმედების კვალიფიკაცია არაა საჭირო. რა თქმა უნდა, იგი პასუხს აგებს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობით (სსკ 124-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

[1] ლოგიკური დასკვნის საფეხურებზე (propositio maior, propositio minor, conclusio) მხოლოდდამხოლოდ დიდაქტიკური მიზნით ვუთითებ და სტუდენტს კაზუსის ამოხსნის დროს დედუქციის ამ საფეხურებზე მითითება არ სჭირდებათ.

კაზუსი 2. კუმულაციური მიზეზობრიობა

პეტრეს და პავლეს ივანეს მოკვლა სურთ. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საწამლავს ჩაუყრიან ჩაიში ივანეს, რომელიც ამ ჩაის დალევის შემდეგ გარდაიცვლება. ექსპერტიზის შედეგად დადგინდება, რომ შხამის ერთი ულუფა საკმარისი არ იქნებოდა შედეგის დასადგომად. შეაფასეთ მათი მოქმედება სისხლის სამართლებრივად.

შენიშვნა კაზუსის ამოხსნის მეთოდთან დაკავშირებით: თანაამსრულებლობის დროს, როდესაც ორი პირი ერთმანეთის აბსოლუტურად მსგავს ქმედებას ახორციელებს, რეკომენდებულია მათი ქმედებების ერთად განხილვა. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ორმა პირმა მსგავსი ქმედება ჩაიდინა, მათ ქმედებებს ცალ-ცალკე განვიხილავთ, რადგან ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.

ამოხსნა:

საკითხავია, ჩაიდინა თუ არა პეტრემ ჩაიში საწამლავის ჩაყრით სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა.

ქმედების შემადგენლობა

ქმედების ობიექტური მხარე

ა. შედეგი დადგა, რადგან მსხვერპლი მკვდარია.

ბ. მიზეზობრივი კავშირი

შედეგი პეტრეს ქმედებასთან მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული. პეტრეს ქმედების გამორიცხვით მსხვერპლის

სიკვდილიც გამოირიცხება. პეტრეს მიერ საწამლავის ჩაიში ჩაყრის გარეშე მსხვერპლი არ მოკვდებოდა (მიზეზობრივი კავშირი, სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი). მისი ქმედება „conditio sine qua non“ ფორმულის მიხედვით მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

გ) ობიექტური შერაცხვა

შედეგი პეტრეს ობიექტურად მაშინ შეერაცხება, თუ მან თავისი ქცევით სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა, რომელიც შემადგენლობის შესაბამის შედეგში, კერძოდ მსხვერპლის სიკვდილში, განხორციელდა. პეტრეს მიერ ჩაყრილი საწამლავი მკვლელობისათვის საკმარისი არ იყო. მის მიერ საწამლავის ჩაყრას მსხვერპლის სიკვდილის საფრთხე არ შეუქმნია. პავლეს ქმედება პეტრეს არ შეერაცხება, რადგან ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და, აქედან გამომდინარე, თანაამსრულებლები არ იყვნენ.

პასუხი: პეტრე პასუხს არ აგებს სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – განზრახ მკვლელობისათვის.

შენიშვნა კაზუსის ამოსახსნელად: ასეთივე მსჯელობით უარვყოფთ პავლეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც. პეტრეს და პავლეს ქმედებები ორი წვეთი წყალივით ემსგავსება ერთმანეთს, ამიტომაც კუმულაციური მიზეზობრიობის დროს მეორე ამსრულებლის ქმედების სუბსუმცია ალარ მოხდება. ორივე პირი პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის (სსკ მე-19 და 108-ე მუხლები). თუ სტუდენტს ამგვარი კაზუსის ამოხსნა დაევალება, იგი დამთავრებული მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის უარყოფის შემდეგ მკვლელობის მცდელობის განხილვაზე უნდა გადავიდეს.

სსკ 250-ე მუხლი (შხამის მართლსაწინააღმდეგო მისა-

კუთრება ან გამოძალვა) ამ შემთხვევაში არ განიხილება, რადგან კაზუსიდან არაა ცნობილი, თუ როგორ დაეუფლნენ პეტრე და პავლე შხამს. მიუხედავად ამისა, კარგი იქნებოდა, თუ სტუდენტი ამ მუხლს მოკლედ ახსენებდა: „სსკ 250-ე მუხლის (შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა) განსახილველად საჭიროა კაზუსიდან ცნობილი იყოს შხამის დაუფლების კონკრეტული გარემოებები.“

კაზუსი 3. ჰიპოთეტური მიზეზობრიობა

პეტრემ პავლეს ჩაიში საწამლავი ჩაუყარა. მსხვერპლი ამის შედეგად გარდაიცვალა. სასამართლო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ პავლეს სარკომა ჰქონდა და მაინც ზუსტად ამ დროს გარდაიცვლებოდა.

შეაფასეთ სამართლებრივად პეტრეს მოქმედება.

ამოხსნა:

შესაძლებელია, რომ პეტრემ ჩაიში საწამლავის ჩაყრით მკვლელობა, სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, განახორციელა.

ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) რადგან პავლე მოკვდა, სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი – სიკვდილი დადგა.

ბ) საკითხავია, გამოიწვია თუ არა მისი სიკვდილი პეტრეს ქმედებამ, ე.ი. არსებობს თუ არა მის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი.

სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის ანუ conditio- ფორმულის

მიხედვით ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არის მაშინ, როდესაც პირობის აზრობრივ გამორიცხვას შედეგის გამორიცხვაც მოსდევს. თუ პეტრეს ქმედებას გამოვრიცხავთ და ვიფიქრებთ, რომ მას პავლეს ჩაი არ მოუწამლავს, შედეგი არ გამოირიცხება, რადგან პავლე სხვა მიზეზის გამო მაინც გარდაიცვლებოდა. საკითხის ამგვარი მიდგომა დამაკმაყოფილებელ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს. გადამწყვეტი მიზეზობრიობის დროს არის არა ის, რომ შედეგი სხვა სახით მაინც დადგებოდა, არამედ ის, რომ მოცემულ შემთხვევაში ეს კონკრეტული შედეგი პირის კონკრეტულმა ქმედებამ გამოიწვია. ეს კონკრეტული შედეგი, მსხვერპლის სიკვდილი შხამის მიღების გამო მიზეზობრივადაა დაკავშირებული პეტრეს მოქმედებასთან – მოშხამვასთან.

გ) ობიექტური შერაცხვა

ქმედების სუბიექტს შედეგი ობიექტურად მხოლოდ მაშინ შეერაცხება, თუ მისმა ქმედებამ სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე ამ კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. ჩაიში საწამლავის ჩაყრით პეტრემ სამართლებრივად რელევანტური საფრთხე – პავლეს მოშხამვით სიკვდილი შექმნა და პავლეს სიკვდილი სწორედ მოშხამვამ გამოიწვია. პეტრეს მის მიერ ჩადენილი ქმედება ობიექტურად შეერაცხება.

2) ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრემ იცოდა, რომ იგი ქმედების შემადგენლობას ახორციელებდა და მას სურდა კიდეც ეს. პეტრე მოქმედებდა განზრახ.

II. მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები არა გვაქვს.

III. ბრალის გამომრიცხველი გარემოებები კაზუსში არაა მოცემული.

პასუხი: პეტრე დაისჯება სსკ 108-ე მუხლის მიხედვით განზრახი მკვლელობისათვის.

შენიშვნა კაზუსის ამოსახსნელად: კაზუსის ფაბულა არ იძლევა სსკ 110-ე მუხლის (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) ანალიზის საშუალებას, ამიტომაც სტუდენტმა ეს შემადგენლობა ან საერთოდ არ უნდა განიხილოს, ან ეს მუხლი სულ მოკლედ, ერთი წინადადებით უნდა მოიხსენიოს.

კაზუსი 4. ალტერნატიული (ორმაგი) მიზეზობრიობა

პეტრე და პავლე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საწამლავს ჩაუყრიან ჩაიში ივანეს, რომელიც ამ ჩაის დალევის შემდეგ გარდაიცვლება. ექსპერტიზის შედეგად დადგინდება, რომ შხამის ერთი ულუფა საკმარისი იქნებოდა შედეგის დასადგომად. შეაფასეთ სამართლებრივად პეტრეს მოქმედება.

ამოხსნა:

შესაძლებელია, რომ პეტრემ ჩაიში საწამლავის ჩაყრით მკვლელობა განახორციელა (სსკ 108-ე მუხლი).

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

მითითება კაზუსის ამოსახსნელად: ქმედებისა და შედეგის სიღრმისეული ანალიზი არაა საჭირო, არც დადგენა იმისა, რომ პეტრეს ქმედება ნებელობითი და სოციალურად მნიშვნელოვანია. აქ მხოლოდ აუცილებელია მოკლე დასკვნა ქმედებასა და შედეგზე.

ა) რადგან პავლე მოკვდა, სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი – სიკვდილი – დადგა.

ბ) საკითხავია, გამოიწვია თუ არა მისი სიკვდილი პეტრეს ქმედებამ, ე.ი. არსებობს თუ არა პეტრეს ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი.

conditio-ფორმულის მიხედვით ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არის მაშინ, როდესაც პირობის აზრობრივ გამორიცხვას შედეგის გამორიცხვაც მოსდევს. ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ, სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მიზეზობრიობა გვაქვს მაშინ, როდესაც ამ კონკრეტული ქმედების გარეშე ეს შედეგი არ განხორციელდებოდა. თუ პეტრეს ქმედებას აზრობრივად გამოვრიცხავთ, შედეგი არ გამოირიცხება. ამგვარად მივდივართ აბსურდულ დასკვნამდე, რომ პეტრეს ქმედება არაა მიზეზობრივ კავშირში პავლეს სიკვდილთან. ამსრულებლის დასჯადობის დასასაბუთებლად აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის ფორმულის შემდეგნაირი მოდიფიკაცია: კაუზალურად ანუ მიზეზობრივი კავშირის საწყისად ითვლება ყველა მიზეზი, თუ მათი ერთობლივი და არა ალტერნატიული გამორიცხვით შედეგიც გამოირიცხება. თუ პეტრესა და პავლეს ქმედებას ერთობლივად გამოვრიცხავთ, შედეგიც გამოირიცხება. ამგვარად ვადგენთ, რომ პეტრეს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

ალტერნატიული მიზეზობრიობის საკითხის *გადაწყვეტის* მახვილგონივრულ გზას გვთავაზობს *თოდუა*. მისი აზრით, მიზეზობრივი კავშირის საწყისად ითვლება ყველა ის მიზეზი, რომელსაც დამოუკიდებლად (და არა სხვა მიზეზთან კომბინაციაში) მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევა შეუძლია და მოცემულ შემთხვევაში მან ეს შედეგი გამოიწვია კიდეც.[1] *თოდუას* ამ მოსაზრების მიხედვითაც, მოცემულ შემთხვევაში არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის.

[1] საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მან მეორე გამოცემის ხელნაწერის შენიშვნებში შემომთავაზა.

გ) ობიექტური შერაცხვა

ქმედების სუბიექტს შედეგი ობიექტურად მხოლოდ მაშინ შეერაცხება, თუ მისმა ქმედებამ სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე ამ კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. ჩაიში საწამლავის ჩაყრით პეტრემ მსხვერპლის მოწამვლით სიკვდილის სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა, რომელიც დამდგარ კონკრეტულ შედეგში – მსხვერპლის მოშხამვით სიკვდილში განხორციელდა, ამიტომაც პეტრეს დამდგარი შედეგი ობიექტურად შეერაცხება.

2) ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრემ იცოდა, რომ იგი ქმედების შემადგენლობას ახორციელებდა და მას სურდა კიდეც ეს. იგი მოქმედებდა განზრახ.

II. მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები არა გვაქვს.

III. კაზუსში არც ბრალის გამომრიცხველი გარემოებებია მოცემული.

პასუხი: პეტრე დაისჯება სსკ 108-ე მუხლის მიხედვით განზრახი მკვლელობისათვის.

კაზუსი 5. შეწყვეტილი მიზეზობრიობა

პეტრემ მკვლელობის განზრახვით მოწამლა პავლეს ღვინო. სანამ შხამი მოქმედებას დაიწყებდა, ივანემ პავლე მეათე სართულის ფანჯრიდან გადააგდო. პავლე დაცემის შედეგად გარდაიცვალა. შეაფასეთ სამართლებრივად პეტრეს მოქმედება.

განზრახ მკვლელობა, სსკ 108-ე მუხლი

შესაძლებელია, რომ პეტრემ ღვინოში საწამლავის ჩაყრით სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა განახორციელა.

ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

ქმედების ობიექტური მხარე

ა) ქმედების შემადგენლობაში გათვალისწინებული შედეგის დადგომა

შედეგი დადგა, რადგან პავლე მკვდარია.

ბ) მიზეზობრივი კავშირი

საკითხავია, არის თუ არა პეტრეს მიერ განხორციელებული ქმედება – ღვინოში საწამლავის ჩაყრა – მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან. თუ პეტრეს მოქმედებას – ღვინოში საწამლავის ჩაყრას აზრობრივად გამოვრიცხავთ, შედეგი – სიკვდილი მეათე სართულიდან გადმოგდების გამო მაინც დადგება. პეტრეს ქმედება სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით არაა მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან.

პასუხი: პეტრე არ აგებს პასუხს სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – განზრახ მკვლელობისათვის.

მკვლელობის მცდელობა – სსკ მე-19, 108-ე მუხლები

შესაძლებელია, რომ პეტრემ ღვინოში საწამლავის ჩაყრით განახორციელა სსკ მე-19 და 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობის მცდელობა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრემ იცოდა, რომ შხამის ზემოქმედების შედეგად მსხვერპლი გარდაიცვლებოდა და მას სურდა კიდეც ეს.

2. ქმედების ობიექტური მხარე

ამას გარდა, სსკ მე-19 მუხლის თანახმად ივანეს ქმედება მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად. მსხვერპლის ღვინოში შხამის ჩაყრით პეტრემ დანაშაულის ჩასადენად მართული ქმედება და ამითი მცდელობის ობიექტური მხარე განახორციელა.

II. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არაა კაზუსში მოცემული. პეტრეს ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

III. ქმედება ჩადენილია ბრალეულად

პასუხი: პეტრემ ღვინოში საწამლავის ჩაყრით განახორციელა სსკ მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება განზრახ მკვლელობის მცდელობა.

კაზუსი 6. დამდგარი განზრახული შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვა შედეგის შემთხვევით დადგომის გამო

პეტრეს ბოტანიკურ ბაღში პავლეს უფსკრულში გადაჩეხვა სურს და იგი მას ამ მიზნით ჭიდაობას და ცემას დაუწყებს. პავლე პეტრეს თავდასხმას მოიგერიებს, მაგრამ იგი მიწაზე დაგდებულ ბოთლის ნატეხზე დაშავდება. საავადმყოფოში მისული პავლეს ყოველგვარი სამედიცინო წინდახედულების ნორმათა

დაცვით ტეტანუსის ნემსს გაუკეთებენ. წამალი ალერგიულ შოკს გამოიწვევს და პავლე გარდაიცვლება. შეაფასეთ სისხლისსამართლებრივად პეტრეს მოქმედება.

ამოხსნა:

პეტრეს მიერ პავლეს მკვლელობა სსკ 108-ე მუხლი

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს ცემით განახორციელა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახი მკვლელობა.

ქმედების შემადგენლობა

ქმედების ობიექტური მხარე

ა) შედეგი დადგა, რადგან პავლე მკვდარია.

ბ) შედეგი – პავლეს სიკვდილი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს პეტრეს ქმედებასთან.

დამდგარი შედეგი სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის (conditio- ფორმულის) მიხედვით მაშინაა მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ ქმედებასთან, როდესაც ამ ქმედების აზრობრივი გამორიცხვით კონკრეტული შედეგიც გამოირიცხება. პეტრეს ქმედების გამორიცხვით პავლეს სიკვდილი გამოირიცხება, რადგან უამისოდ პავლე ბოთლზე არ დაეგებოდა, ტეტანუსის ნემსს არ გაუკეთებდნენ და იგი ალერგიულ შოკს არ მიიღებდა.

გ) შედეგი, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია სუბიექტის ქმედებასთან, ობიექტურად უნდა შეერაცხოს მას.

პირს შედეგი ობიექტურად მაშინ შეერაცხება, როდესაც მან სამართლებივად რელევანტური საფრთხე შექმნა, რომელმაც

კონკრეტული შედეგი – მსხვერპლის სიკვდილი გამოიწვია. პეტრემ პავლეს ცემით სიკვდილის საფრთხე შექმნა და არა მისი ალერგიული შოკით სიკვდილისა, ამიტომაც მას შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება.

პეტრეს არ განუხორციელებია სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობა.

შენიშვნა: შესაძლებელია (თუმცა ნაკლებად დამაჯერებელია) ობიექტური შერაცხვის არგუმენტაციაც, მაგრამ მაშინ გამოირიცხება ქმედების სუბიექტური მხარე, რადგან პეტრემ არ იცოდა და არც იყო ვალდებული სცოდნოდა, რომ მსხვერპლი ალერგიული შოკის შედეგად გარდაიცვლებოდა. შედეგი იგივეა – სუბიექტი პასუხს არ აგებს დამთავრებული მკვლელობისათვის.

პეტრეს მიერ პავლეს მკვლელობის მცდელობა სსკ მე-19, 108-ე მუხლები

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს ცემით ჩაიდინა სსკ მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობის მცდელობა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური მხარე – პეტრემ იცოდა, რომ მას პავლეს ცემით მისი მოკვლა შეეძლო და მას სურდა ამ შედეგის დადგომა. ქმედების სუბიექტური მხარე შესრულებულია.

2. ქმედების ობიექტური მხარე – პეტრემ პავლეს ცემით განზრახვის განხორციელება დაიწყო. მისი ქმედება უშუალოდ იყო მიმართული განზრახვის განხორციელებისაკენ

II. პეტრეს მოქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

III. იგი მოქმედებდა ბრალეულად.

პასუხი: პეტრე დაისჯება სსკ 19-ე, 108-ე მუხლებით მკვლელობის მცდელობისათვის.

კაზუსი 7. დამდგარი განზრახული შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვა შედეგის შემთხვევით დადგომის გამო

პეტრეს სურდა პავლეს მოკვლა და მან იგი დანით მსუბუქად დაჭრა. პავლე თავისი ფეხით წავიდა საავადმყოფოში. ექიმს მისი მკურნალობის დროს შეცდომა მოუვიდა და იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა. შეაფასეთ სამართლებრივად პეტრეს მოქმედება.

ამოხსნა:

პეტრეს მიერ პავლეს მკვლელობა, სსკ 108-ე მუხლი

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს დაჭრით სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, განზრახ მკვლელობა, განახორციელა.

ქმედების შემადგენლობა
ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) ქმედების შედეგი, ადამიანის სიკვდილი, დადგა. პავლე მკვდარია.

ბ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის სსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის (ცონდიტიო – ფორმულის) მიხედვით არსებობს, რადგან პეტრეს მსხვერპლი რომ არ დაეჭრა, იგი საავადმყოფოში არ მოხვდებოდა და ექიმის შეცდომის გამო არ მოკვდებოდა.

გ) ობიექტური შერაცხვა

პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხება მაშინ, როდესაც მან სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. პეტრეს მიერ შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს – ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას არ შეეძლო გამოეწვია კონკრეტული შედეგი – პავლეს სიკვდილი. დამდგარი შედეგი ახალი ცხოვრებისეული რისკის – ექიმის მიერ ავადმყოფის მკურნალობის დროს დაშვებული შეცდომის შედეგია. ამიტომაც პეტრეს დამდგარი შედეგი – პავლეს სიკვდილი – ობიექტურად არ შეერაცხება.

პასუხი: პეტრე პასუხს არ აგებს პავლეს მკვლელობისათვის სსკ 108-ე მუხლის მიხედვით.

პეტრეს მიერ პავლეს მკვლელობის მცდელობა სსკ მე-19, 108-ე მუხლები

შესავალი: მართალია, პავლე მკვდარია, მაგრამ პეტრეს მისი სიკვდილი ობიექტურად არ შეერაცხება.

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს მსუბუქად დაჭრით განახორციელა სსკ მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობის მცდელობა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური მხარე განხორციელებულია, რადგან პეტრეს პავლეს მოკვლა სურდა და მან იცოდა, რომ იგი ამ შედეგის განსახორციელებლად მოქმედებდა.
2. მცდელობის ობიექტური მხარის შესასრულებლად პეტრეს მოქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ უნდა იყოს მიმართული.

მოქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მაშინაა მიმართული, როდესაც სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულ საფრთხეშია ჩაყენებული. პეტრემ პავლეს დანით მსუბუქად დაჭრით სიცოცხლის მოსპობის კონკრეტული საფრთხე შექმნა. მცდელობის ობიექტური მხარე განხორციელებულია.

II. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები არ გვაქვს.
III. ბრალის გამომრიცხველ გარემოებანი საქმის გარემოებაში არაა.

პასუხი: პეტრემ ჩაიდინა სსკ მე-19, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობის მცდელობა.

ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე განზრახვა

განზრახვა სსკ მე-9 მუხლშია გათვალისწინებული. ქართულ სისხლის სამართალის დოგმატიკაში, გერმანულისაგან განსხვავებით, განზრახვას ვერ განვმარტავთ როგორც ქმედების განხორციელების ცოდნას და სურვილს, რადგან ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო განმარტებაში სსკ მე-9 მუხლის მე-3 ნაწილში კანონმდებელი შედეგის დადგომის სურვილის არქონაზე ამახვილებს ყურადღებას. განზრახვა უნდა მოიცავდეს ობიექტური მხარის როგორც დესკრიპტიული ნიშნების შინაარსს, ასევე ნორმატიულ ნიშნებს. განზრახვისათვის ნორმატიულ ნიშანთა შინაარსის ცოდნა კი არაა გადამწყვეტი, არამედ ამ ნიშნების შინაარსის გაგება არაპროფესიონალის თვალსაწიერიდან. მაგ., პირი არაა ვალდებული, ჩაწვდეს ქურდობის ჩადენის დროს ქმედების შემადგენლობის ნიშნის „სხვისი ქონება“ იურიდიულ შინაარსს. მან მხოლოდ ის უნდა იცოდეს, რომ ნივთი მას არ ეკუთვნის.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი განზრახვის შემდეგ სახეებს ითვალისწინებს:

1. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა
2. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა
3. არაპირდაპირი, ანუ ევენტუალური განზრახვა

პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა მის სურვილსაც გულისხმობს. სსკ მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, ევენტუალური განზრახვა სურვილის მომენტს გამორიცხავს. გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ თუ პირი შედეგის განხორციელების ცოდნას ფლობს და მაინც მოქმედებს, მაშინ მას ამ შედეგის დადგომა სურს კიდეც, ამიტომაც გერმანელი კრიმინალისტები ევენტუალური განზრახვის სუსტი ვოლუნტატიურ ელემენტის არსებობაზე მიუთითებენ.[1] გერმანულ სისხლის სამართალში განზრახვის საკანონმდებლო განმარტება არ არსებობს და ევენტუალური განზრახვის ამდაგვარი გაგება - დოგმატიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ დასაშვებია. ქართული სისხლის სამართლისათვის ამ აზრის გაზიარება მიუღებელია, რადგან მას საკანონმდებლო საფუძველი არა აქვს. სისხლის სამართლის დოგმატიკის საფუძველი და მისი საზღვარი მოქმედი კანონმდებლობაა. სისხლის სამართლის დოგმატიკოსმა სისხლის სამართლის კანონის განმარტებისას (de lege lata) სიტყვასიტყვითი განმარტების საზღვრებს არ უნდა გადააბიჯოს და თუ იგი კანონის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნორმის შეცვლაა აუცილებელი, მას მხოლოდდამხოლოდ de lege ferenda წინადადების წამოყენების უფლება აქვს. თუ კანონმდებელი მე-9 მუხლის მე-3 ნაწილში პირდაპირ მიუთითებს ევენტუალური განზრახვის დროს სურვილის არქონაზე, დაუშვებელია მტკიცება იმისა, რომ ევენტუალური განზრახვის

[1] Gropp, AT, S. 157.

დროს პირს კანონმდებლის აშკარად გამოხატული ნებისა და მისი კონკრეტული მითითების მიუხედავად ქმედების განხორციელების სურვილი აქვს. კანონის ამგვარი განმარტება კანონის აზრის საწინააღმდეგო (contra legem) განმარტებამდე მიგვიყვანს. ამგვარ განმარტებას მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება მართალი სამართლის განხორციელების შესაძლებლობას არ იძლევა.[1] კანონის განმარტება მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ (contra legem) სისხლის სამართალში აკრძალულია, რადგან იგი **კანონიერების პრინციპს** ეწინააღმდეგება. სისხლის სამართლის კანონის განმარტება მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ ეწინააღმდეგება **ხელისუფლების დანაწილების პრინციპსაც,** რადგან სასამართლო ამგვარად საკუთარი მიხედულებით ცვლის სისხლის სამართლის ნორმას, ამ უფლებას კი კონსტიტუცია მხოლოდდამხოლოდ პარლამენტს ანიჭებს (საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი). ნორმის საკანონმდებლო განმარტებას „ზოგადსავალდებულო ძალა აქვს."[2] მართალია, ზოგადი საკანონმდებლო დეფინიციის განსხვავებულ ინტერპრეტაციას დასაშვებად მიიჩნევენ,[3] მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ არსებობს სემანტიკურად ერთმნიშვნელოვანი სიტყვები, რომელთა განმარტებაც იურისპრუდენციაში მიუღებელია[4] და გამოთქმა — „არ სურს" სწორედ ამგვარ სემანტიკურად ერთმნიშვნელოვან გამონათქვამს მიეკუთვნება.

ევენტუალურ განზრახვაში სუსტი სურვილის არსებობის დასასაბუთებლად არც ნებელობის დოგმატიკური ფიგურის შემოტანა გვიშველის,[5] რადგან ნებელობა სისხლის სამართლისათ-

[1] ხუბუა, იქვე, გვ. 161.
[2] ხუბუა, იქვე, გვ. 160.
[3] ხუბუა, იქვე, გვ.160.
[4] ხუბუა, იქვე, გვ. 153; Schwacke, Juristische Methodik mit Technik der Fallbearbeitung, S. 58.
[5] ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 278.

ვის რელევანტური და არარელევანტური ქმედებების ურთიერთგამიჯვნის კრიტერიუმია[1] და მისი არარსებობა საერთოდ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (გაუფრთხილებლობისთვისაც). როგორც *თინათინ წერეთელი* მიუთითებს, „თავისთავად ქმედობა, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია, თუ იგი იზოლირებულად, საზოგადოებრივად საშიში შედეგისაგან დამოუკიდებლად იქნა აღებული, ნებელობითი, და ამიტომ შეგნებული მოქმედებაა. მაგრამ მოქმედების შეგნებული ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამავე დროს განზრახვითია სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით".[2] ნებელობითი, ანუ ვოლუნტატიური ელემენტი **ევენტუალური განზრახვის** დროს შედეგის დადგომის **სურვილის არქონას**, მის შეგნებულად დაშვებას ან მისადმი გულგრილ დამოკიდებულებას მოიცავს. ნებელობის, როგორც სუსტი სურვილის განმარტება გამომდინარე საქმის გარემოებათა ცოდნიდან საერთოდ წაშლის ზღვარს ევენტუალურ განზრახვასა და დანაშაულებრივ თვითიმედოვნებას შორის, რადგან სსკ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულებრივი თვითიმედოვნების და ევენტუალური განზრახვის ცოდნის ელემენტი ერთმანეთს ემთხვევა.

თოდუას აზრით, თუ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ევენტუალური განზრახვის დროს პირს შედეგის დადგომის სუსტი სურვილი აქვს, მაშინ ძლიერი და სუსტი სურვილის ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმიც უნდა გამოვძებნოთ, რაც შეუძლებელი იქნება.[3]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივდივართ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის უარყოფამდე, რადგან შეუძლებელია პიროვნება ცდილობდეს გააკეთოს ის, რაც მას არ სურს.

1 Gropp, AT, S. 110.

2 წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, წიგნი II, გვ. 45.

3 თოდუას მიერ ამ წიგნის ხელნაწერზე გაკეთებული კომენტარი.

სიმულტანობის პრინციპის თანახმად, ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და სურვილი ქმედების ჩადენის დროს უნდა არსებობდეს. განზრახვას არ აფუძნებს წინმსწრები (dolus antecedens) და შემდგომი (dolus subsequens) „განზრახვა".

dolus antecedens ქმედების ჩადენის სურვილია, რომელიც შედეგის დადგომის დროს უკვე აღარაა აქტუალური.

პეტრეს თავისი მეზობლის, პავლეს მოკვლა სურდა. მან მამაპაპეული თოფი აივანზე გამოიტანა და მისი წმენდა დაიწყო. თოფის წმენდისას პეტრემ მკვლელობის ჩადენა გადაიფიქრა, თოფი შემთხვევით გავარდა, პავლეს ტყვია მოხვდა და იგი ადგილზევე მოკვდა. რადგან პეტრეს მკვლელობის ჩადენა შედეგის დადგომისას უკვე გადაფიქრებული ჰქონდა, იგი მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის უნდა დაისაჯოს.

dolus subsequens განზრახვის გარეშე (ზოგჯერ გაუფრთხილებლად) ჩადენილი ქმედების მიერ გამოწვეული შედეგის მოწონებაა.

პეტრემ თოფის წმენდისას შემთხვევით ტყვია მოარტყა თავის მეზობელ პავლეს. პავლე ადგილზევე გარდაიცვალა. პეტრე სინანულით შეხვდა ამ ამბავს. პეტრე არ დაისჯება განზრახი მკვლელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი გაუფრთხილებელი ქმედების შედეგმა გააბარა.

dolus alternativus ანუ **ალტერნატიული განზრახვა** განზრახვის განსაკუთრებული ფორმაა. ალტერნატიული განზრახვა არის განზრახვა, რომელიც ქმედების რამდენიმე შემადგენლობას მოიცავს და ამ შემადგენლობათაგან მხოლოდ ერთის განხორციელებაა შესაძლებელი. ქართული სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმული აზრის თანახმად, ალტერნატიული განზრახვის დროს ქმედების კვალიფიკაცია დამდგარი შედეგის მიხედვით

ხდება. ეს გასაზიარებელია, თუ პირი **თანაბარი** ღირებულების ობიექტებს უმიზნებს და მას ამათგან ერთის დაზიანება აქვს გადაწყვეტილი.

პეტრე ისვრის პავლეს და ივანეს მიმართულებით. მისთვის სულ ერთია, ვინ მოკვდება, პავლე თუ ივანე.

პრობლემატურია კვალიფიკაცია, თუ პირი **არათანაბარი** ღირებულების ობიექტებს (ადამიანებს, ნივთებს) უმიზნებს და მას მათგან ერთის დაზიანება აქვს გადაწყვეტილი,

პეტრე თოფს ესვრის ჯიშიან ცხენზე მჯდომ პავლეს. მისთვის სულ ერთია, კაცი მოკვდება თუ ცხენი.

1. ტყვია მოხვდება პავლეს და იგი ადგილზევე მოკვდება.
2. ტყვია მოხვდება ცხენს და ცხენი მოკვდება. პავლე გადარჩება.

კვალიფიკაცია: პირველ შემთხვევაში პირი პასუხს აგებს დამთავრებული მკვლელობისათვის (სსკ 108-ე მუხლი). პასუხისმგებლობა სხვისი ნივთის განადგურების მცდელობისათვის არ დადგება. თუ პირისთვის სულ ერთი იყო, კაცი მოკვდებოდა თუ ცხენი, იგი მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით შედეგის მიმართ. ევენტუალური განზრახვით მცდელობა ქართულ სისხლის სამართალში დოგმატიკურ საფუძველს მოკლებულია. სხვისი ნივთის დაზიანების საფრთხის გამოწვევეს კი სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად არ აცხადებს.

მეორე შემთხვევაში განადგურდა სხვისი ნივთი. პირი პასუხს აგებს დამდგარი შედეგის მიხედვით სსკ 187-ე მუხლის თანახმად სხვისი ნივთის დაზიანებისა და სსკ 127-ე მუხლით სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის.

შეცდომა

როდესაც პირის მიერ წარმოდგენილი გარემოებანი და სინამდვილე ერთმანეთს არ ემთხვევა, ვლაპარაკობთ შეცდომაზე. ცოდნის ელემენტი როგორც განზრახვის, ასევე გაუფრთხილებლობის კონსტიტუციური ელემენტია. პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის და თვითმედოვნებისას მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება (სსკ მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები). დაუდევრობისას კი პირს, მართალია, არ აქვს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა გათვალისწინებული, მაგრამ ეს არცოდნა მას არ ეპატიება, რადგან მას მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინება ევალებოდა და შეეძლო კიდეც.

სისხლის სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ფაქტობრივ და იურიდიულ შეცდომას. თუ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა პირს გათვალისწინებული არა აქვს (ფაქტობრივი შეცდომა) სსკ მე-9 მუხლის მიხედვით განზრახვა გამოირიცხება. შესაძლებელია ფაქტობრივმა შეცდომამ გაუფრთხილებლობაც გამორიცხოს, თუ პირს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინება არ შეეძლო (სსკ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი).

თუ პირს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა არა აქვს შეგნებული, ადგილი აქვს იურიდიულ შეცდომას. შეცდომას აკრძალვაში კლასიკური დელიქტების დროს არავითარი მიშვნელობა არა აქვს, ბლანკეტური ნორმების დარღვევისას კი შეცდომა სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს. სსკ 36-ე მუხლის მიხედვით მისატევებელი შეცდომა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამორიცხავს. მიუტევებელი შეცდომის დროს კი პირს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის დაეკისრება.

პირის მიერ **მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში დაშვებული უმნიშვნელო შეცდომები** კვალიფიკაციაზე არავითარ გავლენას არ ახდენენ.

პეტრე პავლეს ესვრის იმ იმედით, რომ იგი მაშინვე მოკვდება. პავლე მიყენებული ჭრილობის გამო მაშინვე კი არა, მხოლოდ მეორე დღეს გარდაიცვლება. პეტრეს ამ „შეცდომას" კვალიფიკაციისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

რამდენიმე აქტიანი ქმედებისას ერთმანეთისაგან განასხვავებენ ორ შემთხვევას.

1. **შედეგი უფრო ადრე დგება**, ვიდრე ეს პირს ჰქონდა განზრახული.

კლასიკური შემთხვევა: პირი მსხვერპლს მდინარეში გადააგდებს. მას ჰგონია, რომ მსხვერპლი წყალში დაიხრჩობა. მსხვერპლი უფრო ადრე მოკვდება, რადგან იგი ხიდის ბეტონის ბოძს დაარტყამს თავს. ამგვარ შეცდომას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქმედების კვალიფიკაციისათვის.

2. შედეგი ორაქტიან ქმედებაში განზრახულზე გვიან დგება. პირს ჰგონია, რომ მან შედეგს ქმედების პირველი აქტით მიაღწია, სინამდვილეში კი იგი შედეგს ქმედების მეორე აქტით, დანაშაულის დაფარვისას აღწევს, თუმცა მან ეს არ იცის. ესაა ე.წ. **„გენერალური განზრახვის"** შემთხვევები. dolus generalis ანუ „გენერალური განზრახვა" მოძველებული სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელზე დაყრდნობითაც პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება არასწორია. „გენერალური განზრახვის" მიხედვით განზრახვა ვრცელდება არა ერთ კონკრეტულ ქმედებაზე, არამედ მოქმედებათა მთელ ერთობლიობაზე, რომელსაც საბოლოოდ დამნაშავისათვის სასურველ შედეგამდე მივყავართ. „გენერალური განზრახვა" გაკრიტიკებულია იმიტომ, რომ როდესაც პირი დანაშაულებრივ შედეგს აღწევს, მას დაზარალებულის მოკვლის განზრახვა უკვე აღარ აქვს, ე.ი. მისი განზრახვა უკვე dolus antecedens-ია. dolus antecedens-ით კი განზრახვას ვერ დავასაბუთებთ, რადგან განზრახვა იმ ქმედების განხორციელებისას უნდა არსებობდეს, რომელმაც შედეგი გამოიწვია (სიმულტანობის პრინციპი). თანამედროვე სისხლის სამართალში ამგვარი შემთხვევების კვალიფიკაცია და განზრახვის დასაბუთება არა გენერალური განზრახვის, არამედ მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის უმნიშვნელოდ შეფასების საფუძველზე ხდება. **ცნებას „გენერალური განზრახვა" დღეისათვის მხოლოდდამხოლოდ ზემოხსენებული შემთხვევების საიდენტიფიკაციოდ იყენებენ.**

კაზუსები ქმედების სუბიექტურ მხარეზე

კაზუსი 8. error in persona და aberratio ictus

კაზუსის პირველი ვარიანტი: პეტრემ პავლეს მართას მოკვლა დაავალა 3. 000 დოლარად. პავლე ჩაუსაფრდა მართას სახლის შესასვლელთან და მის მაგიერ სიბნელეში მოკლა ივანე, რომელიც მას მართა ეგონა.

როგორ დაკვალიფიცირდება პავლეს და პეტრეს მოქმედება? **(error in persona შეცდომა დაზარალებულის პიროვნებაში).**

კაზუსის ამოხსნის მეთოდიკაში აღიარებული წესის თანახმად, ამ კაზუსის ამოხსნას ამსრულებლით, ანუ იმ პირით ვიწყებთ, ვინც ყველაზე „ახლოა" დანაშაულებრივ ქმედებასთან. შემდეგ კი წამქეზებლის ქმედება განიხილება. კაზუსის ქრონოლოგიურად აგება საშუალებას არ მოგვცემდა სწრაფად მივსულიყავით შემთხვევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პრობლემასთან – ამსრულებლის შეცდომის ზეგავლენა წამქეზებლის ქმედების კვალიფიკაციაზე.

ამოხსნა:

პავლეს ქმედების სისხლის სამართლებრივი შეფასება

შესაძლებელია, რომ პავლემ ივანეს მოკვლით განახორციელა სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა ანგარებით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური მხარე

ა) შედეგი დადგა – რადგან ივანე მკვდარია.

ბ) პავლეს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ივანეს სიკვდილთან.

გ) გარდა ამისა, პავლეს ქმედება მას ობიექტურად უნდა შეერაცხოს.

პავლემ შექმნა სამართლებივად რელევანტური საფრთხე, რომელმაც ეს კონკრეტული შედეგი – ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. ამიტომაც ივანეს სიკვდილი მას ობიექტურად შეერაცხება.

დ) საკითხავია, ჩაიდინა თუ არა პავლემ სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობა შეკვეთით.

შეკვეთით ჩადენილი მკვლელობა ანგარებითი მკვლელობის სახესხვაობაა.[1] ამ დროს მკვლელობის ამსრულებელი ამორალურ კრიმინალურ „გარიგებას“ დებს გარიგების მხარესთან, რომლის საგანი მკვლელობაა, მაგრამ რადგან პავლემ აღნიშნული ქმედება მხოლოდდამხოლოდ იმიტომ განახორციელა, რომ მას პეტრემ მკვლელობაში ფული შესთავაზა, მკვლელობის დამამძიმებელი გარემოება „ანგარება“ „ყლაპავს“ მეორე მაკვალიფიცირებელ ნიშანს – მკვლელობას შეკვეთით.

[1] ლეკვეიშვილი, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გვ. 51.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი ითვალისწინებს მკვლელობის განზრახ ჩადენას. განზრახვა მოიცავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და მის სურვილს. პავლემ იცოდა, რომ იგი ადამიანს კლავდა და მას სურდა ამ ქმედების განხორციელება.

საკითხავია, რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ პავლეს მართას და არა ივანეს მოკვლის განზრახვა ჰქონდა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს შეცდომას მსხვერპლის პიროვნებაში (error in persona), რადგან პავლეს ეგონა, რომ იგი მართას ჰკლავდა. ამგვარი შეცდომა კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, რადგან ის პიროვნება, რომლის მოკვლა პავლეს ჰქონდა გათვალისწინებული და ის, რომელიც მან მოკლა, სამართლებრივად ერთგვაროვანი ღირებულებისაა. ქმედების განხორციელებისას მან თავისი განზრახვის კონკრეტიზაცია მოახდინა იმ პირზე, რომელსაც იგი ხედავდა. მას უნდოდა სწორედ იმ პირის მოკვლა, რომელსაც ხედავდა, ამიტომაც განზრახვა არ გამოირიცხება. პავლე მოქმედებდა განზრახ.[1]

II. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი კაზუსში არ გვაქვს. პავლეს მოქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

III. ბრალი

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის ნიშანია აგრეთვე ანგარების მოტივი. მკვლელობა ანგარებითაა ჩადენილი,

[1] წერეთელი, წიგნში მაყაშვილი/მაჭავარიანი/წერეთელი/შავგულიძე, დანაშაულის პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 12-13.

თუ მისი მიზანი მატერიალური გამორჩენის მიღებაა.[1] პავლეს ანის მოკვლისათვის 3.000 დოლარი უნდა მიეღო. ამიტომაც იგი ანგარებით მოქმედებდა.

პასუხი: პავლემ ჩაიდინა სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობა ანგარებით.

პეტრეს ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასებისას კი ყურადღება უნდა მიექცეს კაზუსის მეტად მნიშვნელოვან პრობლემას – რა ზეგავლენას ახდენს ამსრულებლის შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში წამქეზებლის ქმედების კვალიფიკაციაზე?

პეტრეს ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლესათვის მართას მკვლელობის შეკვეთის მიცემით განახორციელა სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობის წაქეზება, განხორციელებული შეკვეთით.[2]

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) განზრახი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ჩადენილი ამსრულებლის მიერ.

პავლემ ივანეს მოკვლით განახორციელა პეტრეს მიერ მიცემული შეკვეთა – ადამიანის მკვლელობა ანგარებით, ქმედება გათვალისწინებული სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით. სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა – ამსრულებლის

[1] ლეკვეიშვილი, იქვე, გვ. 48.
[2] ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 291-292.

მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა – დაკმაყოფილებულია.

ბ) პეტრემ პავლეს ადამიანის მოკვლა შეუკვეთა, მკვლელობისათვის ფული შესთავაზა და პავლე ამ ქმედების ჩასადენად დაიყოლია. ამგვარად მან ამორალური გარიგების დადებით განახორციელა სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ნიშანი – ადამიანის მკვლელობის „შეკვეთა“.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

ა) წამქეზებლის განზრახვა უნდა მოიცავდეს ამსრულებლის მიერ განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის სურვილს. როდესაც პეტრე პავლეს მკვლელობის ჩასადენად შეკვეთას აძლევდა, მას ამ ქმედების განხორციელების სურვილი ჰქონდა. ეს სურვილი მას არც მაშინ განელებია, როდესაც პავლე შეკვეთით მკვლელობას ახორციელებდა.

ბ) პეტრეს განზრახვა მოიცავდა აგრეთვე საკუთარ ქმედებას – სხვა ადამიანის დაყოლიებას განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

გ) საკითხავია, რა მნიშვნელობა ენიჭება პეტრეს (წამქეზებლის) ქმედების კვალიფიკაციისათვის იმას, რომ ამსრულებელმა შეცდომა დაუშვა ქმედების განხორციელებისას და ის პირი არ მოკლა, ვისი მკვლელობისთვისაც პეტრემ ფული გადაიხადა.

(1) შესაძლებელია მტკიცება იმისა, რომ ამსრულებლის მიერ დაშვებული შეცდომა მოკლულის პიროვნებაში error in persona უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც წამქეზებლის aberratio ictus (აცდენილი ისარი), რადგან წამქეზებელს მოკლულის სიცოცხლის მოსპობის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ე.ი. ქმედება

დაკვალიფიცირდება როგორც იმ პირის გაუფრთხილებელი მკვლელობა, რომლის მკვლელობაც განხორციელდა და იმ პირის მკვლელობის მცდელობა, ვისი მოკვლაც წამქეზებელს სურდა,

(2) სწორი შეხედულების მიხედვით, თუ წამქეზებელი არაა დანაშაულის აღსრულების ადგილზე და მან დაზარალებულის პიროვნების ინდივიდუალიზაცია ამსრულებელს გადააბარა, ალბათობა იმისა, რომ ამსრულებელი ქმედების განხორციელებისას სხვა პირს მოკლავს, ყოველთვის არსებობს და ამიტომაც ამგვარი შეცდომა წამქეზებლის ქმედების კვალიფიკაციაზე ზემოქმედებას არ უნდა ახდენდეს. წამქეზებელი სწორედ იმ დანაშაულის წაქეზებისათვის უნდა დაისაჯოს, რომელი დანაშაულისათვისაც პასუხს თავად ამსრულებელი აგებს. ე.ი. ამსრულებლის მიერ დაშვებული შეცდომა მსხვერპლის პიროვნებაში დანაშაულის განხორციელების დროს error in persona კვალიფიცირდება როგორც წამქეზებლის error in persona, რომელიც არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს წამქეზებლის ქმედების კვალიფიკაციაზე.

II მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არაა კაზუსში მოცემული. პეტრე მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

III ბრალის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება არაა კაზუსში ნახსენები. პეტრე მოქმედებდა ბრალეულად. სსკ 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბრალის პერსონალური ნიშანი შეერაცხება მხოლოდ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც ივი ახასიათებს. ანგარება ბრალის პერსონალური ნიშანია.[1] ვინაიდან ანგარებით მოქმედებდა პავლე და არა პეტრე, პეტრეს ანგარების ნიშანი არ შეიძლება შეერაცხოს.[2]

[1] გამყრელიძე, განმარტება, გვ. 204.

[2] გამყრელიძის კრიტიკა დები კატუნიების საქმესთან დაკავშირებით იხ. ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 291.

პეტრემ პავლესათვის მართას მკვლელობის შეკვეთის მიცემით განახორციელა სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – წაქეზება შეკვეთითა და ანგარებით განზრახ მკვლელობაში.

კაზუსი 9. აცდენილი ისარი ანუ aberratio ictus შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში

როგორ დაკვალიფიცირდება პავლეს ქმედება, თუ პავლემ პეტრეს წაქეზებით ესროლა მართას და მოახვედრა ივანეს და მოკლა იგი? (aberratio ictus, როდესაც ობიექტი, რომელსაც უმიზნებენ და ობიექტი, რომელსაც აზიანებენ სამართლებრივად თანაბარი ღირებულებისაა).

პირველი შეხედულება:

პავლეს მიერ ივანეს მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი

შესაძლებელია, რომ პავლემ ჩაიდინა სსკ 109 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობა ანგარებით.

I ქმედების ობიექტური შემადგენლობა

1. ობიექტური მხარე

ა) შედეგი დადგა – რადგან ივანე მკვდარია.

ბ) პავლეს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ივანეს სიკვდილთან.

გ) გარდა ამისა, პავლეს ქმედება მას ობიექტურად უნდა შეერაცხოს.

პავლემ თოფის სროლით შექმნა სამართლებივად რელევანტური საფრთხე, რომელმაც ეს კონკრეტული შედეგი – ივანეს სიკვდილი გამოიწვია. ამიტომაც მსხვერპლის სიკვდილი მას ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი მკვლელობის განზრახ ჩადენას ითვალისწინებს.

განზრახვა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და მის სურვილს მოიცავს. საკითხავია, რა ზეგავლენას ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე ის ფაქტი, რომ ამსრულებელს მსხვერპლის სიკვდილის არავითარი სურვილი არ ჰქონდა.

როდესაც პავლე მართას ესროდა, მისი განზრახვა მართაზე იყო დაკონკრეტებული და მას ივანეს სიკვდილი არ უნდოდა. ივანეს ტყვია შემთხვევით მოხვდა და ეს შემთხვევა ამსრულებლის საზიანოდ არ უნდა გავითვალისწინოთ. პავლე ივანეს მკვლელობის მიმართ განზრახ არ მოქმედებდა.[1]

პასუხი: პავლეს არ ჩაუდენია სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში.

შენიშვნა: ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებელი მკვლელობა. ამგვარი კაზუსის ამოხსნისას აუცილებელია განზრახი მკვლელობის უარყოფის შემდეგ მკვლელობის მცდელობისა და გაუფრთხილებელი მკვლელობის განხილვა.

[1] წერეთელი, წიგნში მაყაშვილი/მაჭავარიანი/წერეთელი/შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 13.

შესაძლებელია მეორე შეხედულების განვითარებაც, რომელსაც ობიექტთა თანაბარღირებულებიანობის თეორია შეიძლება ეწოდოს:

შესაძლებელია, რომ პავლემ ჩაიდინა სსკ 109 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობა ანგარებით.

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) შედეგი დადგა – რადგან ივანე მკვდარია.

ბ) პავლეს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ივანეს სიკვდილთან.

გ) გარდა ამისა, პავლეს ქმედება მას ობიექტურად უნდა შეერაცხოს.

პავლემ თოფის სროლით შექმნა სამართლებივად რელევანტური საფრთხე, რომელმაც ეს კონკრეტული შედეგი – ივანეს სიკვდილი გამოიწვია. ამიტომაც მსხვერპლის სიკვდილი მას ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი ითვალისწინებს მკვლელობის განზრახ ჩადენას.

განზრახვა მოიცავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და მის სურვილს.

როდესაც პავლე მართას ესროდა, მას ივანეს მოკვლა არ უნდოდა, მაგრამ მას უნდოდა ადამიანის მოკვლა და მან ეს გააკეთა კიდეც. ობიექტი, რომლის დაზიანებაც ამსრულებელს ჰქონდა გაზრახული და ობიექტი, რომლიც დაზიანდა, ტოლფა-

სოვანი ღირებულებისაა.

პავლე სხვა ადამიანის მკვლელობასთან მიმართებაში განზრახ მოქმედებდა.

II. ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო, რადგან არა გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი.

III. ქმედება იყო ბრალეული

პასუხი: პავლემ ჩაიდინა სსკ 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტით ით გათვალისწინებული ქმედება განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში.

შენიშვნა: ესაა მხოლოდდამხოლოდ მეცნიერული შეხედულება და მას პრაქტიკაში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

კაზუსი 10. შემთხვევა, როდესაც error in persona და aberratio ictus ერთმანეთს ემთხვევა

როგორ დაკვალიფიცირდება პავლეს ქმედება, თუ პავლემ პეტრეს წაქეზებით მართას მოკვლა გადაწყვიტა. მას სიბნელეში ივანე მართა ეგონა და მას ესროლა, მაგრამ სრულიად შემთხვევით მოახვედრა მართას და მოკლა იგი (error in persona და aberratio ictus ერთმანეთს ემთხვევა)?

ამოხსნა:

ქმედების ობიექტური მხარე

ა) შედეგი დადგა – რადგან მართა მკვდარია.

ბ) პავლეს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია მართას სიკვდილთან.

გ) გარდა ამისა, პავლეს ქმედება მას ობიექტურად უნდა შეერაცხოს.

პავლემ თოფის სროლით შექმნა სამართლებივად რელევანტური საფრთხე, რომელმაც ეს კონკრეტული შედეგი – მართას სიკვდილი გამოიწვია. ამიტომაც მსხვერპლის სიკვდილი მას ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ 108-ე მუხლი ითვალისწინებს მკვლელობის განზრახ ჩადენას. განზრახვა მოიცავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და მის სურვილს.

საკითხავია, მოქმედებს თუ არა პირი განზრახ, როდესაც error in persona და aberratio ictus ერთმანეთს ემთხვევა? როდესაც პავლე ივანეს ესროდა, მას მართას მოკვლა უნდოდა და მან ეს შემთხვევითობის წყალობით გააკეთა კიდეც. რადგან პირმა სწორედ ის ობიექტი დააზიანა, რომლის დაზიანებაც გაზრახული ჰქონდა, იგი სხვა ადამიანის მკვლელობასთან მიმართებაში განზრახ მოქმედებდა.

II. ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო, რადგან არა გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი.

III. ქმედება იყო ბრალეული

პასუხი: პავლემ ჩაიდინა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება განზრახი მკვლელობა.

შესაძლებელია ამგვარი ქმედების დაკვალიფიცირება როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა (სსკ მე-19, 108-ე მუხლები) და გაუფრთხილებელი მკვლელობა (სსკ 116-ე მუხლი), რადგან

სუბიექტმა ის პირი, რომელსაც იგი უმიზნებდა და რომელზედაც მისი განზრახვა იყო დაკონკრეტებული, ვერ მოკლა.

კაზუსი 11. „გენერალური განზრახვა“

პეტრემ კოჯრის ტყეში მოკვლის განზრახვით სცემა პავლეს, რომელმაც ცემის დროს გონება დაკარგა. პეტრეს ეგონა, რომ პავლე მკვდარი იყო და მან იგი დამარხა. სინამდვილეში პავლე ცოცხალი იყო და იგი მიწაში მოიგუდა.

როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს მოქმედება?

პეტრეს მიერ პავლეს მკვლელობა მიწაში დამარხვით

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს მიწაში დამარხვით სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა განახორციელა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური მხარე

ა) შედეგი დადგა – რადგან პავლე მკვდარია.

ბ) პეტრეს ქმედება პავლეს სიკვდილთან მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს.

conditio-ფორმულის მიხედვით ქმედება მაშინაა მიზეზობრივ კავშირში შედეგთან, თუ მისი აზრობრივი გამორიცხვით შედეგიც გამოირიცხება. პეტრეს პავლე რომ არ დაემარხა, იგი მიწაში არ მოიგუდებოდა. ამიტომაც მისი ეს ქმედება დამდგარ შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია.

გ) ამას გარდა, პავლეს სიკვდილი პეტრეს ობიექტურად უნდა შეერაცხოს.

პეტრემ პავლეს მიწაში დამარხვით შექმნა სამართლებრივად რელევანტური საფრთხე, რომელიც კონკრეტულ შედეგში – პავლეს სიკვდილში განხორციელდა.

პეტრეს პავლეს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება.

ქმედების ობიექტური მხარე შესრულებულია.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა პეტრე განზრახ. განზრახვა არის ქმედების ობიექტური მხარის განხორციელების ცოდნა და სურვილი. იგი მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის ძირითად რგოლებს უნდა მოიცავდეს.

პეტრეს სურდა პავლეს სიკვდილი ცემით. როდესაც მან მსხვერპლი დამარხა, მას იგი უკვე მკვდარი ეგონა, ამიტომაც პეტრეს განზრახვა არ მოიცავდა პავლეს სიკვდილს მიწაში ჩამარხვით.

შესაძლებელია განზრახვის დადასტურება და მტკიცება, რომ მკვლელობის განზრახვა დამარხვის მომენტში ისევ არსებობდა. dolus generalis ანუ გენერალური განზრახვის მოძღვრების მიხედვით, განზრახვა მკვლელობის გამომწვევ, დროსა და სივრცეში ერთმანეთთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაზე ვრცელდება.

ამ თეორიის თანახმად პეტრემ განზრახი მკვლელობა განახორციელა, როდესაც მან პავლე დამარხა.

ეს თეორია არ ასახავს სინამდვილეს, რადგან იგი უგულებელჰყოფს იმ ფაქტს, რომ პეტრეს პავლეს დამარხვით მისი სიკვდილის სურვილი კი არა, არამედ დანაშაულის კვალის წაშლის სურვილი ჰქონდა, ამიტომაც ეს მოძღვრება ეყრდნობა არა

ნამდვილ განზრახვას, რომელიც ქმედების განხორციელების დროს უნდა არსებობდეს, არამედ განზრახვის ფიქციას. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მარტოდენ წინმსწრები განზრახვა, dolus antecedens, რომელიც შედეგის გამომწვევი ქმედების დროს უკვე აღარაა აქტუალური,

პასუხი: პეტრეს პავლეს დამარხვით სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება განზრახი მკვლელობა არ განუხორციელებია.

პეტრეს მიერ პავლეს მკვლელობა ცემით

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს ცემით განახორციელა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება — განზრახი მკვლელობა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) შედეგი დადგა, რადგან პავლე მკვდარია.

ბ) შედეგი — პავლეს სიკვდილი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს პეტრეს ქმედებასთან.

დამდგარი შედეგი conditio- ფორმულის მიხედვით მაშინაა მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ ქმედებასთან, როდესაც ამ ქმედების აზრობრივი გამორიცხვით კონკრეტული შედეგიც გამოირიცხება.

მეორე ქმედება, მიწაში დამარხვა განუყოფლადაა დაკავშირებული მსხვერპლის ცემასთან. პეტრეს პავლე რომ არ ეცემა, იგი უგონო მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა, მას არ დამარხავდა და პავლე არ მოიგუდებოდა.

პავლეს სიკვდილი ამიტომაც ცემას მიზეზობრივად უკავშირდება.

გ) ამას გარდა, პავლეს სიკვდილი პეტრეს ობიექტურად უნდა შეერაცხოს.

პირს ობიექტურად შეერაცხება შედეგი მაშინ, როდესაც მან თავისი ქმედებით სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა და ეს საფრთხე კონკრეტულ შედეგში განხორციელდა.

ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირი, რომელსაც არა აქვს სამედიცინო განათლება, უგონობის მდგომარეობაში მყოფს ძალიან ხშირად მკვდრად მიიჩნევს და მსხვერპლი დანაშაულის დაფარვისათვის განხორციელებული ქმედებით კვდება. აქედან გამომდინარე, პეტრემ პავლეს ცემით სამართლებრივად რელევანტური საფრთხე შექმნა.

ამგვარად, პეტრეს პავლეს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება.

ქმედების ობიექტური მხარე განხორციელებულია.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

დასადგენია, მოქმედებდა თუ არა განზრახ.

განზრახვა არის ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და სურვილი. იგი მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის უმნიშვნელოვანეს რგოლებს უნდა მოიცავდეს.

პეტრეს სურდა პავლეს სიკვდილი, მაგრამ მას ეგონა, რომ პავლე ცემით მოკვდა.

საკითხავია, თუ როგორ უნდა შეფასდეს მისი ეს შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში და გვაქვს თუ არა განზრახვა, როდესაც წარმოდგენილი მიზეზობრივი კავშირი განხორციელებული მიზეზობრივი კავშირისაგან ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებით დიდად არ განსხვავდება, პირი მიზეზობრიობის ამგვარ განვითარებას არ ითვალისწინებს, თუმცა მას ეს შეუძლია.

ამ საკითხის გადაწყვეტისას შესაძლებელია ორი დიამეტრალურად ერთმანეთისაგან განსხვავებული აზრის განვითარება.

(1) ერთი შეხედულების მიხედვით კონსტრუქცია – არ ითვალისწინებდა კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას – არ შეესაბამება განზრახვის განმარტებას. ამიტომაც ამ აზრის მიმდევრები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ პეტრეს სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახი მკვლელობა არ განუხორციელებია. ისინი ამგვარ ქმედებას აკვალიფიცირებენ როგორც მკვლელობის მცდელობას და გაუფრთხილებელ მკვლელობას.

(2) შესაძლებელია საკითხის მეორენაირად გადაწყვეტა. რადგან წარმოდგენილი მიზეზობრივი კავშირი განხორციელებული მიზეზობრივი კავშირისაგან ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებით დიდად არ განსხვავდება, პირის შეცდომას მიზეზობრიობის განვითარებაში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება. ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც განზრახი მკვლელობა (სსკ 108-ე მუხლი).

პასუხი: ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც განზრახი მკვლელობა (სსკ 108-ე მუხლი).

კაზუსი 12. შეცდომა მიზეზობრიობაში, რომელიც კვალიფიკაციას არ ცვლის

როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს მოქმედება, თუ იგი მოკვლის მიზნით ნაცემ და გონებადაკარგულ პავლეს, რომელიც მას მკვდარი ჰგონია, ტყეში დატოვებს. მიყენებულ ჭრილობებში შეპარული ინფექციით დაძაბუნებული პავლე ტყეში მარტო მყოფი გარდაიცვლება?

ამოხსნა:

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს ცემით განახორციელა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახი მკვლელობა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) შედეგი დადგა, რადგან პავლე მკვდარია.

ბ) შედეგი – პავლეს სიკვდილი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს პეტრეს ქმედებასთან.

დამდგარი შედეგი conditio- ფორმულის მიხედვით მაშინაა მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ ქმედებასთან, როდესაც ამ ქმედების აზრობრივი გამორიცხვით კონკრეტული შედეგიც გამოირიცხება. პეტრეს პავლე ცემით რომ არ დაესუსტებინა, იგი არ გარდაიცვლებოდა. პავლეს სიკვდილი მიზეზობრივადაა დაკავშირებული პეტრეს მიერ მის ცემასთან.

გ) პირს შედეგი ობიექტურად შეერაცხება, რადგან ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მძიმედ დაშავებული ადამიანი კვდება.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

განზრახვა არის ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და სურვილი. პეტრეს მაშინ, როდესაც მან მძიმედ დაშავებული პავლე ტყეში მიატოვა, მსხვერპლი უკვე მკვდარი ეგონა. იგი ცდებოდა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში. პეტრე ითვალისწინებდა ცემით პავლეს სიკვდილს. ცემა ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, განუყრელადაა დაკავშირებული მიყენებულ დაზიანებებთან და ინფექციებთან. შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში არაა მნიშვნელოვანი. ამიტომაც ის ფაქტი, რომ პავლე მაშინვე კი არ მოკვდა, არამედ გარკვეული პერიოდის შემდეგ, გავლენას არ ახდენს განზრახვის არსებობაზე.

ქმედების შემადგენლობა განხორციელებულია.

მართლწინააღმდეგობის და
ბრალის გამომრიცხველი გარემოებები კაზუსში არაა მოცემული.

პასუხი: პეტრემ ჩაიდინა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება განზრახი მკვლელობა.

კაზუსი 13. შეცდომა მაკვალიფიცირებელ გარემოებაში

ზიზის ეგონა, რომ მდივანი ქალი მისი ქმრისაგან ფეხმძიმედ იყო და ამიტომაც მან იგი თავისი დის მიერ ლაბორატორიიდან გამოტანილი შხამით მოწამლა. მსხვერპლს ექიმებმა ვერ უშველეს და იგი გარდაიცვალა. მიცვალებულის გაკვეთის შედეგად დადგინდა, რომ მდივანი ქალი ფეხმძიმედ არ იყო. როგორ დაკვალიფიცირდება ზიზის ქმედება?

ამოხსნა:

შესაძლებელია, რომ ზიზიმ მდივანი ქალის მოწამვლით ჩაიდინა სსკ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათ-

ვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში.

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

შედეგი დადგა, რადგან მდივანი ქალი მკვდარია. მსხვერპლის სიკვდილი მიზეზობრივ კავშირშია ზიზის ქმედებასთან და მას ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

ზიზი მოქმედებდა განზრახ, რადგან მან იცოდა, რომ იგი საწამლავის საშუალებით ადამიანს კლავდა და მას სურდა კიდეც ეს.

საკითხავია, თუ რა მნიშვნელობა მიენიჭება ზიზის არასწორ წარმოდგენას ქალის ფეხმძიმობის შესახებ და დაკვალიფიცირდება თუ არა მისი ქმედება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად. ქართული სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმული აზრის მიხედვით, ამგვარი შემთხვევები იურიდიულად უნდა შეფასდეს ისე, როგორც delictum putativum.[1] რადგან სუბიექტის მცდარი წარმოდგენა მის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობის შესახებ ამ ქმედების დანაშაულებრიობას არ აფუძნებს, კვალიფიკაციაზე ზეგავლენას არც მისი მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე არსებული არასწორი წარმოდგენა მოახდენს. გადამწყვეტი სუბიექტის დასჯისას არის არა მისი სუბიექტური შეხედულება, არამედ განხორციელებული ქმედების დანაშაულებრიობა და მაკვალიფიცირებელი ნიშნების რეალურად არსებობა. ზიზის მკვლელობის მაკვალიფიცირებელი

[1] გამყრელიძე, განმარტება, გვ. 107.

ნიშანი – მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა – არ განუხორციელებია.

II ზიზი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

III ბრალის გამომრიცხველი გარემოებები არ გვაქვს.

პასუხი: ზიზი დაისჯება სსკ 108 მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის (განზრახ მკვლელობა).

გარდა ამისა, ზიზი დაისჯება სსკ 23-ე მუხლის მე-2 ნაწილში და 250-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედებისათვის – წაქეზება შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში როგორც კაზუსის წინა ვარიანტში. რადგან კაზუსის მეორე ვარიანტში შეკითხვა ზიზის დის დასჯადობის შესახებ დასმული არაა, შეცდომად ჩაითვლება მსჯელობა მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

კაზუსი 14. ბანდო მიცუგუროს შემთხვევა (ნამდვილი ამბავი) – განზრახვა, გაუფრთხილებლობა თუ ობიექტური შერაცხვის გამორიცხვა?

ცნობილი იაპონელი მსახიობი ბანდო მიცუგურო ხშირად დადიოდა რესტორანში, რომელიც განთქმული იყო თავისი თევზეულით. მას განსაკუთრებით უყვარდა თევზი „ფუგუ". „ფუგუ" არის ძალიან გემრიელი, მაგრამ შხამიანი თევზი. მისი ნაღვლის ბუშტი შეიცავს შხამს, რომელიც მცირე დოზით აღგზნებადია, დიდი დოზით კი – მომაკვდინებელი, ამიტომაც მას ყოველთვის განსაკუთრებით კვალიფიცირებული მზარეულები ამზადებენ. მიცუგუროს უნდოდა თევზიდან მიღებული სიამოვნების გაზრდა. მან სთხოვა მზარეულს, მინიმალურად გაეზარდა შხამის დოზა. მზარეულმა მას უარი უთხრა და აუხსნა, რომ ეს სიცოცხლისათვის საშიში იყო. მსახიობის დაჟინებული თხოვნის გამო მზარეულმა

მას თევზი მისცა. თევზი მიცუგურომ თავად გაასუფთავა და მოამზადა. საჭმელში დარჩენილი შხამის გამო იგი ჭამისთანავე გარდაიცვალა.

საიკო საიმ, იაპონიის უმაღლესმა სასამართლომ, მზარეულს ბრალი დასდო ბანდო მიცუგუროს გაუფრთხილებელ მკვლელობაში. სასამართლოს მიხედვით, მზარეულს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მიცუგუროს საჭმელი მოწამლავდა.

როგორ დაკვალიფიცირდება ქმედება ქართული სისხლის სამართლის კოდექსისი მიხედვით?

ამოხსნა:

„ბანდო მიცუგუროს კაზუსის" ამოხსნის I ვარიანტი – დაჩი ქინქლაძე

საკონტროლო სამუშაო, დაწერილი 2007 წლის აპრილში, რომელმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა

შესაძლოა, მზარეულმა მიცუგუროსათვის თევზის გადაცემით განახორციელა სსკ 108-ე მუხლით გათვლისწინებული ქმედება განზრახი მკვლელობა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) ქმედება და მისი შედეგი – მზარეულმა მიცუგუროს თევზი გადასცა და მიცუგურო ამ თევზის შეჭმის შედეგად გარდაიცვალა.

ბ) მიზეზობრივი კავშირი – მზარეულს მიცუგუროსათვის თევზი რომ არ მიეცა, მიცუგურო მას არ მოამზადებდა და ჭამის შედეგად არ გარდაიცვლებოდა.

გ) ობიექტური შერაცხვა – საკითხავია, შეერაცხება თუ არა მზარეულს მიცუგუროს სიკვდილი ობიექტურად. „ფუგუ“ შხამიანი თევზია. მისი მომზადება მხოლოდ განსაკუთრებით კვალიფიციურ მზარეულებს შეუძლიათ. რადგან მიცუგურო არ იყო განსაკუთრებით კვალიფიციური მზარეული, „ფუგუს მისთვის გადაცემა არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალურად ადექვატურ ქმედებად. მზარეულმა თევზის გადაცემით შექმნა სამართლებრივად მნიშვნელოვანი საფრთხე, რომელიც შემდეგ შედეგში, მიცუგუროს გარდაცვალებაში გამოიხატა.

ქმედების სუბიექტური მხარე – გამოიხატება არაპირდაპირ განზრახვაში. მზარეულმა იცოდა, რომ თევზის შხამის დოზის მინიმალური მომატებაც კი სიცოცხლისათვის საშიში იყო. მას, მართალია, არ სურდა მსახიობის სიკვდილი, მაგრამ იგი უშვებდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რადგან მან თავად გააფრთხილა მსახიობი, რომ ამგვარი შედეგის დადგომა შესაძლებელი იყო.

II მართლწინააღმდეგობა

შესაძლებელია, რომ მზარეული მოქმედებდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ისეთ ზეკანონურ გარემოებაში, როგორიცაა დაზარალებულის თანხმობა.

სამართლებრივი სიკეთის მატარებლის თანხმობა სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე არაა საკმარისი ქმედების მართლზომიერებისათვის. სამართლებრივი სიკეთე „განკარგვადი“ უნდა იყოს. სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლება განკარგა ისეთი სამართლებრივი სიკეთისა, როგორიცაა სიცოცხლე. ამიტომაც არავის აქვს უფლება, მოუსპოს სიცოცხლე სხვა პირს, თუნდაც მსხვერპლის დაჟინებითი თხოვნით (სსკ 110-ე მუხლი).

მსახიობის თანხმობა სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე არ შეიძლება ჩავთვალოთ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად.

III ბრალი

შესაძლოა, მზარეული მოქმედებდა ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებაში, როგორიცაა სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სსკ 37-ე მუხლი). მსახიობი კანონის მიერ არ იყო უფლებამოსილი, გაეცა სავალდებულო ბრძანება და მზარეული არ იყო ვალდებული, დამორჩილებოდა მას, მიუხედავად მსახიობსა და მზარეულს შორის არსებული სოციალური უთანასწორობისა.

პასუხი: მზარეულმა ჩაიდინა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – მკვლელობა.

„ბანდო მიცუგურის კაზუსის“ ამოხსნის II ვარიანტი

შესაძლოა, მზარეულმა მიცუგუროსათვის თევზის გადაცემით განახორციელა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა.

ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

ქმედების ობიექტური მხარე გამოიხატა მზარეულის მიერ მიცუგუროსათვის თევზის გადაცემაში.

ა) მიზეზობრივი კავშირი – მზარეულს მიცუგუროსათვის თევზი რომ არ მიეცა, მიცუგურო მას არ მოამზადებდა და ჭამის შედეგად არ გარდაიცვლებოდა.

ბ) ობიექტური შერაცხვა – საკითხავია, შეერაცხება თუ არა მზარეულს მიცუგუროს სიკვდილი ობიექტურად.

შედეგი, რომელსაც სრულწლოვანი, შერაცხადი მსხვერპლი თავად, საკუთარი ნებელობითი, შეგნებული ქმედების საშუალებით იწვევს, არ შეერაცხება იმ პირს, რომელიც თვითდაზიანებას შეუწყობს ხელს. საკუთარი სიცოცხლის როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი მოსპობა არაა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება და, აქედან გამომდინარე, ამ ქმედებისათვის ხელის შეწყობა არაა დანაშაული. მიცუგუროს, სრულწლოვანმა და შერაცხადმა პირმა იცოდა, რომ "ფუგუ" შხამიანი თევზია, და მისი მომზადება მხოლოდ განსაკუთრებით კვალიფიციურ მზარეულებს შეუძლიათ. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ამ თევზის შხამის მომეტებულმა დოზამ იგი შეიძლება მოკლას. მიუხედავად ამისა, მსახიობი საკუთარი სიამოვნების მიღებისათვის წავიდა ამ რისკზე, რადგან (უსაფუძვლოდ) იმედოვნებდა, რომ მას თევზის სწორი დამზადება შეეძლო. მან ამგვარად თავისი სიცოცხლე თავად ჩააყენა საფრთხეში, ამიტომაც დამდგარი შედეგი მას უნდა შეერაცხოს და არა მზარეულს.

მზარეულს მიცუგუროს მიერ განხორციელებული საკუთარი სიცოცხლის გაუფრთხილებელი მოსპობა ობიექტურად არ შეერაცხება.

პასუხი: მზარეული არ დაისჯება სსკ 108-ე მუხლით განზრახი მკვლელობისათვის.

შენიშვნა: ქმედებას ამგვარად აკვალიფიცირებენ გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში.[1]

„ბანდო მიცუგუროს კაზუსის" ამოხსნის III ვარიანტი

შესაძლოა, მზარეულმა მიცუგუროსათვის თევზის გადაცემით განახორციელა სსკ 116-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

[1] Gropp, AT, S. 431.

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

ქმედების ობიექტური მხარე

ა) სსკ 116-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი – ადამიანის სიკვდილი – დადგა. შედეგი გამოიწვია მზარეულის მოქმედებამ – თევზის გადაცემამ.

ბ) მზარეულის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან – მიცუგუროს სიკვდილთან, ვინაიდან მზარეულს ბანდოსთვის თევზი რომ არ მიეცა, იგი ამ თევზს არ დაამზადებდა, არ შეჭამდა და არ მოკვდებოდა.

გ) წინდახედულობის ნორმის დარღვევა ობიექტურად, საკითხავია, იყო თუ არა მზარეულის ქმედება ობიექტურად გაუფრთხილებელი.

ქმედება ობიექტურად გაუფრთხილებელია, თუ არსებობს წინდახედულობის სპეციალური ნორმები, რომელიც პირმა დაარღვია და წინდახედულობის ნორმების შესაბამისი ქმედება კონკრეტულ შემთხვევაში ქმედების სუბიექტის სოციალური მდგომარეობის მქონე და დაკვირვებული ადამიანის მიერ შესაძლებელი იყო.

განსაკუთრებულად კვალიფიციური მზარეული „ფუგუს" დამზადებისათვის არსებულ წინდახედულობის ნორმას არ დაარღვევდა და თევზს სხვას არ მისცემდა დასამზადებლად, რადგან მას ეცოდინებოდა, რომ მსახიობი არაა ამგვარი თევზის დამზადების სპეციალური ცოდნის მქონე. ამიტომაც მზარეულმა ობიექტურად გაუფრთხილებლად იმოქმედა.

II დაზარალებულის თანხმობა სამართლებრივი სიკეთის – სიცოცხლის ხელყოფაზე არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება მაშინაც კი, როდესაც პირის

სიცოცხლის ხელყოფა მისი დაჟინებული თხოვნის შედეგად ხორციელდება (სსკ 110-ე მუხლი).

III ბრალი

ა) წინდახედულობის ნორმის დარღვევა სუბიექტურად

მზარეულს ჰქონდა წინდახედულობის ნორმის დაცვის და შედეგის დადგომის გათვალისწინების სუბიექტური შესაძლებლობა. მან, როგორც კვალიფიციურმა მზარეულმა იცოდა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა თევზის არასწორ გასუფთავებას, რადგან მან თავად შხამის დოზის მინიმალურ გაზრდაზეც კი უარი თქვა.

ბ) ბრალის გამომრიცხველი გარემოებები მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს.

მზარეული მოქმედებდა ბრალეულად.

პასუხი: მზარეული უნდა დაისაჯოს სსკ 116-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – სიცოცხლის გაუფრთხილებელი მოსპობისათვის.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

კაზუსები მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებზე

კაზუსი 15. მოჩვენებითი მოგერიება

პეტრე და მისი მეგობარი ზიზი სალამოს ვაკის პარკში კარატეში ვარჯიშობენ. ზიზის მეზობელი პავლე ფიქრობს, რომ პეტრეს ქალის მოკვლა სურს და იგი ერთი დარტყმით გათიშავს მას.

შეაფასეთ სამართლებრივად პავლეს მოქმედება.

ამოხსნა:

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური მხარე

შესაძლებელია, რომ პავლემ დარტყმითა და პეტრეს გათიშვით განახორციელა სსკ 125-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ცემა.

ა) ცემა პირის სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას ნიშნავს.[1]

პავლემ ერთი დარტყმით დააკარგვინა პეტრეს გონება. ე.ი. მას არ განუხორციელებია სსკ 125-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების პირველი ალტერნატიული ნიშანი – ცემა.

ბ) სსკ 125-ე მუხლის ობიექტური მხარე ითვალისწინებს სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

სხვაგვარი ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ერთჯერად ძალმომრეობით აქტში. ქმედების ამ ნიშნისათვის გადამწყვეტი ფიზიკური ტკივილის მიყენებაა.

ისეთი დარტყმა, რომელიც გონებას მსხვერპლს დააკარგვინებს, ფიზიკურ ტკივილთან განუყრელადაა დაკავშირებული.

პავლემ პეტრეს გათიშვით განახორციელა სსკ 125-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – სხვაგვარი ძალადობა.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

პავლემ იცოდა, რომ იგი პეტრეს მიმართ ძალმომრეობის აქტს ახორციელებდა და მას სურდა ამ აქტის განხორციელება.

[1] თოდუა, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გვ. 111.

პავლე მოქმედებდა განზრახ.

II. მართლწინააღმდეგობა

შესაძლებელია, რომ პავლე მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

I. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა

ა) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა იმწუთიერია, რადგან პავლემ პეტრეს კარატეში ზიზის წინააღმდეგ ბრძოლისას დაარტყა.

ბ) პეტრე თავს ესხმოდა ზიზის, ე.ი. სამართლებრივი სიკეთის – ზიზის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება სხვა ადამიანს მიერ ხორციელდებოდა.

გ) ხელყოფის მართლწინააღმდეგობა

ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა მაშინ, როდესაც იგი კულტურის ნორმებს ეწინააღმდეგება. ხელყოფის მართლწინააღმდეგობა შესაძლებელია გამოირიცხოს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში უშუალოდ გათვალისწინებული, არამედ მართლწინააღმდეგობის ზეკანონური გარემოებითაც (სსკ 32-ე მუხლი).

მართლწინააღმდეგობის ზეკანონურ გარემოებებს მიეკუთვნება დაზარალებულის თანხმობა. ზიზი პეტრესთან ერთად ვარჯიშობდა, ე.ი. იგი ეთანხმებოდა ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც პეტრე მის მიმართ ახორციელებდა.

აა) ზიზის თანხმობა მიცემული იყო ვარჯიშამდე, ე.ი. პეტრეს მიერ განხორციელებული ქმედების ჩადენამდე.

ბბ) ზიზის მიერ მიცემული თანხმობა იყო ნამდვილი, რადგან მას ნების გამოვლენის უნარი ჰქონდა და მასზე ამ ნების გამოვლენისას არავის ზემოქმედება არ მოუხდენია.

პეტრეს ქმედება არ იყო მართლსაწინააღმდეგო. ამიტომაც პავლე არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. პავლეს მოქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

III. ბრალი

მართლწინააღმდეგობის შეგნება ანუ განზრახვის dolus malus ელემენტი

იმისათვის, რომ ქმედება იყოს განზრახ ჩადენილი, პირს სსკ მე-9 მუხლის II ნაწილის მიხედვით (განზრახვის განმარტება), უნდა ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება. პავლე ფიქრობდა, რომ იგი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედებდა, ე.ი. მას საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა შეგნებული არ ჰქონდა. განზრახვის მესამე ნიშანი, მართლწინააღმდეგობის შეგნება, არ გვაქვს.

პასუხი: პავლეს არ ჩაუდენია სსკ 125-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ცემა.

პავლეს პასუხისგებაში მიცემა გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის შეუძლებელია, რადგან სისხლის სამართლის კოდექსი გაუფრთხილებლობით ცემას არ ითვალისწინებს.

კაზუსი 16. აუცილებელი მოგერიების საზღვრები

თორმეტი წლის პავლე უშვერი სიტყვებით ლანძღავს მაღაზიის გამყიდველ ანის. ანი სილას გაარტყამს პავლეს, რის შედეგადაც პავლეს ტვინის შერყევა დაემართება და ექიმების დაჟინებული მოთხოვნის გამო 14 დღეს საწოლში გაატარებს.

როგორ დაკვალიფიცირდება ანის ქმედება?

ამოხსნა:
შესაძლოა, რომ ანიმ სსკ 120-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება ჩაიდინა.

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ქმედების შედეგი, ტვინის შერყევა მიზეზობრივ კავშირშია სილის გარტყმასთან და იგი ანის ობიექტურად შეერაცხება, რადგან ტვინის შერყევაში ზუსტად ის საფრთხე განხორციელდა, რომელიც ანიმ სილის გარტყმით დააფუძნა.

სსკ 120-ე მუხლი ითვალისწინებს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლას, როდესაც მკურნალობისათვის 6-დან 21 დღემდეა საჭირო.

პავლეს განსაკურნებლად აუცილებელი იყო 14 დღე. მას ჯანმრთელობა მსუბუქად დაუზიანდა.

ა) ქმედების სუბიექტური მხარე

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა ანი განზრახ, რადგან მან ზუსტად არ იცოდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის ქმედებას.

ქმედება მაშინაც განზრახაა ჩადენილი, როდესაც პირს არა აქვს კონკრეტული წარმოდგენა შესაძლო შედეგის შესახებ და იგი რამდენიმე შესაძლო შედეგის დადგომას ითვალისწინებს. განზრახვის ამგვარ სახეს განუსაზღვრელ, ანუ არაკონკრეტიზებული განზრახვას უწოდებენ. ამგვარ შემთხვევებში კვალიფიკაცია დამდგარი შედეგის მიხედვით ხდება.[1] ანი მოქმედებდა განზრახ.

[1] გამყრელიძე, განმარტება, გვ. 103.

1. მართლწინააღმდეგობა

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა ანი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

1. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა

ა) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის იმწუთიერობა

სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა იმწუთიერია მაშინ, როდესაც ხელყოფა ეს ესაა იწყება, ანდა უკვე ხორციელდება, მის დამთავრებამდე.

როდესაც ანიმ პავლეს გაარტყა, ეს უკანასკნელი მას აგინებდა, ე.ი. ანის ღირსების ხელყოფა იმწუთიერი იყო.

ბ) ხელყოფის მართლწინააღმდეგობა

ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა, როდესაც იგი ადამიანისაგან (თუნდაც არასრულწლოვნისგან) მომდინარეობს და ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს.

არასრულწლოვანი პავლეს მიერ სხვა ადამიანის უშვერი გინება არაა სოციალურად ადექვატური ქმედება, იგი ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს. სიტყვიერი შეურაცხყოფა ხელყოფაა, რომლის მოთმენა არაა სავალდებულო. პავლე ანის ღირსებაზე მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას ახორციელებდა.

2. აუცილებელი მოგერიების მოქმედება

აუცილებელი მოგერიების საზღვრები

საკითხავია, იყო თუ არა აუცილებელი 12 წლის ბავშვის

მიერ განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფის მოგერიება სილის გარტყმით.

აუცილებელი მოგერიების დროს თავდაცვა უნდა შეესაბამებოდეს თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას. საკანონმდებლო განმარტების მიხედვით, აუცილებელი მოგერიების გადაცილება ნიშნავს დაცვის აშკარა შეუსაბამობას თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან (სსკ 28-ე მუხ. მე-4 ნაწილი). 12 წლის ბავშვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მოგერიება სილის ისეთი ძლიერი გარტყმით, რომელიც ტვინის შერყევას გამოიწვევს, აშკარად არ შეესაბამება თავდასხმის საშიშროებას. ანიმ გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

III. ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არაა კაზუსში მოცემული.

პასუხი: ანიმ ჩაიდინა სსკ 120-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

კაზუსი 17. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არცოდნა

პეტრემ პავლეს მოკვლის მიზნით თოფი ესროლა და მოკლა იგი. მან ამგვარად უნებლიედ გადაარჩინა ივანე, რადგან პავლე ზუსტად ამ დროს ივანეს უმიზნებდა თოფს და ჩახმახზე თითის გამოკვრას აპირებდა, რადგან მას ივანეს მოკვლა სურდა.

ამოხსნა:

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს თოფით მოკვლით სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება განახორციელა.

I. ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა
1. ქმედების ობიექტური მხარე
ა) მართლსაწინააღმდეგო შედეგი დადგა, რადგან პავლე მკვდარია.

ბ) პეტრეს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან და მას ეს შედეგი ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრემ იცოდა, რომ იგი თოფის გასროლით მოკლავდა პავლეს და მას ეს სურდა კიდეც.

II. მართლწინააღმდეგობა

შესაძლებელია, რომ პეტრე აუცილებელი მოგერიების, ე.ი. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ მგომარეობაში მოქმედებდა.

1. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა

ა) თოფის დამიზნებით და ჩახმახზე თითის დადებით პავლე ახორციელებდა თავდასხმას სამართლებრივ სიკეთეზე.

ა) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა აუცილებელი მოგერიების დროს უნდა იყოს იმწუთიერი

ხელყოფა იმწუთიერია, როდესაც იგი ეს ესაა იწყება.[1]

როდესაც პეტრემ ესროლა პავლეს, ეს უკანასკნელი ივანეს თოფით მოკვლას აპირებდა.

ხელყოფა იყო იმწუთიერი.

ბ) ხელყოფის მართლწინააღმდეგობა

ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა, როდესაც იგი ობიექტურად არღვევს მართლწესრიგს ან კულტურის ნორმებს და თავის მხრივ, არაა ჩადენილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობისას.

გ) აუცილებელი არაა, რომ სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც აუცილებელი მოგერიების დროს მომგერიებელი იცავს, მასვე

[1] გამყრელიძე, განმარტება, გვ. 217.

ეკუთვნოდეს. სსკ 28-ე მუხლის მიხედვით დასაშვებია აუცილებელი დახმარებაც.

პეტრემ ჩადენილი მოქმედებით თავი კი არ დაიცვა, არამედ მესამე პირი. მისი მოქმედება აუცილებელ დახმარებას წარმოადგენს.

გ) საკითხავია, იყო თუ არა აუცილებელი მოგერიების ქმედება მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო.

საჭიროდ უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი თავდაცვა, რომელიც თავდასხმას სასწრაფოდ დაასრულებს და ამასთან ყველაზე უფრო ნაკლები ვნების მომტანია. მომგერიებელი არაა ვალდებული, წავიდეს რისკზე და აირჩიოს თავდაცვის ისეთი საშუალება, რომელიც არ იქნება საკმარისი თავდასხმის მოსაგერიებლად.

პეტრეს რომ არ ესროლა პავლესთვის, პავლე ესროდა ივანეს და მოკლავდა მას.

2. აუცილებელი მოგერიების სუბიექტური მხარე

აუცილებელი მოგერიებისას აუცილებელია, რომ მომგერიებელმა იცოდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა და მოქმედებდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით.

პეტრემ მაშინ, როდესაც ის პავლეს ესროდა, არ იცოდა, რომ იგი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედებდა. მისი მოქმედება არ იყო სსკ 28-ე მუხლის მიხედვით გამართლებული.

III. ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არაა მოცემული საქმის გარემოებაში. პეტრე მოქმედებდა ბრალეულად.

პასუხი: პეტრე დაისჯება განზრახი მკვლელობისათვის, სსკ 108-ე მუხლით.

შენიშვნა: პეტრე დაისჯება, რადგან მან არ იცოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობა. მისი ქმედება მიმართული იყო სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაკენ (ქმედების უღირსობა) და არა თავდასხმის მოგერიებისაკენ. თეორიულად შესაძლებელია შემდეგი მტკიცებაც: რადგან მის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ მესამე პირს სიცოცხლე გადაურჩინა, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ შედეგი უღირსი არაა. ასეთი კონსტელაცია, როდესაც, მართალია, ქმედება უღირსია, მაგრამ შედეგი არაა უღირსი, დანაშაულის მცდელობის დოგმატიკური კონსტელაციაა. ამიტომაც გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმული აზრის მიხედვით, პირი მხოლოდ მცდელობისათვის უნდა დაისაჯოს.[1]

კაზუსი 18. მოვალეობათა კოლიზია

1. ერთ მზიან და უქარო დღეს პეტრე ძმისშვილებთან ერთად პლაჟზე სეირნობდა. ბავშვები ზღვაში შევიდნენ. უცბად ქარი ამოვარდა და ბავშვები საფრთხეში ჩაცვივდნენ. პეტრეს მხოლოდ ერთი ბავშვის გადარჩენა შეეძლო, რაც მან გააკეთა კიდეც. მეორე ბავშვი დაიხრჩო. დაისჯება თუ არა პეტრე მეორე ბავშვის უმოქმედობით მკვლელობისათვის?

2. როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს ქმედება, თუ მან არცერთი ბავშვი არ გადაარჩინა, რადგან მას ახალი პიჯაკი ეცვა?

3. როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს ქმედება, თუ მან არცერთი ბავშვი არ გადაარჩინა, რადგან მან ცურვა არ იცოდა?

[1] ინდჰ უსერ, თ, შ. 144.

ამოხსნა:

შესაძლებელია, რომ პეტრემ ბავშვის გადაურჩენლობით განახორციელა სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით და 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახი მკვლელობა უმოქმედობით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) ქმედების შედეგი გვაქვს, რადგან მეორე ბავშვი გარდაიცვალა.

ბ) პეტრეს თავის ძმისშვილებთან ერთად პლაჟზე სეირნობისას ნებაყოფლობით ჰქონდა თავის თავზე აღებული გარანტის ფუნქცია. მას, როგორც დამცავ გარანტს, ევალებოდა ბავშვებისათვის ყოველგვარი საფრთხის თავიდან აცილება. ამასთან მას ბავშვის გადარჩენის ობიექტური და სუბიექტური შესაძლებლობა ჰქონდა. იგი იქვე იყო (ქმედების განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა) და ცურვაც იცოდა (ქმედების განხორციელების სუბიექტური შესაძლებლობა). მისი უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

გ) პეტრემ თავისი უმოქმედობით შექმნა სამართლებრივად რელევანტური დახრჩობის საფრთხე, რომელიც კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო შედეგში განხორციელდა. მას დამდგარი შედეგი ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა) განზრახვა მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ: პეტრემ იცოდა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მას ბავშვისათვის უნდა ეშველა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგი დადგებოდა.

ბ) განზრახვა გარანტის ფუნქციის მიმართ: პეტრეს შეცნობილი ჰქონდა გარანტის მოვალეობა, რომელიც მან ბავშვებთან სეირნობისას ნებაყოფლობით აიღო თავის თავზე.

II. მართლწინააღმდეგობა

შესაძლებელია, რომ პეტრე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების მდგომარეობაში მოქმედებდა. აქ მხედველობაშია მისაღები მოვალეობათა კოლიზია. მოვალეობათა კოლიზია უმოქმედობის დროს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა. მოვალეობათა კოლიზია გვაქვს მაშინ, როდესაც ადამიანს ერთდროულად ორი მოვალეობა წარმოეშობა, მას ამ ორიდან მხოლოდ ერთის შესრულება შეუძლია და მის მიერ მხოლოდ ამ ერთი მოვალეობის შესრულება ზიანს იწვევს.[1] მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ვალდებულებათა კოლიზიას, რადგან მაშინ, როდესაც მინდობილი ბავშვი იხრჩობოდა, პეტრე მეორე ბავშვის სიცოცხლის გადარჩენისათვის იბრძოდა.

აქ ერთმანეთთან კოლიზიაში მყოფი სამართლებრივი სიკეთეები იერარქიულად თანაბარი მნიშვნელობისაა. ამგვარი შემთხვევების დროს ორი განსხვავებული დოგმატიკური შეხედულების ჩამოყალიბებაა შესაძლებელი:

1. შესაძლებელია მტკიცება იმისა, რომ ქმედების შემადგენლობის უმოქმედობით განხორციელება კოლიდირებულ სამართლებრივ სიკეთეთა იერარქიული ტოლფასოვნებისას მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა და პირი არ დაისჯება მხოლოდ ბრალის უქონლობის გამო. სამართალი არ კიცხავს იმ მოქმედების შეუსრულებლობას, რომლის განხორციელება პირს არ შეეძლო.

2. მეორე შეხედულების მიხედვით ვალდებულებათა კოლიზ-

[1] გამყრელიძე, განმარტება, გვ. 238.

იის დროს გამორიცხულია მართლწინააღმდეგობა, რადგან სამართალმა არ შეიძლება პირს დააკისროს ორი ვალდებულების ერთდროული შესრულება, თუ ეს ობიექტურად შეუძლებელია

მაშინ, როდესაც პეტრემ ერთი ბავშვი გადაარჩინა, მას მეორის გადარჩენა ობიექტურად არ შეეძლო. სამართალი ვერ დააკისრებს პირს შეუძლებლის შეძლებას. მისი უმოქმედობის მართლწინააღმდეგობა გამორიცხულია.

III. ბრალი – თუ მეორე შეხედულებას მივყვებით, ბრალზე უკვე აღარ გადავდივართ.

თუ მივყვებით პირველ შეხედულებას, გამოვრიცხავთ ბრალს, რადგან სამართალმა არ შეიძლება გაკიცხოს პირი იმ მოქმედების შეუსრულებლობისათვის, რომლის შესრულება მას არც შეეძლო.

პასუხი: პეტრე უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობისათვის პასუხს არ აგებს.

კაზუსის მეორე ვარიანტი

როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს ქმედება, თუ მან არცერთი ბავშვი არ გადაარჩინა, რადგან მას ახალი პიჯაკი ეცვა?

I ამოხსნა მართლწინააღმდეგობამდე იგივეა.

II მართლწინააღმდეგობის განხილვისას მივდივართ ვალდებულებათა კოლიზიამდე. თუ სამართლებრივი სიკეთეები, რომელთა კოლიზიასაც აქვს ადგილი, იერარქიულად სხვადასხვა საფეხურზე დგანან, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველია იერარქიულად მაღლა მდგომი სამართლებრივი სიკეთის დაცვა. ბავშვის გადარჩენაზე უარის თქმა, პიჯაკის დაზიანების შიშის გამო მართლსაწინააღმ-

დეგო ქმედებაა, რადგან ადამიანის სიცოცხლე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე მატერიალური ღირებულება.

III ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი არაა მოცემული საქმის გარემოებაში.

პასუხი: პეტრემ განახორციელა მკვლელობა უმოქმედობით (სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და 108-ე მუხლი).

კაზუსის მესამე ვარიანტი

როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს ქმედება, თუ მან არცერთი ბავშვი არ გადაარჩინა, რადგან მან ცურვა არ იცოდა?

ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება ვალდებულებათა კოლიზიას. კაზუსი მიზეზობრივ კავშირამდე განიხილება ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში. მიზეზობრივი კავშირის განხილვისას, სსკ მე-8 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, მიზეზობრიობა გამორიცხება, რადგან პირს კონკრეტული შედეგის თავიდან აცილება არ შეეძლო. უმოქმედობის მიზეზობრიობის გამორიცხვა ქმედების შემადგენლობის გამორიცხვას იწვევს. თუ პეტრემ ცურვა არ იცოდა და მან ბავშვები ამიტომაც ვერ გადაარჩინა, იგი პასუხს უმოქმედობით მკვლელობისათვის (სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და 108-ე მუხლი) არ აგებს.

ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი

ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი, რომლებიც სახელდებითაა მოხსენიებული სისხლის სამართლის კოდექსში

ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები სსკ IX თავშია გათვალისწინებული. კანონში სახელდებით გათვალისწინებული ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს მიეკუთ-

ვნება შეურაცხაობა ასაკის გამო (სსკ 33-ე მუხლი), შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო (სსკ 34-ე მუხლი), შეცდომა (სსკ 36-ე მუხლი) და ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სსკ 37-ე მუხლი).

„ტრაგიკული კოლიზია", როგორც ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება

ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი ყველა გარემოება სახელდებით არაა მოხსენიებული სისხლის სამართლის კოდექსში. სსკ 38-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას სხვა არაბრალეული ქმედების განხორციელების გამო. ამ არაბრალეულ ქმედებათა დადგენა და მათი წინაპირობების განსაზღვრა სისხლის სამართლის დოგმატიკის და სამოსამართლო სამართალის ამოცანაა.

ითვლება თუ არა ბრალის გამომრიცხველ გარემოებად საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე? არის თუ არა ადამიანის მიერ ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტური სურვილი ყოვლისმომცველი და ყველა სხვა გრძნობის ჩამხშობი და ამიტომაც ამგვარ სიტუაციაში საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვა პირის სიცოცხლის ხარჯზე, საპატიებელ გარემოებაში ჩადენილი? არსებობს თუ არა სამართლისაგან თავისუფალი, ბოროტსა და კეთილს მიღმა არსებული სივრცე? ეს შეკითხვა 22 საუკუნს წინ დასვა ბერძენმა ფილოსოფოსმა კარნეადესმა.[1] ამ 22 საუკუნის განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი სხვადასხვანაირი შეხედულება გამოითქვა.

[1] საბჭოთა პერიოდის ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ცნობილი იყო „პუფენდორფის ფიცრის" შემთხვევა: წყალზე მოტივტივე ფიცარს, რომელზედაც მხოლოდ ერთი ადამიანის ადგილია, ორი ეხლაუჭება. ერთი ადამიანი მეორეს წყალში ჩააგდებს და თავს ასე გადაირჩენს. ე.ი. იგი თავს გადაირჩენს იმ ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა.

გერმანულ სისხლის სამართალში (გერმანიის სსკ 35-ე მუხლი) მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებით იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ემუქრება თავად პირის, მისი ნათესავის ან მისი სხვა ახლობლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ანდა თავისუფლებას, ბრალის გამომრიცხველ გარემოებად ითვლება. ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის წინაპირობებია საფრთხის იმწუთიერობა და მისი სხვაგვარად თავიდან აცილების შეუძლებლობა. გერმანიის სსკ 35-ე მუხლი „მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში" სხვა ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე საკუთარი, ნათესავის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის გადარჩენასაც მოიაზრებს.

ქართულ სისხლის სამართალში საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე ტრაგიკული კოლიზიის სახელწოდებითაა ცნობილი. დოგმატიკაში ტრაგიკული კოლიზიის წინაპირობები და საზღვრები ჯერჯერობით სადავოა. *გამყრელიძე* ტრაგიკულ კოლიზიას მეტად ფართოდ მოიაზრებს. გადარჩენილ და ხელყოფილ სამართლებრივ სიკეთეთა თანაფარდობის განხილვისას მიუთითებს, რომ ტრაგიკული კოლიზიის დროს ერთი ადამიანის სიცოცხლე მეორის ხარჯზე იღუპება, ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ აქ ქმედების გაკიცხვა შეუძლებელია და სასჯელის მოტივაციური ზეგავლენა ამგვარ შემთხვევაში ნულს უდრის. მართლაც, არ ექნება იმ სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამგვარ ქმედებას დასჯის, არავითარი ძალა, რადგან სასჯელით მუქარას (თუნდაც სიკვდილის მისჯას მოსამართლის განაჩენით), რომლის დადგომა მომავალში საეჭვოა, არ შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში უცილობელი სიკვდილის შიში გადაწონოს. მისი აზრით, არ შეიძლება, კაცს მოვუწოდოთ, არ ჩაიდინო ეს ქმედებაო, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჩვენ თვითმკვლელობისაკენ მოვუწოდებთ. ბრალის გამორიცხვის საკითხი დგება მაშინ, როდესაც დაზიანებული და გადარჩენილი სიკეთეები თანაბარია, ან როცა დაზიანებული სიკეთე გადარ-

ჩენილ სამართლებრივ სიკეთეს აღემატება.[1] ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში *გამყრელიძის* ინიციატივით იყო შეტანილი მუხლი „საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შესახებ." ამ მუხლის მიხედვით, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის ანალოგიურად, „ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს და სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლების სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას, მოქმედებს ბრალის გარეშე, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილიყო სხვა საშუალებით" (მისი ალტერნატიული კოდექსის 36-ე მუხლი).[2] *გამყრელიძის* შეხედულების მიხედვით, ბრალის გამორიცხვისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ის ადამიანი, ვის ხარჯზეც პირმა სიცოცხლე გადაირჩინა, საფრთხეში იყო თუ არა.

საბჭოთა პერიოდის ქართული სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე ამორალური და უზნეო ქმედებაა და ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას და პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს.[3]

სურგულაძემ ტრაგიკული კოლიზიის საკითხი დაამუშავა *შავგულიძესთან* ერთად გამოცემულ მონოგრაფიაში „საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი" და სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში. „ტრაგიკული კოლიზია", მისი

[1] ფუტკარაძე, ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, გამყრელიძე (რედ.), გვ. 228

[2] გამყრელიძე, განმარტება, გვ. 260.

[3] ფურცხვანიძე, ზოგადი ნაწილი, გვ. 166; წერეთელი, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში, გვ. 112.

აზრით, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე და იგი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც პასუხისმგებლობის შემასუბუქებელი და არა როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.[1]

სურგულაძე ტრაგიკული კოლიზიისაგან განასხვავებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ორივე ადამიანის სიცოცხლე განსაცდელშია და პირს არ შეუძლია სხვისი გადარჩენა თუნდაც საკუთარი სიცოცხლის გაწირვით **(მთამსვლელების შემთხვევა)**. მისი აზრით, თუკი ადამიანი ამგვარ შემთხვევაში თოკის გადაჭრით საფრთხის წყაროს განერიდება და უკვე დაზიანებული სამართლებრივ სიკეთეს გაწირავს, იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ უნდა მიეცეს.[2]

თოდუა ტრაგიკულ კოლიზიად თვლის გარემოებას, როდესაც პირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის სამართლებრივი სიკეთის ნაწილის საფრთხისაგან გადასარჩენად, როდესაც ეს სიკეთე მთლიანობაში დასაღუპად იყო განწირული.[3] *თოდუა* გამორიცხავს ტრაგიკული კოლიზიის არსებობას არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელყოფილია ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც საფრთხეში არ იყო, არამედ მაშინაც, როდესაც შექმნილი საფრთხიდან თავის დაღწევის თანაბარი შესაძლებლობა აქვს საფრთხეში აღმოჩენილ პირთაგან თითოეულს. მისი აზრით, „ტრაგიკული კოლიზია არ შეიძლება ემყარებოდეს პრინციპს: ვინც მოასწრებს, ის მოიგებს; ანდა – შეუბრალებელი მოიგებს. . . საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა თუნდაც მაშინ, როდესაც ორივეს სიკვდილი ემუქრება, უზნეობაა და იგი არ შეიძლება

[1] *შავგულიძე/სურგულაძე*, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი, გვ. 221; *სურგულაძე*, სისხლის სამართალი, გვ. 258.

[2] *სურგულაძე* აქ *შარგოროდსკის* არგუმენტაციას იშველიებს. იხ. *სურგულაძე*, სისხლის სამართალი, გვ. 259.

[3] *თოდუა, აქტორთა კოლექტივი*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 318.

შეუძლებელი გარემოება, თუმცა შეიძლება შეფასდეს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.“[1] როგორც ვხედავთ, *თოდუამ* გაიზიარა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის არაბრალეულობისათვის აუცილებელი *სურგულაძისეული* სოციალურ-ეთიკური საზღვრები. მანვე ქართულ სისხლის სამართალში პირველად ჩამოაყალიბა ტრაგიკული კოლიზიის წინაპირობები და ამგვარად მოგვცა ბრალეული და არაბრალეული ქმედების ერთმანეთისაგან გამიჯვნის მკაფიო მასშტაბი. ტრაგიკული კოლიზიის არსებობისათვის იგი სრულიად სწორად საფრთხის რეალურობას, იმწუთიერობას და სამართლებრივი სიკეთის სხვაგვარად გადარჩენის შეუძლებლობას მიიჩნევს.[2]

ტურავა ერთმანეთისაგან განასხვავებს საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის რამდენიმე შემთხვევას — **ტრაგიკულ კოლიზიას ფართო** და **ვიწრო** გაგებით და **იძულებით უკიდურეს აუცილებლობას. ფართო გაგებით ტრაგიკულ კოლიზიაში** იგი მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა არა თავად დამზიანებლის ან მისი ახლობლის სამართლებრივ სიკეთეს, არამედ იმ ადამიანს, რომელიც მის ნათესავთა წრეს არ მიეკუთვნება. *ტურავასეული* **ტრაგიკული კოლიზია ვიწრო გაგებით** კი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი საკუთარ ან ახლობლის სიცოცხლეს გადაარჩენს სხვისი სიცოცხლის ხარჯზე.[3] *თოდუას* მიერ ჩამოყალიბებულ ტრაგიკული კოლიზიის წინაპირობებს იგი „საფრთხის თავის თავზე მიღების“ მოთხოვნის არარსებობას ამატებს.[4]

[1] *თოდუა*, იქვე, გვ. 319.
[2] *თოდუა*, იქვე, გვ. 318.
[3] *ტურავა*, სისხლის სამართალი, გვ. 260-270.
[4] კაზუსის ამოხსნა ამგვარ შემთხვევასთან დაკავშირებით იხ. *Ebert* (Hrsg.), 16 Fälle mit Lösungen, S. 95.

ტრაგიკული კოლიზიის *თოდუასეული* ეთიკური ზღვრის და *თოდუას* და *ტურავას* მიერ ჩამოყალიბებული ბრალის გამომრიცხველი ტრაგიკული კოლიზიის წინაპირობების გათვალისწინებით (საფრთხის რეალურობა, იმწუთიერობა და სამართლებრივი სიკეთის სხვაგვარად გადარჩენის შეუძლებლობა[1] და საფრთხის ატანის ვალდებულების არარსებობა[2]) **ბრალის გამომრიცხველ ტრაგიკულ კოლიზიად** უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია სხვისი სიცოცხლის გადარჩენა თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე და პირი სამართლებრივი სიკეთის ნაწილს (საკუთარ სიცოცხლეს) გადაარჩენს იმ სიცოცხლის ფასად, რომელიც, მას რომ არ ემოქმედა, მაინც დაიღუპებოდა (მთამსველელების შემთხვევა).[3] ტრაგიკული კოლიზიის ამგვარ გაგებას სრულიად სამართლიანად იზიარებენ *თოდუა*[4], *სურგულაძე*[5] და ქართული სისხლის სამართლის პრაქტიკა. ეს შემთხვევა განსხვავდება კარნეადესის ფიცრის იმ ვარიანტისაგან, როდესაც ფიცარზე ორი პირი იმყოფება, ორივე პირი საფრთხეშია, ერთი მეორეს ფიცრიდან დაბლა ჩააგდებს და საკუთარ სიცოცხლეს ამგვარად გადაირჩენს მეორე ადამიანის ხარჯზე. კარნეადესის ფიცრის ამ შემთხვევისას, მართალია, ორივე პირი (სამართლებრივი სიკეთე მთლიანობაში) არის საფრთხეში და ერთი პირის (სამართლებრივი სიკეთის ნაწილის) გადარჩენა ხდება მეორის ხარჯზე, მაგრამ აქ ძლიერი სუსტს გადარჩენის შანსს აქტიური ქმედებით უსპობს. მთამსველელების მაგალითში კი პალოზე მომწყდარ მთამსველელს გადარჩენის არავითარი შანსი უკვე აღარ გააჩნია. სწორედ ამიტომ უნდა გამოირიცხოს ბრალი მთამსველელების შემთხვევაში ტრაგიკულ კოლიზიის დოგმატი-

[1] *თოდუა*, იქვე, გვ. 318.
[2] „საფრთხის გადატანის“ მოვალეობაზე უკიდურესი აუცილებლობისას იხ. *სურგულაძე*, სისხლის სამართალი, გვ. 255.
[3] საბჭოთა პერიოდის რუსი მეცნიერი *შარგოროდსკის* არგუმენტაცია. იგი ამგვარ შემთხვევებში პირის დაუსჯელობას უჭერდა მხარს. *შავგულიძე/სურგულაძე*, იქვე, გვ. 223.
[4] *გამყრელიძე*, განმარტება, გვ. 260.
[5] *ტურავა*, იქვე, გვ. 271.

კური ფიგურის მოშველიებით. *თოდუას* მიხედვით, კარნეადესის ფიცრის ზემოთმოყვანილ ვარიანტში ბრალის გამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ სსკ 34-ე მუხლით, თუ ექსტრემალურმა სიტუაციამ პირის ფსიქიკის დროებითი აშლილობა გამოიწვია.[1]

კაზუსები ბრალის გამომრიცხველ გარემოებებზე

კაზუსი 19. საკუთარი (ან ახლობლის) სიცოცხლის გადარჩენა იმ პირის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე არ ემუქრებოდა.

ჩაძირული გემიდან გადარჩენილი პეტრე და პავლე წყალში ცურავენ და მათ დახრჩობის საფრთხე ემუქრებათ. პავლე წყალში ფიცარს იპოვის და ზედ გაწვება. პეტრე მასთან მიცურდება და რადგან ამ ფიცარზე მხოლოდ ერთი კაცის ადგილია, იგი მას ფიცრიდან დაბლა ჩააგდებს და თავს ასე გადაირჩენს. პავლე დაიხრჩობა. დაისჯება თუ არა პეტრე პავლეს მკვლელობისათვის?

ამოხსნა:

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს წყალში ჩაგდებით სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა განახორციელა.

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

ქმედების ობიექტური მხარე

შედეგი დადგა, რადგან პავლე დაიხრჩო. პეტრეს ქმედებასა და პავლეს დახრჩობას შორის მიზეზობრივი კავშირი გვაქვს, რადგან პატრეს პავლე წყალში რომ არ გადაეგდო, იგი არ დაიხრჩობოდა. პეტრეს პავლეს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება, რადგან პავლეს სიკვდილში ზუსტად ის საფრთხე – წყალში დახრჩობა – განხორციელდა, რომელიც პეტრემ საკუთარი ქმედებით – მისი წყალში გადაგდებით დააფუძნა.

ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრეს პავლეს სიკვდილი არ სურდა, მაგრამ იგი განზრახ მოქმედებდა, რადგან მან იცოდა, რომ წყალში ჩავარდნილი პავლე უცილობლად დაიხრჩობოდა. (მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა, შედეგის დადგომის გარდუვალობა სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ალტერნატივა).

II მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

1. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა (სსკ 28-ე მუხლი) არა გვაქვს, რადგან პავლეს პეტრეზე თავდასხმა არ განუხორციელებია.

2. პეტრე ვერც უკიდურესი აუცილებლობით გაიმართლებს თავს, რადგან დაზიანებული და გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთეები ტოლფასია.

III ბრალი

შესაძლებელია, რომ პეტრე ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა.

1999 წლის ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას სხვისი სიცოცხლის ხარჯზე როგორც ბრალის გამომრიცხველ გარემოებას სახელდებით არ ითვალისწინებს. სსკ 38-ე მუხლში მოცემულია ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური ნორმა, რომლის თანახმადაც მოსამართლეს თავად შეუძლია იმგვარი გარემოების არსებობისას, რომლიც არაბრალეულობის პირობებს აკმაყოფილებს, ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ ჩათვალოს, მაგრამ ბრალი გამორიცხოს და პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს. საკითხავია, არის თუ არა ექსტრემალურ

[1] *თოდუა*, იქვე, გვ. 319.

სიტუაციაში საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა იმ პირის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე არ ემუქრებოდა, ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებაში ჩადენილი?

საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე ქართულ სისხლის სამართალში ტრაგიკული კოლიზიის სახელითაა ცნობილი. ამ დოგმატიკური ინსტიტუტის არსის შესახებ ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში ერთიანი აზრი არ არსებობს. დასადგენია მისი ფარგლები და სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა.

გამყრელიძის აზრით, ტრაგიკული კოლიზიის დროს ერთი ადამიანის სიცოცხლე მეორის ხარჯზე იღუპება, ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ აქ ქმედების გაკიცხვა შეუძლებელია სასჯელის მოტივაციური ზეგავლენის არარსებობის გამო. სასჯელით მუქარას (თუნდაც სიკვდილის მისჯას მოსამართლის განაჩენით), რომლის დადგომა მომავალში სათუოა, არ შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში უცილობელი სიკვდილის შიში გადაწონოს. მისი აზრით, არ შეიძლება, კაცს მოვუწოდოთ, არ ჩაიდინო ეს ქმედებაო, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჩვენ თვითმკვლელობისაკენ მოვუწოდებთ. ბრალის გამორიცხვის საკითხი დგება მაშინ, როდესაც დაზიანებული და გადარჩენილი სიკეთეები თანაბარია, ან როცა დაზიანებული სიკეთე გადარჩენილ სამართლებრივ სიკეთეს აღემატება.[1] *გამყრელიძის* შეხედულების მიხედვით, ბრალის გამორიცხვისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ის ადამიანი, ვის ხარჯზეც პირმა სიცოცხლე გადაირჩინა, საფრთხეში იყო თუ არა. მისი აზრით, პეტრე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ბრალის არარსებობის გამო გათავისუფლდებოდა.

[1] *ფუტკარაძე*, ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, *გამყრელიძე* (რედ.), გვ. 228.

საბჭოთა პერიოდის ქართული სისხლის სამართლის თეორიაშიც გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე ამორალური და უზნეო ქმედებაა და ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას და პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს.[1] *სურგულაძის* აზრით, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისაკენ მისწრაფება ადამიანის ქმედების უაღრესად ქმედითი სტიმულია, მაგრამ იგი ყოვლისმომცველ სტიმულად ვერ იქნება აღიარებული, ამიტომაც საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს.[2] პეტრეს ქმედებას *სურგულაძე* არ ჩათვლიდა ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში ჩადენილად.

თოდუა მიუთითებს, რომ ტრაგიკულ კოლიზიას ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც „პირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის სამართლებრივი სიკეთის ნაწილის საფრთხისაგან გადასარჩენად მაშინ, როდესაც ეს სიკეთე მთლიანობაში დასაღუპად იყო განწირული.“[3] ტრაგიკული კოლიზიის არსებობისათვის იგი სრულიად სწორად საფრთხის რეალურობას, იმწუთიერობას და სამართლებრივი სიკეთის სხვაგვარად გადარჩენის შეუძლებლობას მიიჩნევს.[4] სამართლებრივი სიკეთე – პეტრეს სიცოცხლე იმწუთიერ და რეალურ საფრთხეში იყო და მისი გადარჩენა სხვა გზით, გარდა პავლეს ფიცრიდან გადაგდებისა, შეუძლებელი იყო. *თოდუას* აზრით, მოცემულ შემთხვევაში ბრალი მაინც არ გამოირიცხება, რადგან ხელყოფილია სამართლებრივი სიკეთე, პავლეს სიცოცხლე, რომელიც საფრთხეში უკვე აღარ იყო.“[5]

[1] *ფურცხვანიძე*, ზოგადი ნაწილი, გვ. 166; *შავგულიძე/სურგულაძე*, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გვ. 221.

[2] *შავგულიძე/სურგულაძე*, იქვე, გვ. 221.

[3] *თოდუა*, იქვე, გვ. 318.

[4] *თოდუა*, იქვე, გვ. 318.

[5] *თოდუა*, იქვე, გვ. 319.

ტურავაც თავის სახელმძღვანელოს მე-7 გამოცემაში ამავე აზრს ავითარებს და ამტკიცებს, რომ ტრაგიკული კოლიზია მაშინ არსებობს, როდესაც პირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის სამართლებრივი სიკეთის ნაწილის საფრთხისაგან გადასარჩენად მაშინ, როდესაც ეს სიკეთე მთლიანობაში დასაღუპად იყო განწირული.[1] ამასთანავე იგი თვლის, რომ ტრაგიკული კოლიზია შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი ხელყოფს იმ სამართლებრივი სიკეთეს, რომელიც სრულიადაც არ იყო საფრთხეში. ამის სადემონსტრაციოდ მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ავტობუსის მძღოლი იმისათვის, რომ მან თავი გადაირჩინოს და უფსკრულში არ ჩავარდეს, ავტობუსს დააჯახებს მსუბუქ ავტომანქანას და მოკლავს შიგ მჯდომ ადამიანს (*რომელსაც საფრთხე არ ემუქრებოდა*).[2] „არა მრავალი ადამიანისათვის სიცოცხლის გადარჩენის, არამედ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის არგუმენტით შეუძლია სასამართლომ ასეთ ვითარებაში პირის ქმედება ჩათვალოს არაბრალეულად (საპატიო უკიდურესი აუცილებლობა ვიწრო გაგებით).[3]

პასუხი: პეტრე მოქმედებდა ბრალეულად. იგი დაისჯება სსკ 108-ე მუხლით განზრახი მკვლელობისათვის. ექსტრემალური სიტუაცია – უცილობელი სიკვდილის საფრთხე და ამასთან დაკავშირებული მძლავრი თვითგადარჩენის ინსტიქტი მის ბრალს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს.

ძველი 1960 წლის კოდექსით ეს ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირებულიყო, როგორც შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი – ქმედება, ჩადენილი შემთხვევით გარემოებათა გამო.[4]

[1] ტურავა, ზოგადი ნაწილი, გვ. 265.

[2] ტურავა, იქვე, გვ. 271.

[3] ტურავა, იქვე, გვ. 271.

[4] 1884 წელს ინგლისის ერთმა სასამართლომ უარი თქვა ელიარებინა სამართლისაგან თავისუფალი სივრცის არსებობა და მკვლელობისა და კანიბალობის გამო

კაზუსი 20. საკუთარი (ან ახლობლის) სიცოცხლის გადარჩენა იმ პირის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა

ჩაძირული გემდან გადარჩენილი პეტრე და პავლე წყალში ცურავენ და მათ დახრჩობის საფრთხე ელოდებათ. ისინი ფიცარს იპოვიან და ზედ გაწვებიან. რადგან ამ ერთ ფიცარზე მხოლოდ ერთი კაცის ადგილია, პეტრე პავლეს ფიცრიდან დაბლა ჩააგდებს და თავს ასე გადაირჩენს. პავლე დაიხრჩობა. დაისჯება თუ არა პეტრე მკვლელობისათვის?

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

შედეგი დადგა, რადგან პავლე დაიხრჩო. პეტრეს ქმედებასა და პავლეს დახრჩობას შორის მიზეზობრივი კავშირი გვაქვს, რადგან პატრეს პავლე წყალში რომ არ გადაეგდო, იგი არ დაიხრჩობოდა. პეტრეს პავლეს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება, რადგან პავლეს სიკვდილში ზუსტად ის საფრთხე – წყალში დახრჩობა – განხორციელდა, რომელიც პეტრემ საკუთარი ქმედებით – მისი წყალში გადაგდებით დააფუძნა.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრე მოქმედებდა განზრახ, რადგან მან იცოდა, რომ წყალში ჩავარდნილი პავლე უცილობლად დაიხრჩობოდა. (მეორე ხარისხის – პირდაპირი განზრახვა შედეგის დადგომის გარდუვალობა სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ალტერნატივა).

სიკვდილი მიუსაჯა მეზღვაურებს, რომლებმაც შიმშილით სიკვდილს თავი იმითი დააღწიეს, რომ თავიანთი შიმშილისაგან გონწასული ახალგაზრდა მეგობარი დაკლეს და მისი ხორცით იკვებებოდნენ. ინგლისის სამეფო კარმა შეიწყალა დამნაშავენი და მათ სიკვდილით დასჯა ექვსი თვით პატიმრობით შეუცვალა. დიამეტრალურად განსხვავებული განაჩენი გამოიტანა ამერიკის ერთმა სასამართლომ 1842 წელს: თანამგზავრის დაკვლა მაშველ ნავზე მან დანაშაულად არ ჩათვალა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლის არჩევა წილის ყრით, ე.ი. „სამართლიანი პროცედურის საშუალებით ხდება."

II მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

1. პეტრე აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში არ მოქმედებდა (სსკ 28-ე მუხლი) რადგან პავლეს მასზე თავდასხმა არ განუხორციელებია.

2. პეტრე ვერც უკიდურესი აუცილებლობით გაიმართლებს თავს, რადგან დაზიანებული და გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთეები ტოლფასია.

III ბრალი

შესაძლებელია, რომ პეტრე ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა.

გამყრელიძე ბრალის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობას ფართოდ განმარტავს. იგი ბრალს გამორიცხავს უკვე მაშინ, როდესაც პირს, რომლის გაწირვაც მოხდა არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. იგი ამგვარ შემთხვევას – საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას იმ პირის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა, ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში ჩადენილად ჩათვლის ექსტრემალურ სიტუაციაში პირზე სასჯელის მუქარის ზემოქმედების არარსებობის გამო.[1]

სურგულაძის აზრით, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისაკენ მისწრაფება ადამიანის ქმედების უაღრესად ქმედითი სტიმულია, მაგრამ იგი ყოვლისმომცველ სტიმულად ვერ იქნება აღიარებული,[2] ამიტომაც საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს. პეტრე, *სურგულაძის* მიხედვით, განზრახი დანაშაულისათვის უნდა დაისაჯოს.

[1] *გამყრელიძე*, განმარტება, გვ. 258.

[2] *შავგულიძე/სურგულაძე*, იქვე, გვ. 221.

თოდუაც გამორიცხავს ბრალის გამომრიცხველი ტრაგიკული კოლიზიის არსებობას არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელყოფილია ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც საფრთხეში არ იყო, არამედ მაშინაც, როდესაც შექმნილი საფრთხიდან თავის დაღწევის თანაბარი შესაძლებლობა აქვს საფრთხეში აღმოჩენილ პირთაგან თითოეულს. მისი აზრით, „ტრაგიკული კოლიზია არ შეიძლება ემყარებოდეს პრინციპს: ვინც მოასწრებს, ის მოიგებს; ანდა – შეუბრალებელი მოიგებს. . . საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა თუნდაც მაშინ, როდესაც ორივეს სიკვდილი ემუქრება, უზნეობაა და იგი არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება, თუმცა შეიძლება შეფასდეს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება."[1] სასამართლო პრაქტიკაც ამგვარ შეხედულებას იზიარებს. პეტრე, ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ბრალეულად მოქმედებდა.

პასუხი: პეტრემ ჩაიდინა სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობა. ექსტრემალური სიტუაცია ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვლება

კაზუსი 21. საკუთარი (ან ახლობლის) სიცოცხლის გადარჩენა იმ პირის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა

ერთი ექსპედიციის წევრებმა – პეტრემ და პავლემ მთა დალაშქრეს. მთიდან დაშვებისას პავლეს მიერ ჩარჭობილი პალო მოწყდა და პავლე თოკზე ჩამოეკიდა. მისი სიმძიმე პეტრეს უფსკრულისაკენ ეწეოდა და მის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა. პეტრემ გამოიყენა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გზა და თოკი გაჭრა. პავლე უფსკრულში ჩავარდა და დაიღუპა. როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს ქმედება?

[1] *თოდუა*, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 319.

ამოხსნა:

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

ქმედების ობიექტური მხარე

შედეგი დადგა, რადგან პავლე უფსკრულში ჩავარდა და დაიღუპა. პეტრეს ქმედებასა და პავლეს ტრაგიკულად დაღუპვას შორის მიზეზობრივი კავშირი გვაქვს, რადგან პატრეს თოკი რომ არ გადაეჭრა, პავლე არ დაიღუპებოდა.. პეტრეს პავლეს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება, რადგან პავლეს სიკვდილში ზუსტად ის საფრთხე -- უფსკრულში ჩავარდნით სიკვდილი განხორციელდა, რომელიც პეტრემ საკუთარი ქმედებით -- თოკის გადაჭრით დააფუძნა.

ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრე მოქმედებდა განზრახ, რადგან მან იცოდა, რომ თოკის გადაჭრით პავლე უფსკრულში ჩავარდებოდა და უცილობლად დაიღუპებოდა. (მეორე ხარისხის – პირდაპირი განზრახვა შედეგის დადგომის გარდუვალობა სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ალტერნატივა).

II მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

პეტრე არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში (სსკ 28-ე მუხლი) რადგან პავლეს მასზე თავდასხმა არ განუხორციელებია.

პეტრე ვერც უკიდურესი აუცილებლობით გაიმართლებს თავს, რადგან დაზიანებული და გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთეები ტოლფასია.

III. ბრალი

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა პეტრე ბრალეულად.

გამყრელიძე[1] და *ტურავა*[2] პეტრეს ქმედებას საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად ჩათვლიდნენ, რადგან ისინი ბრალს მაშინაც კი გამორიცხავენ, როდესაც პირს, რომელიც გაიწირება, საფრთხე საერთოდ არ ელოდებოდა.

როდესაც შეუძლებელია სხვისი სიცოცხლის გადარჩენა თუნდაც საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ხარჯზე და პირი სამართლებრივი სიკეთის ნაწილს (საკუთარ სიცოცხლეს) გადაარჩენს იმ სიცოცხლის ფასად, რომელიც, მას რომ არ ემოქმედა, მაინც დაიღუპებოდა, ბრალი უნდა გამორიცხოს.[3] ტრაგიკული კოლიზიის ამგვარ გაგებას სრულიად სამართლიანად იზიარებენ *თოდუა*[4], *სურგულაძე*[5] და ქართული სისხლის სამართლის პრაქტიკა.

პასუხი: პეტრე არ მოქმედებდა ბრალეულად. იგი არ დასჯება განზრახი მკვლელობისათვის (სსკ 108-ე მუხლი).

კაზუსი 22. საკუთარი (ან ახლობლის) სიცოცხლის გადარჩენა სხვა ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე, რომელსაც საფრთხე არ ემუქრებოდა

ხალხით სავსე ავტობუსს დაღმართში მუხრუჭები გაუფუჭდა. ხრამში ჩავარდნისა და უცილობელი დაღუპვისაგან საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ავტობუსის მძღოლმა ავტობუსი ხრამის პირას მდგარ მსუბუქ მანქანას დააჯახა და შიგ მჯდომი მძღოლი მოკლა. დაისჯება თუ არა იგი განზრახ მკვლელობისათვის (სსკ 108-ე მუხლი)[6]?

---

[1] *გამყრელიძე*, განმარტება, გვ. 260.

[2] *ტურავა*, იქვე, გვ. 271.

[3] საბჭოთა პერიოდის რუსი მეცნიერი *შარგოროდსკის* არგუმენტაცია. იგი ამგვარ შემთხვევებში პირის დაუსჯელობას უჭერდა მხარს. *შავგულიძე/სურგულაძე*, იქვე, გვ. 223.

[4] *გამყრელიძე*, განმარტება, გვ. 260.

[5] *ტურავა*, იქვე, გვ. 271.

[6] *კაზუსი ტურავას* მიხედვით იხ. *ტურავა*, სისხლის სამართალი, გვ. 270.

ამოხსნა:

I. ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური მხარე შესრულებულია, რადგან შედეგი – სხვა პირის სიცოცხლის მოსპობა მიზეზობრივ კავშირშია ავტობუსის მძღოლის ქმედებასთან. მას შედეგი ობიექტურად შეერაცხება, რადგან ავტობუსის დაჯახებით შექმნილი საფრთხე დამდგარ შედეგში – მსუბუქი ავტომანქანის მძღოლის სიკვდილში განხორციელდა.

2. ქმედების სუბიექტური მხარე შესრულებულია, რადგან ავტობუსის მძღოლმა იცოდა, რომ შედეგი – მსუბუქი ავტომანქანის მძღოლის სიკვდილი ამ დაჯახების შედეგად გარდუვალი იყო (სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე ალტერნატივა – II ხარისხის პირდაპირი განზრახვა).

II. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება არ გვაქვს. ავტობუსის მძღოლის ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

III. შესაძლებელია გამოირიცხოს ბრალი სსკ 38-ე მუხლის საფუძველზე. *ტურავას* აზრით, საკუთარი (ან ახლობლის) სიცოცხლის გადარჩენა სხვა ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე შეიძლება ბრალის გამომრიცხველ გარემოებად ჩაითვალოს.[1] *გამყრელიძეც* ამგვარ შემთხვევაში ბრალის გამორიცხვამდე მივიდოდა, რადგან მისი ალტერნატიული კოდექსის 36-ე მუხლი საკუთარი ან ახლობლის სიცოცხლის, სხეულებრივი მთლიანობის ან თავისუფლების გადასარჩენად სხვის დაზიანებას, თუკი ამ საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებით არ იყო შესაძლებელი, არაბრალეულად თვლის. *გამყრელიძე* ქმედების გასაიცხაობას გამორიცხავს და ამასთან ექსტრემალურ სიტუაციაში

[1] *ტურავა*, სისხლის სამართალი, გვ. 271.

სასჯელის მუქარის ზემოქმედების არარსებობაზე მიუთითებს.[1]

წერეთელი ამგვარ შემთხვევას ბრალეულად ჩათვლიდა, რადგან მისი აზრით, ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა სხვა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით დანაშაულია და ამგვარ შემთხვევაში მხოლოდ ბრალი შემსუბუქდება.[2] *თოდუა* და სამოსამართლო სამართალიც ამ შემთხვევაში არა ბრალის გამომრიცხველ, არამედ ბრალის მხოლოდ შემამსუბუქებელ გარემოების არსებობას დაასაბუთებდნენ საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სოციალურ-ეთიკური ზღვრის არგუმენტით და ბრალის მხოლოდ შემსუბუქებას მოითხოვდნენ.

ავტობუსის მძღოლი დაისჯება განზრახ მკვლელობისათვის (სსკ 108-ე მუხლი). ექსტრემალური სიტუაცია, რის გამოც დანაშაული იქნა ჩადენილი, მის ბრალს შემსუბუქებს და ეს სასჯელის ზომაზე აისახება.

კაზუსი 23. მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა ერთი ან რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე, რომელთაც საფრთხე არ ემუქრებოდათ.

ხალხით სავსე ავტობუსს დაღმართში მუხრუჭები გაუფუჭდა. ხრამში ჩავარდნისა და ავტობუსში მსხდომ მრავალი ადამიანის უცილობელი დაღუპვისაგან გადარჩენის მიზნით ავტობუსის მძღოლი ავტობუსს ხრამის პირას მდგარ მსუბუქ მანქანას დაჯახებს და შიგ მჯდომ მძღოლს მოკლავს. ამითი იგი ავტობუსის მრავალ მგზავრს გადაარჩენს. დაისჯება თუ არა იგი მსუბუქი ავტომანქანის მძღოლის განზრახ მკვლელობისათვის (სსკ 108-ე მუხლი)?

[1] *გამყრელიძე*, განმარტება, გვ. 259.

[2] *წერეთელი*, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში, გვ. 112.

ამოხსნა:

I. ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა (ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარე) იგივეა, როგორც წინა კაზუსში.

II. მართლწინააღმდეგობა

მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას ერთი (მცირე რაოდენობის) ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე *წერეთელი* მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ შემთხვევათა რიცხვს აკუთვნებდა და ამგვარ შემთხვევებში უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის არსებობას ასაბუთებდა.[1] ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ უკიდურესი აუცილებლობის სამართლებრივი ინსტიტუტი სამართლებრივ სიკეთეთა ტოლფასოვნებისას არ გამოიყენება.

III. ბრალი

საკითხავია, ჩაითვლება თუ არა ქმედება ბრალის გამომრიცხველ გარემოებაში, საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სისხლის სამართალში ერთი მოსაზრებაა გაბატონებული. ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასად მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას *სურგულაძე* საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილად არ თვლის, რადგან რაოდენობრივი პრინციპით ხელმძღვანელობა ადამიანის სიცოცხლეზე საუბრისას დაუშვებელია. სიცოცხლეთა კოლიზიისას შეუძლებელია რაიმე მყარი კრიტერიუმის გამოძებნა, განსაზღვრა იმისა, თუ ვისი სიცოცხლე უფრო ღირებულია შეუძლებელია.[2] რადგან *თოდუა* ერთი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას მეორის ხარჯზე ბრალის გამომრიცხველ გარემოებად არ მიიჩნევს, იგი

[1] იქვე, გვ. 112.

[2] *მამულიძე/სურგულაძე*, იქვე, გვ. 222.

კვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობის ამგვარ შემთხვევაში ბრალს არ გამორიცხავდა.[1] *ტურავას* აზრით, კვანტიტატიური უკიდურესი აუცილებლობა, ანუ მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა მცირე რაოდენობის ადამიანთა სიცოცხლის ხარჯზე, რომელთაც საფრთხე არ ემუქრებოდათ, არაა ბრალის გამომრიცხველი გარემოება. მძღოლმა განზრახი მკვლელობისათვის უნდა აგოს პასუხი.[2] ამავე აზრს განავითარებდა *გამყრელიძეც*, რადგან იგი მხოლოდდამხოლოდ საკუთარი ან ახლობლის სიცოცხლის გადარჩენას თვლის საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობად, ზემოთმოყვანილ შემთხვევაში კი ავტობუსის მგზავრებში ავტობუსის მძღოლის ახლობელი არ ერია.

ავტობუსის მძღოლი დაისჯება განზრახ მკვლელობისათვის (სსკ 108-ე მუხლი). მისი მიზანი – მართლსაწინააღმდეგო ქმედების საშუალებით მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა, მის ბრალს შემსუბუქებს და ეს სასჯელის ზომაზე აისახება.

კაზუსი 24. მრავალი უცხო ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა დასაღუპად განწირული მცირე რაოდენობის ადამიანთა სიცოცხლის ხარჯზე.

კამიკაძე – ტერორისტები ხალხით სავსე თვითმფრინავს გაიტაცებენ და მას მრავალსართულიანი შენობის მიმართულებით გაუყენებენ გზას. მათ სურთ თვითმფრინავის და შენობის შეჯახება და როგორც თვითმფრინავში მჯდომი ორასი ადამიანის, ასევე შენობაში მყოფი მრავალი ათასი ადამიანის სიკვდილი. ოფიცერი გასცემს ამ თვითმფრინავის ჩამოგდების ბრძანებას. ჯარისკაცი თვითმფრინავს ჩამოაგდებს. დაისჯება თუ არა ჯარისკაცი თვითმფრინავში მსხდომ მგზავრთა სიცოცხლის მოსპობისათვის?

[1] *თოდუა*, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. გვ. 319.

[2] *ტურავა*, სისხლის სამართალი, გვ. 271.

ამოხსნა:

I. ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური მხარე შესრულებულია, რადგან შედეგი – სხვა პირთა სიცოცხლის მოსპობა მიზეზობრივ კავშირშია ავტობუსის მძღოლის ქმედებასთან. მას შედეგი ობიექტურად შეერაცხება, რადგან ჯარისკაცის მიერ თვითმფრინავის ჩამოგდებით შექმნილი საფრთხე დამდგარ შედეგში – თვითმფრინავში მსხდომ მგზავრთა სიკვდილში განხორციელდა.

2. ქმედების სუბიექტური მხარე შესრულებულია, რადგან ჯარისკაცმა იცოდა, რომ შედეგი – თვითმფრინავში მსხდომთა სკვდილი გარდუვალი იყო (სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე ალტერნატივა – II ხარისხის პირდაპირი განზრახვა).

II. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება არ გვაქვს. თვითმფრინავში მხოლოდ კამიკაძე-ტერორისტები რომ მსხდარიყვნენ, ჯარისკაცის მხრიდან აუცილებელ დახმარებას ექნებოდა ადგილი. რადგან თვითმფრინავის მგზავრები სამართლებრივ სიკეთეს არ ხელყოფდნენ, მათ მიმართ აუცილებელი მოგერიების განხორციელება სსკ 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არ დაიშვება. ჯარისკაცის ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

III. შესაძლებელია გამოირიცხოს ბრალი სსკ 38-ე მუხლის თანახმად (ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება). იმ დასაბუთებით, რომ თვითმფრინავში მსხდომნი მაინც განწირული იყვნენ დასაღუპად და ჯარისკაცმა თვითმფრინავის ჩამოგდებით საზოგადოება დიდ უბედურებას გადაარჩინა და მხოლოდ „პატარა უბედურებას“ დასჯერდა.[1]

[1] საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სამშობლოში – გერმანიაში ამ საკითხთან დაკავშირებით არაა ერთიანი აზრი. II სექტემბრის ტრაგიკული მოვლენის შემდეგ გერმანიის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, *შტრუკის* ინიციატივით შეიქმნა საჰაერო უშიშროების კანონის პროექტი, რომელიც კამიკაძე-ტერორისტების მიერ გატაცებულ სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებას არეგულირებდა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარი კანონი ანტიკონსტიტუციურად ცნო, რადგან თვითმფრინავის მგზავრთა და დამიზნებულ ობიექტში მყოფ ადამიანთა სიცოცხლე თანაბარი ღირებულებისაა და გატაცებული თვითმფრინავის იარაღად აღიარება შიგ მყოფთ მოქალაქეთა ღირსებას შეურაცხყოფს. გერმანიაში ტერორისტების მიერ გატაცებული სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდების საკანონმდებლო საფუძველი, აქედან გამომდინარე, არ არსებობს. მიუხედავად ამისა, *შტრუკმა* განაცხადა, რომ ამგვარ შემთხვევაში იგი თვითმფრინავის ჩამოგდების ბრძანებას გასცემდა და თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ თავის პოსტს დატოვებდა. შტრუკის შემდეგ ამ პოსტზე იყო *იუნგი*, რომელიც ამ საკითხში *შტრუკის* აზრს იზიარებდა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ზურგგამაგრებული გერმანიის საჰაერო თავდაცვის პილოტები კი აცხადებდნენ, რომ ისინი მინისტრის ბრძანებას არ შეასრულებდნენ და გატაცებულ სამოქალაქო თვითმფრინავს არ ჩამოაგდებდნენ. თვითმფრინავის ჩამოგდების მოწინააღმდეგეებს მყარი არგუმენტი მიაწოდა შემდეგმა შემთხვევამ: ჰანოიდან ფრანკფურტისაკენ მიმავალმა ვიეტნამის სამოქალაქო თვითმფრინავმა 2006 წელს დატოვა თავისი გზა და მის პილოტებს ნახევარი საათის განმავლობაში არ ჰქონდათ კონტაქტი მიწასთან (ეხინათ). თვითმფრინავი 200 მოქალაქით ბეწვზე გადარჩა ჩამოგდებას.

ჯარისკაცი თვითმფრინავში მსხდომ მგზავრთა სიცოცხლის მოსპობისათვის არ დაისჯება სსკ 38-ე მუხლის თანახმად, ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოების არსებობის გამო.

კაზუსები შერეული უმოქმედობით ჩადენილი განზრახ დამთავრებულ დანაშაულზე (სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი)

კაზუსი 25. თანამონაწილეობა უმოქმედობაში

პეტრე პარკში სკამზე ზის, თავის მეგობარ პავლეს ესაუბრება და უყურებს, როგორ თამაშობს მისი 10 წლის შვილი სხვა ბავშვებთან. უცებ ბავშვები პეტრეს შვილს ცემას დაუწყებენ. პეტრე შვილის მიშველებას დააპირებს. პავლე მას ურჩევს, რომ ცოტა ხანს მოიცადოს. მისი აზრით, პეტრეს უზრდელ შვილს მიბერტყვა ნამდვილად მოუხდება. ბავშვები პეტრეს შვილს ისე

სცემენ, რომ მას საავადმყოფოში დასჭირდება წაყვანა და იგი ორი კვირა ლოგინს მიეჯაჭვება. როგორ დაკვალიფიცირდება პეტრესა და პავლეს ქმედება?

ამოხსნა:

პეტრეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

შესავალი – მოქმედებისა და უმოქმედობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მოქმედებისა და უმოქმედობის ურთიერთგამიჯვნის კრიტერიუმის – სხეულებრივი ენერგიის დაძაბვის (დაუძაბველობის) არგუმენტით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ რადგან პეტრეს არავითარი სხეულებრივი მოძრაობა არ განუხორციელებია, მან მხოლოდდამხოლოდ უმოქმედობისათვის უნდა აგოს პასუხი. სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით უმოქმედობის მიზეზობრიობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც პირი მოვლენათა მსვლელობაში არ ერევა და დანაშაულებრივ შედეგს არ იცილებს თავიდან, თუმცა იგი ვალდებული იყო, ეს შედეგი თავიდან აეცილებინა და მას შედეგის თავიდან აცილება შეეძლო კიდეც.

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 120-ე მუხლი. დანაშაულის შემადგენლობა

1. ობიექტური მხარე – უმოქმედობის მიზეზობრიობა სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

ა) მართლსაწინააღმდეგო შედეგი დადგა, რადგან პეტრეს შვილს სხეული დაუზიანდა.

ბ) პეტრეს შეეძლო ჩარეულიყო მოვლენათა მსვლელობაში და ბავშვები გაეჩერებინა.რადგან იგი შემთხვევის ადგილზე იყო, მას ჰქონდა ბავშვების გაშველების რეალური, ობიექტური შესაძლებლობა. კაზუსიდან არ ჩანს, რომ

პეტრე ავადმყოფი იყო, ან სხვა რაიმე სხეულებრივი ნაკლი ჰქონდა. ამიტომაც მას შედეგის თავიდან აცილება სუბიექტურად შეეძლო.

დ) პეტრეს, როგორც მამას გარანტის ფუნქცია ეკისრებოდა

2. შესაძლებელია, რომ პეტრეს, როდესაც იგი არ მოქმედებდა, შვილის „კაცად ქცევის“ ანდა მისი ჭკუის სწავლების სურვილი ამოძრავებდა, მაგრამ არა ბავშვის სხეულის დაზიანების სურვილი ჰქონდა. სუბიექტური მხარე (განზრახვა) ბავშვის სხეულის დაზიანების მიმართ ვერ დასაბუთდება მხოლოდ იმითი, რომ პეტრე შვილს არ ეშველებოდა.

პეტრე პასუხს არ აგებს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისათვის უმოქმედობით სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 120-ე მუხლებით.

შესაძლებელი იქნებოდა პეტრეს დასჯა გაუფრთხილებელი უმოქმედობით ჩადენილი ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისათვის, რომ არსებობდეს შესაბამისი ნორმა სისხლის სამართლის კოდექსში.

პავლეს დასჯადობა დამოკიდებულია პეტრეს დასჯადობაზე (აქცესორობის თეორია). პავლეს დასჯას აფერხებს შეძლები ორი გარემოება: 1. რადგან არ არსებობს შესაბამისი ნორმა, რომლის მიხედვითაც დაისჯებოდა ამსრულებელი, პასუხს არ აგებს არც წამქეზებელი. 2. შესაბამისი ნორმა რომც არსებობდეს, პავლეს ვერ დავსჯიდით, რადგან გაუფრთხილებელი დანაშაულის წაქეზებას სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ ითვალისწინებს. (წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად). რადგან გარანტს, პეტრეს, განზრახი დანაშაული არ ჩაუდენია, პავლეს წაქეზებისათვის ვერ დავსჯით. პეტრეს ვერც

გაუფრთხილებელი უმოქმედობით ჩადენილი ცემისათვის (სსკ 125-ე მუხლი) დავსჯით, რადგან გაუფრთხილებლობით ცემის შემადგენლობის განხორციელება შეუძლებელია.[1]

პრობლემები – როგორ დაკვალიფიცირდება გარანტის ქმედება, რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ დანაშაულის აღსრულებას ხელს განზრახ არ უშლის და შესაძლებელია თუ არა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობა იმ პირის მიერ, რომელსაც გარანტის ფუნქცია არ ეკისრება, ამ კაზუსში ვერ ჩაღრმავდება, რადგან არა გვაქვს თავად დანაშაული.

კაზუსი 26. თანამონაწილეობა უმოქმედობით

პეტრე მშვიდად უყურებს, თუ როგორ ჩაიდო მისმა მცირეწლოვანმა შვილმა პავლემ წვეულების დროს მასპინძლის უძვირფასესი ბეჭედი ჯიბეში. მას არ „გახსენებია“ ამ ბეჭდის შვილის ჯიბიდან ამოღება და უკან დაბრუნება მაშინაც, როდესაც მან შვილთან ერთად წვეულება დატოვა. გზად მან შვილს ლამაზი „სათამაშო“ გამოართვა და სანაცვლოდ სათამაშო მანქანა უყიდა, რითაც ბავშვი აღტაცებული დარჩა. აგებს თუ არა პეტრე პასუხს სისხლის სამართლებრივად?

ამოხსნა:

პეტრეს თავად არავითარი ქმედება არ ჩაუდენია, ამიტომაც იგი შეიძლება უმოქმედობისათვის დაისაჯოს, თუ სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებული პირობები არსებობს. საკითხავია, დაისჯება თუ არა იგი უმოქმედობით ჩადენილი ქურდობისათვის? პეტრეს ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება უმოქმედობით განხორციელებულ დახმარებად (სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი), რადგან ამსრულებელი – მისი მცირეწლოვანი შვილი სისხლის სამართლებრივად პასუხს არ აგებს და აქედან გამომდინარე, არ გვაქვს სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილით აუცილებელი დანაშაული, რომლის დახმარებაც უნდა განახორციელოს პეტრემ. შესაძლებელია მხოლოდ მისი დასჯა როგორც ამსრულებლისა უმოქმედობით ჩადენილი ქურდობისათვის სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით.

[1] თოდუა, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გვ. 115.

I. დანაშაულის შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) მართლსაწინააღმდეგო შედეგი დადგა, რადგან სხვისი მოძრავ ნივთს პეტრეს შვილი ფარულად დაეუფლა. საკითხი იმის შესახებ, პატარა ზომის მოძრავი ნივთის ჯიბეში ჩადება უკვე დამთავრებული ქურდობაა თუ ქურდობის მატერიალურად დამთავრებისათვის პირმა ქონების მესაკუთრის განმგებლობის სფერო უნდა დატოვოს, რათა მას ამ ქონების განკარგვის საშუალება მიეცეს, არაა ამ კაზუსისათვის მნიშვნელოვანი, რადგან პეტრეს შვილმა მამასთან ერთად წვეულება დატოვა და ამითი პეტრეს ბავშვისათვის ნივთის გამორთმევის საშუალება მიეცა.

ბ) პეტრემ ბავშვს ძვირფასი ნივთი არ გამოართვა, იგი პატრონს არ დაუბრუნდა და მან ამითი მართლსაწინააღმდეგო შედეგი – მესაკუთრის ქონებისათვის ზიანი თავიდან არ აიცილა.

გ) პეტრეს ჰქონდა ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილების როგორც ობიექტური (იგი ადგილზე იყო და უმართლობის განხორციელებას თვალს ადევნებდა), ასევე სუბიექტური საშუალება.

დ) ამასთან იგი იყო მცირეწლოვანი შვილის მიმართ ზედამხედველი გარანტი და მას საკუთარი შვილის მიერ

დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილების ვალდებულება ეკისრებოდა.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრე მოქმედებდა განზრახ, რადგან მან იცოდა, რომ მისი შვილი ქურდობის უმართლობას ახორციელებდა და მას სურდა კიდეც ეს, რადგან იგი არ ერეოდა მოვლენათა მსვლელობაში.

II. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება არაა კაზუსში მოცემული.

III. პეტრე მოქმედებდა ბრალეულად, რადგან იგი შერაცხადი პირი იყო, მას მისი შვილის მიერ განხორციელებული ქმედების მართლწინააღმდეგობა შეცნობილი ჰქონდა და კაზუსში ბრალის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება არაა ნახსენები.

პეტრემ განახორციელა ქურდობა დამამძიმებელ გარემოებაში უმოქმედობით სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი.

მცდელობა

კაზუსის ამოხსნის დროს, თუ აშკარაა, რომ დანაშაული არაა დამთავრებული, პირდაპირ მცდელობის განხილვას ვიწყებთ. პრობლემატურ შემთხვევებში კი განვიხილავთ ჯერ დამთავრებულ დანაშაულს. თუ დავადგენთ, რომ ქმედების ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანი არაა განხორციელებული, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაული არაა დამთავრებული. ამის შემდეგ ჩამოვაყალიბებთ ახალ ჰიპოთეზას (შესაძლებელია, რომ X-მა უმოქმედობით განახორციელა ამა და ამ დანაშაულის მცდელობა) და მცდელობის განხილვაზე გადავალთ.

მცდელობის განხილვას ვიწყებთ ქმედების სუბიექტური მხარით. იგი შესაბამისი ქმედების ობიექტური მხარის ყველა ნიშანს უნდა მოიცავდეს. ქმედების სუბიექტურ მხარეში იგულისხმება არა მხოლოდ განზრახვა, არამედ ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ნიშნებიც, მაგ. მითვისების მიზანი ქურდობის დროს. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის განზრახვა საბოლოო უნდა იყოს. მცდელობის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს, თუ რა სურდა სუბიექტს და რომ ამ სასურველი ქმედებით შესაბამისი დანაშაულის ობიექტური მხარე იქნებოდა შესრულებული.

კაზუსები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე

კაზუსი 27. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

პეტრეს პავლეს მოკვლა სურდა და მან იგი დანით მძიმედ დაჭრა. მას თავისი განზრახვის აღსრულება შეეძლო, მაგრამ მან ეს გადაიფიქრა და იგი საკუთარი მანქანით საავადმყოფოში გააქანა. საავადმყოფოში პავლეს ოპერაცია გაუკეთეს და გადაარჩინეს. როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს მოქმედება?

ამოხსნა:

პეტრემ პავლე არ მოკლა. სსკ 108-ე მუხლი გამოირიცხება.

მკვლელობის მცდელობა (სსკ მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი და 108-ე მუხლი)

შესაძლებელია, რომ პეტრემ პავლეს დანით დაჭრით სსკ მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი და 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, მკვლელობის მცდელობა განახორციელა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური მხარე

პეტრეს პავლეს მოკვლა სურდა. ქმედების სუბიექტური მხარე შესრულებულია.

2. ქმედების ობიექტური მხარე

პეტრემ დაიწყო განზრახვის განხორციელება და მძიმედ დაჭრა პავლე, მაგრამ მას განზრახვა ბოლომდე არ განუხორციელებია და მსხვერპლი არ მოუკლავს.

II. პეტრეს მოქმედება მართლსაწინააღმდეგო იყო.
III. იგი ბრალეულად მოქმედებდა.
IV. საკითხავია, გავრცელდება თუ არა პეტრეს მიმართ სსკ 21-ე მუხლი, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

სსკ 21-ე მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის მცდელობა ხელშეშლილი არ უნდა იყოს.

(1) სსკ 21-ე მუხლის მიხედვით დანაშაულზე ხელის აღება მხოლოდ მაშინ არ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, როდესაც იგი ნებაყოფლობითია. ნებაყოფლობითობის კრიტერიუმს კანონმდებელი არ იძლევა. სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმული შეხედულებების მიხედვით, მისი განმსაზღვრელია არა ობიექტური, არამედ სუბიექტური კრიტერიუმი. დანაშაულზე ხელის აღება მაშინაა *ნებაყოფლობითი*, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ მას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება შეუძლია. თუ სუბიექტის წარმოდგენაში არსებობს გარემოებანი, რომლებიც დანაშაულის ბოლომდე მიყვანას ხელს უშლიან, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება. პეტრეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა და მსხვერპლის მოკვლა

შეეძლო. მის ამ ქმედებას არავითარი დაბრკოლება არ ელობებოდა წინ. პეტრე ნებაყოფლობით მოქმედებდა.

(2) იმისათვის, რომ გამოირიცხოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, პირმა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებაზე საბოლოოდ (სრულიად) უნდა აიღოს ხელი. დანაშაულზე ხელის აღება არ იქნება საბოლოო მაშინ, როდესაც სუბიექტი მხოლოდ დროებით წყვეტს ქმედების განხორციელებას, რათა მან შემდგომში დასახულ მიზანს განახლებული ძალებით და უფრო ეფექტური საშუალებებით მიაღწიოს. პეტრემ არა მხოლოდ აიღო ხელი მკვლელობის განზრახვის აღსრულებაზე, არამედ მან პავლე საავადმყოფოში წაიყვანა, რათა ექიმებს იგი გადაერჩინათ.

(3) საკითხავია, დაკვალიფიცირდება თუ არა ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, თუ პირმა დანაშაულის განსახორციელებლად მიმართული პირველი ქმედების საშუალებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია და ხელი აიღო იმ სხვა შემდგომ ქმედებაზე, რომლითაც მას დანაშაულებრივი შემადგენლობის შესაბამისი შედეგის გამოწვევა შეეძლო.

ამგვარი ქმედების შეფასების ორგვარი გზა არსებობს:

ამგვარი მცდელობა არის დამთავრებული და ხელშეშლილი, რადგან პირმა პირველი მოქმედებითვე უკვე ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევისათვის. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება აქ შეუძლებელია, რადგან მსხვერპლი მხოლოდ შემთხვევითობამ გადაარჩინა. ამ შეხედულების მიხედვით პეტრე არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მკვლელობის მცდელობისათვის, რადგან მან პავლე დაჭრა და მისმა ამ ქმედებამ მხოლოდ შემთხვევით არ გამოიწვია მსხვერპლის სიკვდილი.

მეორე შეხედულების თანახმად, ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ხელშეშლილი მცდელობა მაშინ, როდესაც პირს დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად ჯერ ყველაფერი არ გაუკეთებია და ის ფაქტობრივად ჩადენილი პირველი ქმედება, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგი ვერ გამოიწვია, სხვა შესაძლო ქმედებებთან ერთად ერთიან ქმედებას წარმოადგენს. ფაქტიურად განხორციელებული ქმედება დანაშაულებრივი შედეგის გამომწვევ სხვა მოქმედებებთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული დროსა და სივრცეში. პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაუკისრებლობის საფუძველი ამ შემთხვევაში არის არა ის, რომ მან ეს დაიმსახურა, არამედ სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მსხვერპლის დაცვის საჭიროება. პეტრეს შეეძლო პავლესთვის პირველი მოქმედების განხორციელებისთანავე კიდევ მრავალი ჭრილობა მიეყენებინა, მაგრამ მან ეს არ გაკეთა. მის მიერ ჩადენილი მკვლელობის მცდელობა არაა ხელშეშლილი, ამიტომაც მის მიერ მკვლელობის განზრახვის აღსრულებაზე უარის თქმა დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა დაკვალიფიცირდეს.

პეტრეს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან მან დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი. სსკ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად პეტრეს დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ დანაშაულისათვის, რომელსაც მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება მოიცავს, ანუ სსკ 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის.

კაზუსი 28. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სერიოზული ცდა

ზიზის ქმარმა თავისი მდივანი შეიყვარა. ზიზიმ ეს გაიგო და ქმრის საყვარლის მოკვლა გადაწყვიტა. მან ეს გადაწყვეტილება თავის ქიმიკოს დას, ანის გაანდო და მას სამსახურიდან საწამლავის მოტანა სთხოვა. დამ გაბრაზებულ დას თხოვნა შეუსრულა. ზიზი თავის ქმარს ესტუმრა სამსახურში და საჩუქრად ყავა მიიტანა. მან მდივან ქალს განსაკუთრებული არომატის მქონე ბრაზილიური ყავა თავად მოუდუღა და შიგ საწამლავი ჩაუყარა. მდივანმა ქალმა ყავა დალია და მას საშინელი მუცლის ტკივილები დაეწყო. ზიზის შეეშინდა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. კაბინეტიდან გამოსული ზიზის ქმარი უცებ მიხვდა, თუ რაში იყო საქმე და მან მდივანი ქალი თავისი მანქანით საავადმყოფოში წაიყვანა. მდივან ქალს კუჭი ამოურეცხეს და გადაარჩინეს. იგი მეორე დღეს ჯანმრთელი გამოეწერა საავადმყოფოდან.

ზიზი გზაში დაუფიქრდა თავის ქმედებას, იგი დასჯის შიშმა შეიპყრო. მან სასწრაფოდ მიაკითხა ოჯახის ექიმს და იგი საკუთარი მანქანით გააქანა ქმრის სამსახურისაკენ, მაგრამ მათ სამდივნო ცარიელი დახვდათ. ამასობაში ანიც სინდისმა შეაწუხა და ისიც ტაქსით წავიდა თავისი დის მოსაძებნად და საწამლავის უკან გამოსართმევად. იგი დიდხანს სასოწარკვეთილი ეძებდა თავის დას, მაგრამ უშედეგოდ.

დაისჯებიან თუ არა ზიზი და მისი და — ანი?

ამოხსნა:

ზიზის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

1. მკვლელობის მცდელობა სსკ მე-19, 108-ე მუხლები

შედეგი — მსხვერპლის სიკვდილი არ დამდგარა. შესაძლებელია, რომ ზიზიმ ყავაში საწამლავის ჩაყრით განახორციელა სსკ 19-ე, 108-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება — მკვლელობის მცდელობა.

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური მხარე – ზიზის განზრახული ჰქონდა მდივანი ქალის მოკვლა.

2. ქმედების ობიექტური მხარე – მან საწამლავის ჩაყრით განახორციელა ქმედება, რომელსაც დანაშაულებრივი შედეგი უნდა გამოეწვია.

II მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები კაზუსში არაა მოცემული.

III ბრალი

ზიზი მოქმედებდა ბრალეულად, რადგან ბრალის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება კაზუსში არაა ნახსენები.

IV დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება

საკითხავია, ჩაითვლება თუ არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ის ფაქტი, რომ ზიზი მდივანი ქალის გადარჩენის მტკიცე განზრახვით მოქმედებდა. სსკ 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით პირს მაშინ არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი.

1. დანაშაულის დამთავრებაზე ხელის აღება მაშინაა ნებაყოფლობითი, როდესაც პირი საკუთარი ნებით, ყოველგვარი გარეგანი იძულების გარეშე აიცილებს თავიდან დანაშაულებრივ შედეგს.

ზიზი მოქმედებდა საკუთარი ნებიდან გამომდინარე, როდესაც იგი მდივანი ქალის გადასარჩენად უკან დაბრუნდა. ის ფაქტი,

რომ მას დანაშაულის გამჟღავნების კონკრეტული შიში ამოძრავებდა და არა სინანული, ქმედების ნებაყოფლობითობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს.[1]

2. საკითხავია, გათავისუფლდება თუ არა პირი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან, მართალია, სცადა მაგრამ ვერ შეძლო დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება, რადგან მის მიერ დაფუძნებული მიზეზობრივი კავშირი, რომელსაც დანაშაულებრივი შედეგი უნდა გამოეწვია, სხვა პირის ზემოქმედების შედეგად შეწყდა. დანაშაულებრივი შედეგი, მართალია, არ დადგა, მაგრამ არა მისი ზემოქმედების შედეგად.

პირის სერიოზული მცდელობა, თავიდან აიცილოს დანაშაულებრივი შედეგი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას უნდა გავუთანაბროთ, რადგან თუ იგი საკუთარი ნებიდან გამომდინარე ცდილობს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას, მისი დასჯა აღარაა საჭირო როგორც ზოგადი, ასევე კერძო პრევენციული თვალსაზრისით. კანონმდებელმა პირს ლეგალურ ცხოვრებაში უკანდასაბრუნებელი გზა არ უნდა მოუჭრას მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ მას სხვებმა დაასწრეს და დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება არ აცალეს. სსკ 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ფართოდ უნდა გავიგოთ და იგი ამგვარ ქმედებებზეც გავავრცელოთ.

პასუხი: ზიზი გათავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სსკ 21-ე მუხლის მე-5 ნაწლის საფუძველზე.

[1] *გამყრელიძე*, განმარტება, გვ. 170

2. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება

შესაძლებელია, რომ ზიზიმ ყავაში საწამლავის ჩაყრით, რამაც საშინელი მუცლის ტკივილები გამოიწვია, სსკ 120-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება ჩაიდინა.

ქმედების შემადგენლობა

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ობიექტური მხარე ითვალისწინებს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლას ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარ დაკარგვას.

ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლად ითვლება ისეთი ავადმყოფობა, რომლის განსაკურნებლადაც 6-დან 21 დღემდეა საჭირო. 6 დღეზე ნაკლები დროით აუცილებელი მკურნალობა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გამორიცხავს.[1]

მსხვერპლი მეორე დღესვე გაეწერა საავადმყოფოდან. რადგან მისი ჯანმრთელობის აღსადგენად მხოლოდ ერთი დღე იყო საჭირო, ჯანმრთელობა მას ხანმოკლედ არ შერყვნია.

საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარ დაკარგვად ითვლება შრომისუნარიანობის დაკარგვა 5-დან 10 % მდე. თუ შრომისუნარიანობა 5%-ზე ნაკლებადაა დაკარგული, ჯანმრთელობა არაა მსუბუქად დაზიანებული.[2]

მსხვერპლი მეორე დღეს ჯანმრთელი გამოეწერა საავადმყოფოდან. მას შრომისუნარიანობა არ შერყვნია.

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ობიექტური მხარე არაა განხორციელებული.

[1] თოდუა, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გვ. 95.

[2] თოდუა, იქვე, გვ. 95.

პასუხი: ზიზის არ განუხორციელებია სსკ 120-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

3. სსკ 249-ე მუხლი შხამის ბრუნვის წესის დარღვევა

შესაძლებელია, რომ ზიზიმ თავისი დისათვის შხამის გამორთმევით განახორციელა სსკ 249-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – შხამის ბრუნვის წესების დარღვევა.

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური მხარე სხვა ალტერნატიულ ქმედებებთან ერთად შხამის, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული განსაკუთრებული ნივთიერების შეძენას ითვალისწინებს.

შხამის შეძენა ნიშნავს შხამის სხვა პირისაგან უკანონოდ მოპოვებას ნებისმიერ ხერხით, როგორც სასყიდლით, ასევე უსასყიდლოდ (საჩუქრად მიღება).[1] ზიზიმ ანისაგან შხამის უსასყიდლოდ მიღებით შეიძინა საშიში ქიმიური ნივთიერება. რადგან შხამი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია, მისი შეძენა კერძო პირის მიერ უკანონოა.

2. ქმედების სუბიექტური მხარე

ა) ზიზიმ იცოდა, რომ იგი შხამს უკანონოდ იძენდა და მას სურდა კიდეც ეს. იგი მოქმედებდა განზრახ.

ბ) სსკ 249-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარის აუცილებელი ნიშანია გასაღების მიზანი. შხამის შეძენა მკვლელობის ჩადენის მიზნით არ შეიძლება ჩაითვალოს გასაღების მიზნად. ქმედების

[1] მამულაშვილი, იქვე, გვ. 603.

შემადგენლობა არაა შესრულებული გასაღების მიზნის არარსებობის გამო.

პასუხი: ზიზი პასუხს არ აგებს სსკ 249-ე მუხლით შხამის ბრუნვის წესის დარღვევისათვის (შხამის შეძენისათვის).

4. წაქეზება შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 250-ე მუხლი

შესაძლებელია, რომ ზიზიმ თავისი და ანისათვის შხამის თხოვნით ჩაიდინა სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 250-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – წაქეზება შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში.

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ჩადენილი ამსრულებლის მიერ – ანიმ შხამი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა (იხ ქვემოთ ანის დასჯადობა სსკ 250-ე მუხლით).

ბ) ზიზიმ იცოდა, რომ იგი თავის დას ამ შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის აქეზებდა.

2. ქმედების სუბიექტური მხარე – წამქეზებლის ორმაგი განზრახვა

ა) განზრახვა ამსრულებლის მიერ განზრახი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის შესახებ – ზიზიმ იცოდა, რომ მისი და განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას

ჩადიოდა შხამის ლაბორატორიიდან გამოტანით და მას სურდა კიდეც ეს.

ბ) განზრახვა – ზიზიმ იცოდა, რომ იგი შხამის ლაბორატორიიდან გამოტანის თხოვნით თავის დას დანაშაულის ჩასადენად იყოლიებდა და მას სურდა თავისი ქმედების შედეგის დადგომა – შხამის ლაბორატორიიდან გამოტანა მისი დის მიერ.

II ზიზის ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო
III ზიზის ქმედება იყო ბრალეული

ზიზიმ განახორციელა სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილში და 250-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედება – წაქეზება შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში.

ანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
1. დახმარება მკვლელობის მცდელობაში

შესაძლებელია, რომ ანიმ საწამლავის გადაცემით მკვლელობის მცდელობაში დახმარება ჩაიდინა (სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 108-ე მუხლი)

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

ა) დახმარების ობიექტური მხარე მოიცავს განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ჩადენილს ამსრულებლის მიერ.

ამსრულებელმა, ზიზიმ ჩაიდინა განზრახი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება – მკვლელობის მცდელობა.

ბ) სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილით დახმარება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში განიმარტება როგორც ამ ქმედებაში ხელის შეწყობა.

ანიმ ამსრულებელს დანაშაულის ჩასადენად საჭირო საწამლავი გადასცა, ამითი მან ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

2. ქმედების სუბიექტური მხარე
დამხმარის ორმაგი განზრახვა:

ა) ანიმ იცოდა, რომ ზიზის მკვლელობის ჩადენა ჰქონდა განზრახული.

ბ) ამასთანავე მას სურდა ხელი შეეწყო ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენაში.

II მართლწინააღმდეგობა
ანის მოქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

III ბრალი
იგი მოქმედებდა ბრალეულად.

IV დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

საკითხავია, დაკვალიფიცირდება თუ არა ანის მიერ განხორციელებული ქმედება – ამსრულებლის უშედეგო ძებნა საწამლავის გამოსარომევად – დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად. სსკ 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ითვლება ფიზიკური დამხმარის მიერ დანაშაულის განსახორციელებლად გაცემული იარაღის ან საშუალების უკან დაბრუნება დანაშაულის დამთავრებამდე. სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი არ დამდგარა და დამხმარეს, მართალია, წვლილი არ მიუძღვის დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში, მაგრამ იგი სერიოზულად ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ამ შედეგის დადგომა. დამხმარის მიერ დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების სერიოზული, მაგრამ უშედეგო ცდა, მის სოციალური საშიშროების არარსებობაზე მიუთითებს და მის მიმართ სასჯელის გამოყენების საჭიროებას გამორიცხავს. ამიტომაც ამგვარი ქმედება მაშინ, როდესაც არ დამდგარა მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას უნდა გავუთანაბროთ და სსკ 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი დამნაშავის სასარგებლოდ ანალოგიურად გამოვიყენოთ.

პასუხი: ანი მკვლელობის მცდელობაში დახმარებისათვის (სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 108-ე მუხლი) არ დაისჯება.

3. სსკ 249-ე მუხლი შხამის ბრუნვის წესის დარღვევა

შესაძლებელია, რომ ანიმ თავისი დისათვის შხამის გადაცემით განახორციელა სსკ 249-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – შხამის ბრუნვის წესების დარღვევა.

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

3. ქმედების ობიექტური მხარე სხვა ალტერნატიულ ქმედებებთან ერთად შხამის, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული განსაკუთრებული ნივთიერების გასაღებას ითვალისწინებს.

შხამის გასაღება ნიშნავს შხამის სხვა პირისათვის უკანონოდ გადაცემის ნებისმიერ ხერხს, როგორც სასყიდლით, ასევე უსასყიდლოდ.[1]

ანიმ ზიზისათვის შხამის უსასყიდლოდ გადაცემით გაასაღა საშიში ქიმიური ნივთიერება. შხამის ბრუნვის კანონიერებას ადგენს საქართველოს 1998 წლის 12 ივნისის კანონი „საშიში

[1] *მაშულაშვილი*, იქვე, გვ. 603.

ქიმიური ნივთიერებების შესახებ". რადგან შხამი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია, მისი განკარგვა ლაბორატორიის თანამშრომლის მიერ უკანონოა.

2. ქმედების სუბიექტური მხარე განზრახვას ითვალისწინებს. ანიმ იცოდა, რომ იგი შხამს უკანონოდ განკარგავდა და მას სურდა კიდეც ეს.

II მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება არაა კაზუსში მოცემული

III პირი მოქმედებდა ბრალეულად

პასუხი: ანი პასუხს აგებს სსკ 249-ე მუხლით შხამის ბრუნვის წესის დარღვევისათვის.

3. სსკ 250-ე მუხლი შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა

შესაძლებელია, რომ ანიმ თავისი და ზიზისათვის შხამის გამორთმევით ჩაიდინა სსკ 250-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედება – შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება.

I ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

2. ქმედების ობიექტური მხარე

ბ) ქმედების ობიექტური მხარე გამოიხატება ანის მიერ შხამის მართლსაწინააღმდეგო მითვისებაში. მართლსაწინააღმდეგოა მითვისება, როდესაც პირი, რომელიც საგანს ეუფლება, მისი მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არაა.[1] შხამი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული და განსაკუთრებულ კონტროლს დაქვემდებარებული საგანია[1] და ლაბორატორიის თანამშრომელი ანი მისი არც მესაკუთრე იყო და არც კანონიერი მფლობელი. კაზუსში არაა მითითებული, ანიმ შხამი მოიპარა (მას მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით ფარულად დაეუფლა სსკ 177-ე მუხლი) თუ მან მითვისა იგი (რადგან მას, როგორც ლაბორატორიის მუშაკს, შხამი მართლზომიერ მფლობელობაში ან განმგებლობაში ჰქონდა, სსკ 182-ე მუხლი) მართლსაწინააღმდეგო მითვისების ხერხს ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

ც) გარდა ამისა, საკითხავია, ხომ არ მოქმედებდა ანი დამამძიმებელ გარემოებაში, სსკ 250-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტი – შხამის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, ჩადენილი ჯგუფურად, როდესაც იგი თავისი დისათვის შხამს იღებდა?

სსკ 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დანაშაული ჯგუფურად ჩადენილად ითვლება მაშინ, როდესაც მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. იმისათვის, რომ დანაშაული ჯგუფურად იყოს ჩადენილი, ქმედებას ორი ან მეტი ამსრულებელი უნდა ახორციელებდეს.[2] სსკ 250-ე მუხლის –შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ამსრულებელი მხოლოდ ლაბორატორიის თანამშრომელი ანი იყო, ამიტომაც მას ეს ქმედება ჯგუფურად არ განუხორციელებია.

3. ქმედების სუბიექტური მხარე განზრახვას მოითხოვს. ანიმ იცოდა, რომ იგი შხამს, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ საგანს მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდა და მას სურდა კიდეც ეს.

[1] ლეკვეიშვილი, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 349.

[1] მაძულაშვილი, იქვე, გვ. 606.

[2] ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 297.

II მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება არაა კაზუსში მოცემული.

III არ არსებობს ზიზის ბრალის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება.

ანიმ განახორციელა სსკ 250-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედება – შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

შენიშვნა: კარგი იქნებოდა, თუ სსკ 21 მუხლს დაემატებოდა მსგავს შემთხვევებში პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ზემოაღნიშნული წინაპირობა.

შეალიბითი ამსრულებლობა

კაზუსი შეალიბით ამსრულებლობაზე

კაზუსი 29. პლანეტა სირიუსის შემთხვევა – ჯაბა უსენაშვილი[1] შეალიბითი ამსრულებლობა, როდესაც „ცოცხალი იარაღი" და მხვერპლი ერთმანეთს ემთხვევა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის, ***ჯაბა უსენაშვილის*** მიერ დაწერილი საშინაო დავალება, რომელმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

თებროს პეტრესთან მეტად მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა. იგი ფსიქიკურად ჯანსაღი, მაგრამ არასტაბილური და დაკომპლექსებული ახალგაზრდა ქალი იყო, რომელიც ყველანაირ საყოფაცხოვრებო პრობლემას პეტრეს დახმარებით და რჩევა-დარიგებით აგვარებდა. ისინი ხშირად საუბრობდნენ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაზე და სულთა გადანაცვლების თეორიაზე. პეტრემ შეძლო თებროს დარწმუნება იმაში, რომ იგი თავად პლანეტა სირიუსიდანაა, ამ პლანეტაზე რჩეული ადამიანებიც ხვდებიან და თებრო ამ რჩეულთა რიცხვშია, იქ წასასვლელად კი აუცილებლად ძველი სხეულის დატოვება და ახალ სხეულში გადასვლაა საჭირო. იგი თებროს პირველი სხეულის დატოვების და სხვა, უფრო ლამაზ სხეულში გადასვლის შემთხვევაში შვეიცარიის ერთი ტბის სანაპიროზე დალოდებას შეპირდა. პეტრეს მტკიცებით, სირიუსზე გადასვლამდე ახალ სხეულში მყოფ თებროს აუცილებლად განსაზღვრული რაოდენობის თანხა დასჭირდებოდა, ამიტომ მას მშობლების დანატოვარი ბინა უნდა

[1] ეს ამბავი გერმანიაში ნამდვილად მოხდა. სისხლის სამართლის თითქმის ყველა ახალი გერმანული სახელმძღვანელო ამ კაზუსის ანალიზს შეიცავს. გერმანიის უზენაესი სასამართლოს განაჩენი ამ შემთხვევასთან დაკავშირებით იხ. შტ 32, 38.

გაეყიდა და მთელი თანხა პეტრესთვის გადაეცა. ბინის ფულის მიღების შემდეგ მან ძველი სხეულის დასატოვებლად თბროს წყლით სავსე აბაზანაში ჩასვლა და შიგ ჩართული ფენის ჩაგდება ურჩია. პლანეტა სირიუსის ძალამ არ იმოქმედა და ქალმა რატომღაც ვერ დატოვა ძველი სხეული.

შეაფასეთ პეტრეს ქმედება სისხლისსამართლებრივად.

შენიშვნა: ამ კაზუსის ამოხსნისას შესაძლებელია ჩადენილი დანაშაულები განვიხილოთ ქრონოლოგიურად – ჯერ თაღლითობა და მერე მკვლელობის მცდელობა. უკეთესია ამ დანაშაულთა განხილვის არჩეული თანმიმდევრობა – ჯერ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა და შემდეგ თაღლითობა, რადგან ადამიანის სიცოცხლე იერარქიულად მატერიალურ სიკეთეზე მაღლა დგას. (ქ.მ.-ჰ)

ამოხსნა:

პეტრეს მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობის ეპიზოდი

შესაძლებელია, რომ პეტრემ თბროს წყლით სავსე აბაზანაში ჩასვლისა და შიგ ჩართული ფენის ჩადების დარწმუნებით განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩაიდინა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლებით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური მხარე

ა) პეტრეს თბროს მოკვლა ჰქონდა განზრახული.

ბ) საკითხავია, ჩაიდინა თუ არა პეტრემ სსკ მე-19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ამავე კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შუალობითი ამსრულებლის მეშვეობით.

შუალობით ამსრულებელია ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის საშუალებით, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის <u>*ან სხვა გარემოების გამო*</u> სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

ამ მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ კანონი იმ პირთა წრეს, რომელთა „ცოცხალ იარაღად" გამოყენების გზითაც შუალობით ამსრულებელს დანაშაულებრივი ქმედების განახორციელება შეუძლია, სრულყოფილად არ განსაზღვრავს და გარდა ასაკისა და შეურაცხაობისა, იმ სხვა გარემოებებს ითვალისწინებს, რის გამოც პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. აღნიშნული „სხვა გარემოება" ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, ამიტომაც მართებულია სწორედ ამ ცნებაში იქნეს განხილული დაზარალებულის შეცდენა და მისი, როგორც „ცოცხალი იარაღის" მიერ ამგვარად განხორციელებული თვითმკვლელობის და თვითდაზიანების მცდელობა. ამასთან, აღიარებულია, რომ „შუალობითი ამსრულებლობა მაშინაც გვექნება, როცა „ცოცხალი იარაღი" და მსხვერპლი ერთ პიროვნებაშია შერწყმული"[1]

ვინაიდან ქართული სისხლის სამართალი დაზარალებულის მიმართ პასუხისმგებლობას თვითდაზიანებისა თუ თვითმკვლელობის მცდელობისთვის არ ითვალისწინებს და შესაბამისად თებროც საკუთარი თავის წინააღმდეგ განხორციელებული, ზემოხსენებული ქმედებისთვის არ დაისჯება, პეტრემ იგი ზუსტად ამგვარ „ცოცხალ იარაღად" გამოიყენა.

[1] *გამყრელიძე*, განმარტება, გვ. 184.

გ) საკითხავია, ჩაიდინა თუ არა პეტრემ სსკ მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება – განზრახ მკვლელობის მცდელობა ანგარებით.

მკვლელობა ანგარებითაა ჩადენილი, როდესაც მკვლელობია მატერიალური გამორჩენის ანდა მატერიალური ვალდებულებისაგან თავის გათავისუფლების მიზნით ხორციელდება.[1]

როდესაც პეტრემ თებროს წყლით სავსე აბაზანაში ჩართული ფენის ჩადება ურჩია, მას სასურველი თანხა უკვე მიღებული და შესაბამისად ანგარებითი მიზანიც მიღწეული ჰქონდა და ამისათვის მისი მკვლელობა ამ მოტივით აღარანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა, მაგრამ თუ ქალი ცოცხალი დარჩებოდა, იგი პეტრეს ფულის დაბრუნებას მოსთხოვდა. პეტრეს მისი თავიდან მოშორება სწორედ მატერიალური ვალდებულებისაგან თავის გასათავისუფლებლად სურდა, ე.ი. იგი ანგარებით მოქმედებდა.

2. ქმედების ობიექტური მხარე შესრულებულია, ვინაიდან ითვლება, რომ თებროს მიერ აბაზანაში ჩართული ფენის ჩადებით პეტრემ ხსენებული განზრახვის განხორციელება დაიწყო. ბოროტმოქმედის აღნიშნული ქმედებით თებროს სიცოცხლის მოსპობის საკმაოდ რეალური საშიშროება შეიქმნა, იგი მხოლოდ იშვიათი შემთხვევითობის გამო გადაურჩა უცილობელ სიკვდილს.

II. პეტრეს ქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო. კაზუსის ტექსტში არ ვლინდება მისი ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არანაირი გარემოება.

I. პეტრე მოქმედებდა ბრალეულად. მსგავსად ზემოაღნიშნულისა, კაზუსში არ იკვეთება ბრალეულობის გამომრიცხველი არავითარი გარემოება.

პასუხი: ამ ეპიზოდში პეტრე დაისჯება სსკ მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით – დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის.

საერთო ჯამში პეტრე დაისჯება დანაშაულთა ერთობლიობით – განზრახ მკვლელობის მცდელობა 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი და თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები.

თაღლითობის ეპიზოდი

შესაძლებელია, რომ პეტრემ თებროსაგან, მოტყუების გზით, მისი კუთვნილი ბინის საფასური თანხის მიღებით, ჩაიდინა თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე.

ა) შედეგი დადგა, რადგან პეტრე თებროს ბინის ფულს მოტყუებით დაეუფლა და მიისაკუთრა.

ბ) პეტრეს ქმედება პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან, ვინაიდან მისი ქმედების აზრობრივი გამორიცხვით, გამოირიცხებოდა აღნიშნული შედეგიც.

გ) პეტრეს ხსენებული ქმედება ცხადია, ობიექტურად უნდა

[1] *ლეკვეიშვილი*, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, გვ. 48-50.

შეერაცხოს, იმდენად რამდენადაც, მან ამით არა მხოლოდ საზოგადოებრივად, არამედ სისხლისსამართლებრივად გასაკიცხი საფრთხე შექმნა, რაც თებროს კუთვნილი მნიშვნელოვანი ოდენობის თანხის მოტყუებით მისაკუთრებაში გამოიხატა.[1]

დ) საკითხავია, გამოიწვია თუ არა პეტრეს ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი, სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით.

ქმედება მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევ თაღლითობად ჩაითვლება, თუ მისაკუთრებული თანხა (ან ნივთის ღირებულება) 150 ლარს აჭარბებს. თაღლითობის დამამძიმებელი გარემოებები ქურდობის დამამძიმებელ გარემოებებს ემთხვევა.[2]

თუ გავითვალისწინებთ ბინების საშუალო ფასებს ქართულ საბაზრო სივრცეში, ეჭვქვეშ არ დგება რომ მისი ღირებულება (თუნდაც იგი გარე უბანში მდებარე, ერთ ოთახიანი და სრულიად გაურემონტებელი იყოს) 150 ლარს აუცილებლად აღემატება, რაც ცხადია პეტრესაც, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, გაცნობიერებული ექნებოდა.

ამდენად, პეტრემ ჩაიდინა სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული დანაშაული.

ე) საკითხავია, ჩაიდინა თუ არა პეტრემ თაღლითობა დიდი ოდენობით, სს 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით.

ქმედება დიდი ოდენობით თაღლითობად ჩაითვლება, თუ მისაკუთრებული თანხა (ან ნივთის ღირებულება) 10 000 ლარს აღემატება.[1]

ზემოთ დახასიათებული მცირე ზომის, ქვეყნის „მიყრუებულ“ რეგიონში მდებარე ბინის ფასი შესაძლოა არ აღემატებოდეს 10 000 ლარს, ამიტომ ვინაიდან კაზუსის ტექსტში ხსენებული ობიექტის შესახებ არანაირი დამატებითი ინფორმაცია არ იკვეთება, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ყოველგვარი ეჭვი, რომელიც უტყუარად ვერ დასტურდება, ბრალდებულის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი პეტრეს სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და შესაბამისად დიდ ოდენობასთან დაკავშირებული მაკვალიფიცირებული პუნქტი გამოირიცხოს.[2]

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი თაღლითობის განზრახ ჩადენას ითვალისწინებს.

განზრახვა მოიცავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და მის სურვილს.

პეტრეს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ იგი ამ თაღლითობით 150 ლარზე მეტი ოდენობის თანხას ისაკუთრებდა და მას აღნიშნული სურდა კიდეც. იგი მოქმედებდა განზრახ ქმედების შემადგენლობის ამ ნიშანთან მიმართებაში.

---

[1] ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 110.

[2] ლეკვეიშვილი, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, გვ. 369.

[1] თოდუა, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, გვ. 131-135.

[2] აქუბარდია, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი, გვ. 133.

II. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი კაზუსის ტექსტში არ იკვეთება. ამდენად, პეტრეს მოქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო.

III. ბრალი

ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოებანი კაზუსში არ ჩანს. პეტრე მოქმედებდა ბრალეულად.

პასუხი: პეტრემ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით – თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

შენიშვნა: განსხვავებული არგუმენტაციით თებრო სხეულის დატოვებით „დედამიწისეულ სიცოცხლეს“ საკუთარი ნებით ეთხოვებოდა. ამგვარად შესაძლებელია იმ დასკვნამდე მისვლა, რომ იგი თავს იკლავდა და რადგან თვითმკვლელობისაკენ წაქეზება თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათის გამო არაა დასჯადი, პეტრეს მკვლელობის ეპიზოდისათვის პასუხს ვერ ვაგებინებთ. რჩება მხოლოდ პასუხისმგებლობა თაღლითობისათვის სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით – თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დანაშაულის გამოვლინების სხვადასხვა სახის სქემები

განზრახი დამთავრებული დანაშაული

0 შესავალი:

ა) ქმედება თუ უმოქმედობა
ბ) პირის ქცევის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა
1. დანაშაულის შემადგენლობა

ა) ობიექტური მხარე

შედეგიან დანაშაულებში აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა

ბ) სუბიექტური მხარე

აა) განზრახვა
ბბ) სხვა სუბიექტური ნიშნები (მაგ. ქურდობის მიზანი)

2. მართლწინააღმდეგობა
(მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი)
3. ბრალი
ა) ბრალუნარიანობა
ბ) განზრახვა (ბოროტი განზრახვა)
გ) ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი

შენიშვნა: როგორც წესი, ქმედების ობიექტურ მხარეში ქმედებას, მის შედეგს, მიზეზობრივ კავშირსა და ობიექტურ შერაცხვას განვიხილავთ. ქმედების სუბიექტსა და მის ობიექტზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია საჭირო.

დანაშაულის მომზადება სსკ მე-18 მუხლი

შესავალი

(1) დანაშაულის დაუმთავრებლობა
(2) დანაშაულის მომზადების დასჯადობა სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური მხარე = სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის განზრახვა
2. ქმედების ობიექტური მხარე = პირობების მომზადება და მათი ვარგისიანობა დანაშაულის ჩასადენად

II. მართლწინააღმდეგობა და
III. ბრალი ისევე, როგორც წინა სქემებში

მოქმედებით ჩადენილი დანაშაულის მცდელობა სსკ მე-19 მუხლი

შესავალი – დაუმთავრებელი დანაშაული

III. ქმედების შემადგენლობა

3. ქმედების სუბიექტური მხარე = განზრახვა, რომელიც დანაშაულის ობიექტურ მხარეს მოიცავს

4. ქმედების ობიექტური მხარე = ქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად

IV. მართლწინააღმდეგობა
V. ბრალი

VI. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება
1. დანაშაულზე საბოლოოდ ხელის აღება
2. დანაშალზე ნებაყოფლობით ხელის აღება

შერეული უმოქმედობით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაული (სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი)

შესავალი
1. მოქმედების გამიჯვნა უმოქმედობისაგან
2. ქცევის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა

I. დანაშაულის შემადგენლობა
1. ობიექტური მხარე (სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი)

(1) მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა
(2) მოქმედების საშუალებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აუცილებლობა
(3) ამ მოქმედების განხორციელების რეალური შესაძლებლობა (ობიექტურად)
(4) გარანტის ფუნქცია

2. სუბიექტური მხარე (განზრახვა)

II. მართლწინააღმდეგობა (განსაკუთრებით მოვალეობათა კოლიზია)

III. ბრალი
1. ბრალუნარიანობა
2. პერსონალური გასაკიცხაობა (განზრახვა, გაუფრთხილებლობა)
3. ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა

შერეული უმოქმედობით ჩადენილი დაუმთავრებელი დანაშაული

შესავალი
1. მოქმედების გამიჯვნა უმოქმედობისაგან
2. ქცევის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა

I. დანაშაულის შემადგენლობა

1. სუბიექტური შემადგენლობა (განზრახვა)
2. ობიექტური შემადგენლობა (დანაშაულის ჩადენის პირობების განზრახ შექმნა; უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად მიმართული ქმედება)

II. მართლწინააღმდეგობა (როგორც წინა სქემებში)
III. ბრალი (როგორც წინა სქემებში)
IV. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებანი; დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

გაუფრთხილებლობა

I. დანაშაულის შემადგენლობა
1. ქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის
2. ობიექტური გაუფრთხილებლობა

(1) წინდახედულობის ნორმის დარღვევა (ობიექტური თვალსაზრისით)
(2) დამდგარი შედეგის დადგომის გათვალისწინების შესაძლებლობა (ობიექტურად)

II. დამდგარი შედეგის ობიექტური შერაცხვა

1. კავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის
2. კავშირი ნორმის გავლენის სფეროსა და დამდგარ შედეგს შორის (მოიცავს თუ არა კონკრეტული სამართლებრივი ნორმა კონკრეტულ წინდახედულობის ნორმას?)
3. ობიექტური შერაცხვის უარყოფა მსხვერპლის მიერ თავად გაწეული რისკის შემთხვევაში

III. მართლწინააღმდეგობა (როგორც დამათავრებულ განზრახ დანაშაულში)
IV. ბრალი
1. ბრალუნარიანობა
2. პერსონალური გასაკიცხაობა — გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის ფორმა
(1) წინდახედულობის ნორმის გათვალისწინების უნარი
(2) შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა (ინდივიდუალურად)
(3) ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი (განსაკუთრებით ნორმის შესაბამისი ქმედების მოთხოვნის შეუძლებლობა

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაული

1. დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა
1. დანაშაულის შემადგენლობისადმი შესაბამისობა
2. მართლწინააღმდეგობა
3. ბრალი

2. კვალიფიციური შედეგის დადგომა
1. გაუფრთხილებლობა დამდგარი შედეგის მიმართ (სსკ 119-ე მუხლი) ანდა
2. როგორც განზრახვა, ასევე გაუფრთხილებლობა (სსკ 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული მთლია
– ნობაში განზრახ დანაშაულად ითვლება მაშინაც კი, როდე-
საც ეს თანამდევი შედეგი გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული
(სსკ მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი). თუ კვალიფიციური შედეგი
გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული, ანალიზის მეორე პუნქტში
განიხილება გაუფრთხილებლობა ისევე, როგორც ზემოთ მოყვა-
ნილ სქემაში გაუფრთხილებელი დანაშაულის შესახებ.

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სქემები

ორგანიზატორი

ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

(1) განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ჩადენილი ამ-
სრულებლის მიერ
(2) ამ ქმედების ჩადენის ორგანიზაცია

2. ქმედების სუბიექტური მხარე

განზრახვა – ცოდნა და სურვილი იმისა, რომ ამსრულებლმა
ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება
განზრახვა ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების ორგა-
ნიზაციის მიმართ

მართლწინააღმდეგობა
ბრალი
დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

დამხმარე

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

(1) განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ჩადენილი ამ-
სრულებლის მიერ
(2) ამ ქმედების ჩადენისათვის ხელის შეწყობა

ქმედების სუბიექტური მხარე

(1) განზრახვა – ცოდნა და სურვილი იმისა, რომ ამსრულე-
ბლმა ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედე-
ბა
(2) განზრახვა ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების ხე-
ლის შეწყობის მიმართ

II ქმედების მართლწინააღმდეგობა
III ბრალი
IV. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

წამქეზებელი

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური მხარე

(1) განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ჩადენილი ამ-
სრულებლის მიერ
(2) წაქეზება ამ ქმედების ჩასადენად

2. ქმედების სუბიექტური მხარე

(1) განზრახვა – ცოდნა და სურვილი იმისა, რომ ამსრულებლმა ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება

(2) განზრახვა – წამქეზებლის მიერ საკუთარი ქმედების ჩადენის ცოდნა და სურვილი

II მართლწინააღმდეგობა
III ბრალი
IV დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების სქემები

აუცილებელი მოგერიება სსკ 28-ე მუხლი

I. თავდაპირველად უნდა განვიხილოთ, განახორციელა თუ არა პირმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. თუ ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნები განხორციელებულია, გადავდივართ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ნიშნის – აუცილებელი მოგერიების განხილვაზე.

მართლწინააღმდეგობა
აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა

(1) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის იმწუთიერობა
(2) ხელყოფა სხვა ადამიანის მიერ
(3) ხელყოფის მართლწინააღმდეგობა

აუცილებელი მოგერიების მოქმედება – აუცილებელი მოგერიების საზღვრები

(1) აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედების განხორციელების საჭიროება
(2) აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის ბოროტად

გამოყენების აკრძალვა (აუცილებელი მოგერიების ეთიკური ზღვარი)

აუცილებელი მოგერიების სუბიექტური მხარე

(1) მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ცოდნა
(2) სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი

უკიდურესი აუცილებლობა სსკ 30-ე მუხლი

თავდაპირველად უნდა განვიხილოთ, განახორციელა თუ არა პირმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. თუ ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნები განხორციელებულია, გადავდივართ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ნიშნის – უკიდურესი აუცილებლობის განხილვაზე.

მართლწინააღმდეგობა
უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა

(1) საფრთხის იმწუთიერობა
(2) საფრთხის რეალურობა
(3) სამართლებრივი სიკეთის რანგირების პრინციპი – დაზიანებული სიკეთის ნაკლები მნიშვნელობა გადარჩენილ სიკეთესთან შედარებით
(4) უკიდურესი აუცილებლობის ეთიკური ზღვარი (თუ გადარჩენილი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელყოფილი, მაგრამ სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისას პირმა ხელყო პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებელი სფერო – მაგ., სისხლის იძულებით აღება მძიმედ დაზიანებული უცხო პირის სიცოცხლის გადასარჩენად).[1]

აუცილებელი მოგერიების სუბიექტური მხარე

[1] ტურავა, სისხლის სამართალი, გვ. 221.

(1) მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ცოდნა
(2) სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი

ტრაგიკული კოლიზია

თავდაპირველად უნდა განვიხილოთ, განახორციელა თუ არა პირმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და ეს ქმედება იყო თუ არა მართლსაწინააღმდეგო. შემდეგ გადავდივართ ბრალზე.

ბრალი
1. უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა (ობიექტური ელემენტი)

ა) საფრთხე, რომელიც ემუქრება პირის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას.
ბ) საფრთხის იმწუთიერობა

2. ქმედების განსაკუთრებული მოტივი (სუბიექტური ელემენტი)

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის ცოდნა
ქმედების საშუალებით სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი

3. ქმედების არაბრალეულობა
ა) ქმედების გამოსადეგობა საფრთხის თავიდან აცილებისათვის
ბ) ქმედების საჭიროება (საფრთხის სხვანაირად თავიდან აცილების შეუძლებლობა)
გ) საფრთხისა და მისი თავიდან აცილებისათვის საჭირო ქმედების თანაფარდობა (პროპორციულობა)
დ) საფრთხის თავიდან აცილების ან მისი მოთმენის განსაკუთრებული ვალდებულება

(1)) თუ საფრთხე პირის მიერაა გამოწვეული
(2) თუ პირს კანონი საფრთხის მოთმენის მოვალეობას აკისრებს (მეხანძრე, პოლიციელი)

ბრძანებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობა

I. ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა
II. მართლწინააღმდეგობა
III. ბრალი
1. ბრძანებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა (ბრძანებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობის ობიექტური ელემენტი)

ა) პირის ან მისი ახლობლის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული მუქარა
ბ) მუქარით დაფუძნებული საფრთხის იმწუთიერობა და რეალურობა

2. ქმედების განსაკუთრებული მოტივი ((ბრძანებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობის სუბიექტური ელემენტი)
ა) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის ცოდნა
ბ) ქმედების საშუალებით სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი

3. ქმედების არაბრალეულობა
ა) ქმედების გამოსადეგობა საფრთხის თავიდან აცილებისათვის
ბ) ქმედების განხორციელების საჭიროება (საფრთხის სხვანაირად თავიდან აცილების შეუძლებლობა)
გ) საფრთხისა და მისი თავიდან აცილებისათვის საჭირო ქმედების თანაფარდობა (პროპორციულობა)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ავტორთა კოლექტივი,* სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მესამე გამოცემა, *ტყეშელიაძე გიორგი* (რედ.), თბილისი, 2008.
2. *ავტორთა კოლექტივი,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, *ტყეშელიაძე გიორგი* (რედ.), თბილისი, 2008.
3. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, *გოგშელიძე რეზო* (რედ.), თბილისი, 2008.
4. *გამყრელიძე ოთარ,* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, წიგნი პირველი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2008.
5. *გვენეტაძე ნინო / ტურავა მერაბ,* სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2005.
6. *მაყაშვილი ვლადიმერ / მაჭავარიანი, მირიან / წერეთელი თინათინ /შავგულიძე თამაზ,* დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი, თბილისი, 1980.
7. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, *წერეთელი თინათინ / ტყეშელიაძე გიორგი* (რედ.) თბილისი, 1976.
8. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, *გამყრელიძე ოთარ* (რედ.), თბილისი, 2004.
9. *ტურავა მერაბ,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2008.
10. *ფურცხვანიძე ბორის,* საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1970.
11. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, *გამყრელიძე ოთარ,* (რედ.), თბილისი, 2006.

12. *შავგულიძე თამაზ / სურგულაძე ლამარა,* საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988.
13. *წერეთელი თინათინ,* სისხლის სამართლის პრობლემები, წიგნი II, თბილისი, 2008.
14. *წერეთელი თინათინ,* სისხლის სამართლის პრობლემები, წიგნი I, თბილისი, 2007.
15. *ხუბუა გიორგი,* სამართლის თეორია, თბილისი, 2004.
16. *ჰენშელი სანდრა,* სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009.

გერმანული ლიტერატურა

1. *Baumann, Jürgen,* Einführung in die Rechtswissenschaft, 8. Aufl., München 1989.
2. *Gropp, Walter,* Strafrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Berlin 2005.
3. *Ebert, Udo (Hrsg.,)* Strafrecht Allgemeiner Teil, 16 Fälle mit Lösungen, Basel 2003.
4. *Kindhäuser, Urs,* Strafrecht Allgemeiner Teil, 2. Aufl., Baden-Baden 2006.
5. *Schwacke*, Peter, Juristische Methodik mit Technik der Fallbearbeitung, 3. Aufl., Köln 1995.
6. *Schwintowski, Hans-Peter,* Juristische Methodenlehre, Frankfurt am Main 2005.
7. *Puppe, Ingeborg,* Kleine Schule des juristischen Denkens, Göttingen 2008.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი

კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2010

რედაქტორი *ნელი ელიზბარაშვილი*
ტექ. რედაქტორი *ინგა ნავროზაშვილი*

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E -- mail: info@meridianpub.com ☎ 39-15-22